ამ კვლევის ფარგლებში მსხვერპლების ადვოკატებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა და შესწავლილმა განაჩენებმა ცხადყო, რომ დისკრიმინაციული მოტივის გამოკვე-

თა პრობლემური საკითხია და ჩვენთვის დამაფიქრებელი ზუსტად ეს უნდა იყოს.

სად არის ის ბუნდოვანება იურისპრუდენციაში, რომელიც ნისლით ფარავს დისკრიმინაციული ნიშნის მქონე დანაშაულებს?

ფაქტია, რომ ამ კვლევის თანახმად, 2017 წლის პერიოდში შესწავლილი 102 გადაწყვეტილებიდან, პროკურატურის მხრიდან მხოლოდ 2 შემთხვევაში იყო გამოკვეთილი გენდერული დისკრიმინაციის მოტივი. რაც შეეხება 2018 წელს შესწავლილი 131 გადაწყვეტილებიდან 3 შემთხვევაში მოხდა დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა ბრალდების მხარის მიერ. ეს საკმაოდ შემაშფოთებელია!!

სასამართლო განაჩენების ანალიზმა გამოავლინა, რომ სასამართლომ არცერთ შემთხვევაში არ გაიზიარა პროკურორის არგუმენტაცია დანაშაულის დისკრიმინაციულ მოტივთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად გენდერული ნიშნით დანაშაულის ჩადენა არ გამოყენებულა.

როგორც საიას წარმოებაში არსებული საქმეების, ისე მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზმა აჩვენა, რომ დამცავ ორდერებში მხოლოდ ზოგადი მითითებაა ძალადობის შესახებ და არ არის აღნიშნული მნიშვნელოვანი ფაქტორივი გარემოებები, რაც ხელს უშლის როგორც ძალადობრივი წინარე ისტორიის შესწავლას, ისე ძალადობის რისკის სათანადოდ შეფასებას.

საიას წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზის მიხედვით, როდესაც ოჯახურ კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარე აცხადებს, რომ დაექვემდებარა ძალადობას, იკვეთება პოლიციის მხრიდან მსხვერპლის იდენტიფიცირების პრობლემა. მსგავს შემთხვევებში შემაკავებელი ორდერი გამოიცემოდა როგორც მოძალადის, ისე მსხვერპლის მიმართ, რაც მიუთითებს პოლიციის მიერ მოძალადისა და მსხვერპლის გარჩევის სირთულეზე.

მსხვერპლებთან, შსს-ს წარმომადგენლებსა და მოსამართლეებთან ჩატარებული

ლი ინტერვიუები აჩვენებს, რომ ძალადობის შემსწრე ბავშვებს არ აქვთ მსხვერპლის სტატუსი და მათ მიმართ არ გამოიყენება დამცავი მექანიზმები. განსხვავებული ვითარებაა მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი შვილები თავად არიან ძალადობის პირდაპირი მსხვერპლები. ასეთ დროს, როგორც წესი, მათ მიმართაც მოქმედებს დამცავი მექანიზმები.

ინტერვიუებმა და გამოთხოვნილმა საჯარო ინფორმაციამ ცხადყო, რომ გამოწვევაა ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრით ეფექტიანად სარგებლობა. რიგ შემთხვევაში მსხვერპლებს უწევთ სხვა ქალაქში წასვლა თავშესაფრის მისაღებად, რადგანაც კონკრეტულ ქალაქში არ არის თავისუფალი ადგილი. ცალკეულ შემთხვევებში მსხვერპლთათვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, თუნდაც დროებით, სამსახურის ან/და არასრულწლოვანი შვილების გამო შეუძლებელია.

ასევე, პრობლემას წარმოადგენს, დამცავი ორდერის საფუძველზე, მოძალადეებისთვის ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სასწავლო კურსის გავლის დავალდებულება სარეაბილიტაციო ცენტრების ან/და მსგავსი სერვისის არარსებობის გამო.

განაჩენების ანალიზმა ცხადყო, რომ ოჯახური დანაშაულების ჩადენისას, ძირითადად, განაჩენი დგებოდა ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე. დადებითად აღსანიშნავია, რომ 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია ფსიქოლოგიურ ძალადობაზე რეაგირების სტატისტიკა, რაც ასევე წინგადადგმული ნაბიჯია. რეაგირება თავისთავად გულისხმობს, რომ სახელმწიფოს მხრიდან მსხვერპლის დაცვის სტანდარტი კიდევ უფრო გაიზარდა. როგორც ვიცით, სასჯელის ფაქტორივი დაკისრების რეალობამ და ალბათობამ ოჯახში ძალადობის ასპარეზზე მნიშვნელოვნად შეამცირა ძალადობის გამოვლინება (შეურაცმყოფელი, ძალადობრივი ქცევა).

ამ კუთხით აღსანიშნავია 2018 წლის სასამართლო პრაქტიკა სადაც ჩანს, რომ ბრალდების მხარე ძირითადად ითხოვს

აღკვეთის ღონისძიების მკაცრი სახის გამოყენებას. კერძოდ, 131 საქმიდან ბრალდების მხარემ პატიმრობის გამოყენება მოითხოვა 115 (88%) შემთხვევაში, დანარჩენ 16 (12%) შემთხვევაში კი – გირაო.

საიას ამ კვლევიდან ვხედავთ სასამართლოში არსებულ ზოგჯერ სწორ და ხანდახან მცდარ პრაქტიკას. კარგია, თუ ავღნიშნავთ, რომ სასამართლო უმეტესწილად აკმაყოფილებს მსხვერპლის განცხადებას დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე.

ასევე აღსანიშნავია, სასამართლო განჩინებების შესწავლამ აჩვენა, რომ მოსამართლეთა მხოლოდ მცირე ნაწილმა (36%) გამოიყენა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად მოძალადეების მიმართ დამატებითი ვალდებულებები, როგორცაა მსხვერპლთან მიახლოების აკრძალვა, კომუნიკაციის შეზღუდვა და სხვა არასაპატიმრო ზომები (სანქციები).

ამ კვლევაში ერთი საგულისხმო დეტალია, რომელიც ნათლად აჩვენებს მიზეზს თუ რატომ ვერ ხედავს მოსამართლეების უმეტესობა ძალადობის ტიპის საქმეებში გენდერულ მოტივს და ეს ზუსტად ეხება გენდერული თანასწორობის კონტექსტის სიღრმისეულ ცოდნას. მხოლოდ და მხოლოდ ამ ცოდნის ბაზაზე შეიძლება მოსამართლეს ჩამოყალიბდეს სწორი ცნობიერება, რომ აღიქვას გენდერული ბალანსი და ქონდეს შესაძლებლობა მოახდინოს უთანასწორობის შედეგად ჩამოყალიბებული დისკრიმინაციის იდენტიფიცირება გენდერული ნიშნით. როგორც საიას კვლევა ცხადყოფს, მოსამართლეთა ცალკეულ ნაწილში დაბალი მგრძობელობა და გენდერული თანასწორობის საკითხების არასაკმარისი ცოდნა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. აღნიშნული, მათ შორის, გამოიხატება მოსამართლეთა ნაწილის სტერეოტიპულ, პრეჯუდისულ და წინასწარ ჩამოყალიბებულ წარმოდგენებში ოჯახში მეუღლეთა როლებთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, ალბათ გენდერული თანასწორობის კონტექსტის სიღრმისეული ცოდნის გარდა, მნიშვნელოვანია აქცენტი გაამახვილოს ჩვენმა სახელმწიფომ პრე-

ჯუდისის თემაზე. პრეჯუდისის კოგნიტური კომპონენტის საფუძველზე, შეიძლება ვივარაოდოთ, რომ ატიტუდი, განწყობა და მოლოდინები გენდერული ბალანსის შესახებ მოსამართლეების გარკვეულ ნაწილს შესაძლოა უკვე არაცნობიერად ჩამოყალიბებული აქვთ.

აუცილებელია ჩემ მიერ წარმოდგენილ სტატიაში მოკლედ მიმოვიხილო რამდენიმე საკითხი, რომელიც წამოჭრილია 2017 წლის ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნულ კვლევის პუბლიკაციაში. ეს კვლევა ჩატარდა ევროკავშირის, გაეროს ქალთა ორგანიზაციის და საქსტატის დაფინანსებით.

ამ კვლევიდან მინდა განვიხილოთ ძალადობის სხვა ფორმა კერძოდ, ეკონომიკური ძალადობის 21-ე საუკუნეში ჩამოყალიბებული ახალი ტიპი. აქამდე ჩვენი მსჯელობა უმეტესად შეეხებოდა ფიზიკურ ან ტრადიციული გაგებით ფსიქოლოგიურ ძალადობას, თუმცა დღეის მდგომარეობით ეკონომიკური ძალადობა ძალადობის გავრცელებული ფორმაა, რომელიც მოიცავს ფინანსურად დამოკიდებულების მაჩვენებელს და ურთიერთობაში მამაკაცის გადაჭარბებულ დომინირებას. ამ კვლევაში შემდეგი ტიპის შეკითხვები იყო:

- პარტნიორს ოდესმე თუ დაუშლია მათთვის მუშაობა ან ფულის შოვნა?
- პარტნიორს ოდესმე თუ წაურთმევია მათთვის საკუთარი შემოსავალი?
- პარტნიორს ოდესმე თუ უთქვამს მათთვის უარი შინამეურნეობების ხარჯების დასაფარად ფულის მიცემაზე, სხვა საგნების შესაძენად ფულის ქონის შემთხვევაშიც კი?

კვლევის მიხედვით, ცხრილში ნაჩვენებია, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 10%-ს ეკონომიკური ძალადობის, სულ ცოტა, ერთი ფორმა მაინც გამოუცდია. ქალთა 5%-მა განაცხადა, რომ პარტნიორი უკრძალავდა მუშაობას ან ფულის შოვნას და უარს ეუბნებოდა ფულის მიცემაზე მაშინ, როდესაც თავად ჰქონდა ფინანსური საშუალება, შეეძინა როგორც სახლისთვის, ასევე კომფორტისთვის საჭირო ნივთები.

უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს ეკონომიკური ძალადობის ფორმა, კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან კვლევებიდან: „მან გამორთო დენი, გაზი და წყალი, რადგან ის იხდიდა გადასახადებს. ის მეუბნებოდა, რომ შეეძლო, შეეწყვიტა გადახდა, როცა მოისურვებდა; ამბობდა: „შენ ჩემზე ხარ დამოკიდებული. მე ვშოულობ ფულს. შენ არარაობა ხარ ჩემს გარეშე.“ (მსხვერპლი, 25, ჩაღრმავებული ინტერვიუ)

თუ კარგად დავუკვირდებით ეკონომიკური ძალადობის შინაარსს და ტელესკოპით შევხედავთ, დავინახავთ, რომ ის ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმასაც მოიცავს და მისი საზღვრები კიდევ უფრო ფართოა.

ფაქტია, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ზოგადად ქალთა მკვლევლობების ყველაზე გავრცელებული მიზეზია. გლობალური მტკიცებულებები გვიჩვენებს, რომ ძალადობა საგრძნობლად აფერხებს ქალის უფლებებისადმი პატივისცემის განვითარებას და ასევე ხელს უწყობს ფიზიკური, ადამიანური და სოციალური კაპიტალის გაუფასურებას (García-Moreno, C. and World Health Organization, WHO). ძალადობასთან ბრძოლა გახდა გლობალური პრიორიტეტული საკითხი ადამიანის უფლებების, ჯანმრთელობის დაცვისა და განვითარებისათვის. საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მნიშვნელობა სხვადასხვა კონვენციებში, პოლიტიკასა და ჩარჩოებში. მაგალითად, მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაზე“ (CEDAW), პეკინის დეკლარაციის და მისი სამოქმედო პლატფორმის და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციაზე(სტამბოლის კონვენცია). ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის დღის წესრიგში გათვალისწინებულია, ქალების მიმართ ძალადობის ყველა ფორმისა და საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა.³

3 Claudia Garcia-Moreno, Henrica AFM Jansen, Mary

ასევე, მინდა აღვნიშნო შეერთებული შტატების კონსტიტუციის XIV შესწორების პირველი ნაწილი: „ არც ერთ შტატს არ აქვს უფლება უარი უთხრას ვინმეს, მისი იურისდიქციის ფარგლებში, იყოს კანონის მიერ თანაბრად დაცული“. როგორც "Heritage Guide to Constitution" ⁴-ში არის აღნიშნული, თანაბარი დაცვის უფლება ერთ-ერთი ყველაზე სადავო და მნიშვნელოვანი დებულებაა თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალში.

ისტორიულად კანონით თანაბარი დაცვის უზრუნველყოფის უფლების ინტერპრეტაცია სათავეს იღებს სამოქალაქო ომის, რეკონსტრუქციის, მონობის და ემანსიპაციის მთელი დრამადან. როგორც ეს წიგნი გვიჩვენებს აშშ-ს კონსტიტუციაში: "პრივილეგიები ან იმუნიტეტის პუნქტი, თანაბარი დაცვის უფლება და შესაბამისი საპროცესო უფლებები ქმნიან თანმიმდევრულ ტრიადას. როგორც, შეერთებული შტატების კონსტიტუციაშია განმარტებული შტატის საკანონმდებლო ორგანო ვერ ეტყვის უარს მოქალაქეებს თავისი იურისდიქციის ფარგლებში შესაბამისი იმუნიტეტით და პრივილეგიებით სარგებლობის თაობაზე. მას შემდეგ რაც კანონს დადგენილი წესით მიიღებდნენ, შტატს ან შესაბამის ორგანოს საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, არ შეეძლოთ თვითნებურად აღესრულებინათ პირის საწინააღმდეგოდ კონსტიტუციის მუხლით გარანტირებული თანაბარი დაცვის უფლება დარღვევის გარეშე. საბოლოოდ კი, კანონის დარღვევაში ბრალდებული ყველა ადამიანი სასამართლოების წინაშე სარგებლობდა საპროცესო უფლებების სრული პაკეტით. ამასთან, (ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს) სასამართლოს ადრეულმა პროცესებმა, მაგალითად სასაკლაოების საქმეები(1873 წ.), ისევე როგორც კონგრესის დებატების დიდი ნაწილის ბუნდოვანებამ,

Ellsberg, Lori Heise, Charlotte H Watts, on behalf of the WHO Multi-country Study on Women's Health and Domestic Violence against Women Study Team. <https://www.who.int/>
 4 Book "Heritage Guide to the Constitution" – Edwin Meese III, Matthew Spalding, David Forte.

გამოიწვია კამათი და უთანხმოება სამი მუხლის თავდაპირველ გაგებასთან დაკავშირებით. ” თანამედროვე პერიოდში კამათები თანაბარი დაცვის უფლებების შესახებ გაიზარდა და უზენაესმა სასამართლომ მიიღო ახალი გადაწყვეტილებები, რითაც ჩაუღრმავდა კიეხვებს: რა უფლებებთან დაკავშირებით აპირებდნენ კანონმდებლები თანასწორობის დებულების გამოყენებას? რას ნიშნავს ადამიანების თანაბრად მოპყრობა? და ბოლოს რა არის თანაბარი მოპყრობა საერთოდ?

დღეის მდგომარეობით შეერთებულ შტატებში თანაბარი დაცვის უფლებების⁵ მნიშვნელობა ბევრად უფრო გაზრდილი და გაფართოებულია და იგი ეხება აკრძალულ სამთავრობო მოქმედებებს საჯარო ხელისუფლების განხორციელების დოქტრინის შესაბამისად (ძირითადი უფლებები ზღუდავს მხოლოდ და მხოლოდ საჯარო ხელისუფლებას, ძირითადი უფლებები არ იცავენ ინდივიდის თავისუფლებას, თანასწორობას, საქმიანობას და სამართლებრივ სიკეთეს კერძო პირთა მხრიდან ხელყოფისაგან).

„თანაბარი დაცვის შესახებ დებულება კონტექსტიდან გამომდინარე, ზღუდავს მხოლოდ სახელმწიფო მთავრობას; შესაბამისად, ეს ფაქტიურად შეუსაბამოა ფედერალური მთავრობისთვის. ამასთან, *Bolling v Sharpe* (1954) შემდეგ, სასამართლომ შეიმუშავა დოქტრინა, რომ მეხუთე შესწორებით გათვალისწინებული საპროცესო მუხლს აქვს თანასწორობის დაცვის კომპონენტი ექვივალენტური მოთხოვნებით, როგორც მეოთხე შესწორებით გათვალისწინებულ თანაბარი დაცვის მუხლს. თანასწორობის უფლებების დაცვის დოქტრინა (თუ სიტყვასიტყვით არაა თანაბარი უფლებების დაცვის მუხლი), შესაბამისად, გამოიყენება ყველა სამთავრობო მოქმედებისთვის, იქნება ეს სახელმწიფო, ადგილობრივი თუ ფედერალური.“ – დევიდ სმოლინი⁶ (“Heritage Guide to the Constitution”).

5 The Heritage Guide to the Constitution” – Edwin Meese III, Matthew Spalding, David Forte , pg. 399

6 The Heritage Guide to the Constitution”, pg. 403.

ამერიკელი კომენტატორების უმეტესობა თანხმდება, რომ თანამედროვე შეხედულებებამდე და თანაბარი უფლებების დაცვის შესახებ დებულების გაგებამდე იგი უფრო ვიწრო იყო. კანონმდებლები ფოკუსირებული იყვნენ გათავისუფლებული მონების სტატუსზე და თანაბარი დაცვის უფლება განმარტებული იყო რასობრივი კუთხით. ასევე, სიანტერესოა დავინახოთ შეერთებულ შტატებში არსებული მკაცრი შემოწმების მექანიზმი და ფაქტია, რომ წარსულიდან დღემდე მკაცრი სამართლებრივი შემოწმების კლასიფიკაციას მიკუთვნებული საკითხები ლიმიტირებულია. მკაცრ შემოწმებას ექვემდებარება: რასობრივი, ეროვნული ან ეთნიკური და უცხოელთა სტატუსის ნიშნით კლასიფიკაციები, თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში გვხვდება გამონაკლისები, რომელიც შექმნილია ფედერალური მთავრობის მიერ (რომელსაც გააჩნია დიდი კონტროლი საინიგრაციო საკითხებზე) ან გამორიცხავს უცხოელებს პოლიტიკური ფუნქციებისგან, ეს კი კავშირშია სახელმწიფოს მმართველ და დემოკრატიული პროცესის სწორად მიმდინარეობასთან. წიგნში გვხვდება ამ მსჯელობის შესანიშნავი მაგალითი, როგორც არის პოლიციელად ან პრობაციის ოფიცრად, ასევე საჯარო სკოლაში მასწავლებლად მუშაობისთვის მოქალაქის სტატუსის არსებობის აუცილებლობა.

1970-იანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ ორი კლასიფიკაციის შემოწმებისთვის, რომლიდანაც ერთ-ერთი არის სქესი, შეიმუშავა ახალი „intermediate scrutiny“ (ქართულად შეესაბამება განმარტება: ტესტი, რომლის საფუძველზე მოწმდება ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა, ეს გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო დისკრიმინაციულად ექცევა ადამიანს სქესის ნიშნით). შემდგომ, უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა მკაცრი/გაძლიერებული შემოწმების კლასიფიკაციების გაფართოებაზე სექსუალური ორიენტაციის და ასაკის კუთხით. ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობა ამ

საკითხებს ისედაც მოიცავდა. ოფიციალურად მხოლოდ სქესი რჩებოდა „intermediate scrutiny“-ის ქვეშ. დღეის მდგომარეობით შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო სქესობრივ ორიენტაციაზე და ასაკთან დაკავშირებულ საკითხებს თანაბარი დაცვის შესახებ დებულების კონტექსტში განიხილავს.

შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის თანაბარი დაცვის შესახებ დებულება კრძალავს დისკრიმინაციას სქესის მიხედვით. მაგალითად, სასამართლომ ძალადაკარგულად გამოაცხადა კანონი, რომელიც საექთნო სკოლას ქალს უზღუდავდა⁷ და კანონი, რომელიც ალკოჰოლის შეძენის საშუალებას 18 წელს მიღწეულ მხოლოდ მდედრობით სქესის წარმომადგენელს ანიჭებდა უფლებას⁸. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ შეერთებულ შტატებში შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს ორი ძალიან კარგი მაგალითი ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის გაფართოების კუთხით.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვხედავთ, რომ ძალადობის აღმოსაფხვრელად პირველი ნაბიჯი, რაც უნდა გადგას სახელმწიფომ ეს არის, შესაბამისი ეფექტური კანონმდებლობის შექმნა და საკანონმდებლო ჩარხის გაუმჯობესება. ამ კონტექსტში აუცილებელია ავღნიშნოთ 2012 წელს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ შეტანილი ცვლილებები, რომლითაც ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია მოხდა.

თუმცა ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ დიდი გამოწვევის წინაშე დგას, რომელიც მოიცავს აღსრულების მექანიზმის გაუმჯობესებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფას. ზუსტად ეს არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება თითოეული ჩვენი მო-

ქალაქის მიმართ, რომ გაატაროს შესაბამისი ზომები: რომელშიც იგულისხმება მოსამართლეებში, პროკურორებში, პოლიციელებში თანასწორობის საკითხთან დაკავშირებული ცნობიერების ამაღლება. საქართველოს შეუფერხებელი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, ეფექტურად იყოს დაცული საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით გარანტირებული თანასწორობის უფლება:

„ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.“

და ბოლოს, შეერთებული შტატების ისტორიიდან მოცემული მაგალითებით მსურდა დამენახებინა, სასამართლოს გადაწყვეტილებების და განმარტებების როლი ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ განვითარებაში.

7 Mississippi University for Women v Hogan (1982)
8 Craig v. Boren (1976)

VIOLENCE AGAINST WOMEN IN THE 21ST CENTURY TELESCOPE

KEYWORDS: Equality, Development and Appropriate Actions

RESUME

“What can you do to promote world peace? Go home and love your family” – Mother Teresa.

“...Equally significance will be the issuance of published judicial opinions that will have national precedence and help protect the oppressed and victims from constitutionally prohibited behavior and bias.” – Mark A. Speiser, Circuit Court Judge 17th Judicial Circuit, State of Florida.

“Violence against woman is now widely recognized as a serious human rights abuse, and increasingly as an important public health problem with substantial consequences for women’s physical, mental, sexual, and reproductive health”. – Claudia Garcia-Moreno, Henrica AFM Jansen, Mary Ellsberg, Lori Heise, Charlotte H Watts. Domestic violence, domestic crime and violence against woman are one of the urgent and important issues in Georgia.

We will analyze publishing of the restraining orders, violence types, prior history of the violence, some examples of victim’s interviews and statistics of court judgments mainly focused on physical violence. From these statistics we can see the correct as well as erroneous practices of our court system. One important detail in this study that clearly demonstrates the reason why most judges do not see gender motives in violence cases is precisely their lack of extensive knowledge of the context of gender equality. Only on the basis of this knowledge can an individual judge’s perception and consciousness be trained to perceive gender balance and to afford the judge an opportunity to identify gender discrimination as a result of inequality. In my opinion, perhaps in addition to lack of knowledge and insight of the concept of gender equality, it is important for our Country to focus on the issue of sexual bias. Based on the cognitive component of prejudice, we can assume that some judges may already unconsciously have formed an attitude,

mood and expectations about gender balance.

Within my scientific work reference is made to a problem of court's responsibility to mandate abusers to attend behavior training courses to change violent attitudes exhibited by the abuser in order to protect the both the individual victim and society as whole due to minimum number of rehabilitation centers available to provide such services.

An additional important component requiring attention is obligating State to improve the legislative framework and to take appropriate actions. This includes improving awareness of sexual equality issues among judges, prosecutors and police officers. In this context, it

is important to note the amendments made to the Criminal Code of Georgia in 2012 that criminalize domestic violence and in 2018 establishing The Human Rights Protection and Monitoring Department by Ministry of Internal Affairs.

Lastly, yet equally important my work will discuss the meaning of the Equal Protection Clause in The Constitution of United States. Discussion will ensue about the history of equality principle, its classifications, examples from court decisions and most importantly: gender definition and a role of The United States Supreme Court in expanding the scope of Equal Protection Doctrine to provide safeguards against gender discrimination.

IDEA OF PRIVATE PRISONS – THROUGH THE PRISM OF GOALS OF PUNISHMENT

Papuna Guruli

*St. Andrew the First-Called Georgian University of the
Patriarchate of Georgia,
Attorney at Law, General Specialisation*

KEYWORDS: Crime prevention, Expediency, Balance

INTRODUCTION

The present paper aims at bringing about reasonable arguments around the idea of private prisons discussing it through the prism of the goals of punishment. The idea is relevant since Georgia has been experiencing problems regarding its system of corrections, at least during the last decade. For example, in 2012 prisons in Georgia were so terribly overloaded that the Parliament of Georgia approved prisoner amnesty for the purposes of improvement of the situation. Unfortunately, this has caused a rise of crime rate in the next couple of years.¹ The number of prisoners in Georgia is still higher than average.² On the other hand, what can be said about the states, having even the worse situation? How do they handle it? The state, having the largest prison population in the world, is the United States of America.³ The most straightforward solution that the U.S. implements, is to bring elements of private administration into the justice system. Particularly, there are three types of this approach:

- Private management of a new state prison: a state is in need of prison infrastructure. Thus, the state builds a prison and on the

1 Rise of crime rate by 11% by the end of 2013. See: www.idfi.ge

2 260 prisoners per 100 000 of the state's population. See: www.prisonstudies.org

3 Total number of prisoners is 2 121 600 that makes the rate of 650 prisoners per 100 000 of the state's population. See: www.prisonstudies.org

basis of the contract, handles management of the prison to the private company. The state and the company agree on certain service fees, which the state has to pay to the company. On the other hand, the company is taking the full responsibility for managing the prison and providing for the necessary security guaranties;

- Private management of an existing state prison: the prison that is already functioning is handled to the private company for management;
- Private prison and private management: a private company builds up a prison, the company is granted the special permission from the state and on the basis of the contract manages the prison. This may also include an agreement on redemption of the prison from the private company.⁴

At the first glance, it seems logical – if the government is unable to regulate the situation while the private sector is capable of, why not delegate the power to the private sector? The idea seems interesting and even alluring. It has been discussed among the Georgian scholars. Nevertheless, the Georgian model of corrections does not include private prison industry and there is only insignificant delegation of non-sovereign activities within the prison system. The aim of the present paper is to comprehend critically this solution.

METODOLOGICAL BASE

The question – whether a government should authorize individuals and the private legal entities to manage penitentiary and correctional facilities (prisons, jails etc.) – has been a matter of discussion for a long time. The idea of private prisons arisen in the criminal justice system has a large number of supporters in states of common law jurisdictions, while it is less popular in the states of civil law jurisdictions. Debates among legal scholars, acting lawyers and government offi-

cial are not usually fruitful. Each party usually present their arguments but neither of them can come up with a decisive one.

The reasons might not be the lack of the arguments, but rather – the fundamental problem of the methodological base for either of the parties. The issue is that the idea of private prisons is usually discussed through the prism of penitentiary law.⁵ Although it seems logical to discuss an issue around penitentiary facilities through the prism of penitentiary law, actually it is by no means a good idea. Penitentiary law, although being the primary field of law responsible for the regulation of penitentiary system, it can hardly serve as a methodological base for this matter since it lacks deep and elaborated ideas, principle, concepts, etc. about punishment. What can serve as a methodological base – is criminal law, namely, its general part (punishment) that can provide reasonable amount of base knowledge applicable to the subject matter of the discussion. Present article is a humble attempt to comprehend the idea of private prisons through the prism of criminal law, namely, the goals of punishment.

From ancient times, a crime was associated with the punishment in the first place. The scientific term itself – “criminal law” – is interchangeable with its synonym – “penal law”. In German it is called “Strafrecht” (literally – “law on punishment”), similarly, in French – “droit penal”, etc. In Georgian it is called “სისხლის სამართალი” that literally means “law of blood” and comes from “blood price” that was an ancient measure for punishment in Georgia.⁶

For a long time, retribution had been the main and certainly the only purpose of criminal punishment. That literally meant to punish the offender for what he had done, to take a revenge against him. The approach became a foundation for the so called “absolute theories”, developed by Hegel and Kant.⁷ They had used morality as

4 Dolidze T., 2019. General Legal Overview on the System of Private Prisons. Law and the World, №11

5 Dolidze T., the work cited.

6 Team of authors (editors: Nachkebia G., Todua N.), 2018. Criminal Law. General Part. Textbook (Third Edition). “Meridiani” Publishing house, Tbilisi, p. 20.

7 Roxin, Arzt, Tiedemann, 2013. Introduction to Criminal Law and Criminal Procedure Law. 6th edition. C. F. Müller, pp. 4-5.

the methodological base. According to this approach, a criminal offense is a violation of moral norms while punishment is a fair retaliation for that violation. A perpetrator had been considered as having his personal will against the common will of the society and therefore had breached the law. Thus, the punishment had been considered as a measure necessary to be taken in order to restore what had been breached.⁸ Hegel rejected the idea of threat of punishment in terms of crime prevention, as well as, the idea of correction of a perpetrator. He argued that an intelligent human being has a free will. As a result, threatening him, punishing him with the aim of his correction would mean to treat him like an animal.⁹ On the other hand, Kant insisted on “an eye for an eye” principle and argued that a perpetrator must be punished only because he committed a crime. Any kind of a practical utility of criminal sentence was rejected from the very beginning and the issue was solved purely on the basis of morality.¹⁰ That’s why the absolute theories of punishment are frequently called theories of retaliation. The complete rejection of utilitarian reasons means that a perpetrator should be punished only because it is fair, regardless whether it is socially beneficial or not. Accordingly, the perpetrator always gets punishment proportionally to the offender’s blameworthiness.¹¹ The punishment compensates the offender’s culpa and therefore restores the justice. In this regard the absolute theories are oriented on the past, on what already has happened.¹²

As a result of the further scientific comprehension, new ideas about the goals of punishment have been developed. According to them,

punishment must serve social benefit in the first place. These theories are often recalled as “relative theories of punishment” or “utilitarian theories of punishment” and as a methodological base they use utility, instead of morality.¹³ According to Bentham, criminal punishment should be oriented on crime prevention in the first place rather than punishing a perpetrator. In this regard “utilitarian theories” are oriented on the future – on prevention of what has not happened yet.¹⁴

The theory of “special prevention” was developed by Liszt.¹⁵ He argued that the goal of punishment is to influence a perpetrator in such a way that ensures his rehabilitation and resocialization. Development of these ideas resulted in important innovations such as parole, probation etc.¹⁶ The theory of “general prevention” was introduced by Feuerbach.¹⁷ He mainly stressed on the threat of punishment that convinces potential perpetrator not to commit a crime. It means that comprehending the example of a perpetrator being punished, others will become less self-assured and will eventually dismiss the idea of offence. Apart from the direct threat, the idea of general prevention is also based on educative role of criminal law. The most important is to influence on those members of society that are already thinking about committing crime but have not made the final decision yet.¹⁸

Not surprisingly, all of the abovementioned theories had been subject to critics. The problem was that none of them could solve all of the important issues. Discussion around them is still actual. The goals of punishment are usually divided into non-utilitarian and utilitarian goals.¹⁹ But as a result of this controversies instead of choosing what is better, scholars choose to combine both non-utilitarian and utilitarian goals. Eventually the so called “uniting theories” have been developed.²⁰ Their main idea is to balance the goals

8 Tskitishvili T., 2019. Punishment and Sentencing. “Meridiani” Publishing house, Tbilisi, p. 20.

9 Dvalidze I., 2013. General Part of Criminal Law. Punishment and Other Legal Consequences of Crime. “Meridiani” Publishing house, Tbilisi, p. 17.

10 Vacheishvili A., 1960. Punishment and Measures of Social Protection. Stalin Tbilisi State University Publishing House, Tbilisi, pp. 28-31. (In Georgian)

11 Goh J., 2013. Proportionality – An Unattainable Ideal in the Criminal Justice System. Manchester Student Law Review. VOL. II. December, pp. 46-47.

12 Turava M., 2011 Criminal Law. General Part. Concept of Crime. “Meridiani” Publishing house, Tbilisi, p. 42.

13 Vacheishvili A., the work cited, p. 31.

14 Turava M., the work cited, p. 44.

15 Roxin, Arzt, Tiedemann., the work cited, pp. 5-6.

16 Turava M., the work cited, p. 44.

17 Roxin, Arzt, Tiedemann., the work cited, p. 6.

18 Dvalidze I., the work cited, p. 19.

19 Team of Authors (Editor.L Nachkebia G., Todua N.,) the work cited, p. 477.

20 Roxin, Arzt, Tiedemann., the work cited, pp. 6-7.

of retribution, special prevention and the general prevention of crime since none of those goals can give a desirable result on its own. They try to combine all three ideas and make them to balance each other's weak points. It is a hard task since at the first glance those goals contradict each other.²¹ By sentencing, the state must, on the one hand, punish a perpetrator, retaliate him, but on the other hand, take care of him, ease the punishment, if needed, and thus use the small chance of rehabilitation that is still available. Even though they only seem to contradict each other. In reality, the goals of punishment create dialectical unity and contribute to each other.²²

Georgian legislator has also supported "uniting theories" of punishment, when in article 39 section 1 of the Criminal Code of Georgia, adopted in 1999, he established that "The goal of a sentence is to restore justice, prevent repeated commission of a crime and re-socialise the offender".

PRIVATE PRISONS – CONSISTENCY OR CONTRADICTION

Since both legal science and legislators recognize importance of all three goals, every single issue around introduction, sentencing and serving of punishment must be comprehended through the prism of retribution, special prevention and general prevention of crime. These goals are the proper methodological base for rethinking the matter of private prisons. No matter whether it is about private management on new state prison, private management on existing state prison or private management on fully private prison. Since these goals are so deeply comprehended and largely recognised, one can easily assume that every decision that makes it easier to achieve them is acceptable, while every decision that makes it more difficult to achieve

them is unacceptable. This methodological base is what criminal law can offer and what penitentiary law unfortunately lacks.

Not surprisingly, private interest in penitentiary system is about profit. The owner of a prison that is a typical businessperson has the primary goal to earn money. The actual sum of money that he earns is in direct correlation with the number of prisoners in his prison. The more prisoners he houses, the more money the state will pay to him. If the number of prisoners goes down, the business will become less and less profitable and eventually become bankrupt. Of course, the owner will lose the investment he has done years ago. Thus, this is completely unacceptable for the private prison owner. But wait! This is exactly what special prevention requires – the punishment must be imposed in such a way that it supports rehabilitation and resocialization of a perpetrator. However, if more and more perpetrators are rehabilitated and re-socialized, and they never commit crime again, less and less people will get into prison. This is a nightmare for the prison owner. As mentioned above, his direct interest is the following: he wishes to be imprisoned as many people, as possible. Thus, the goal of special prevention really contradicts to the goal of the private prison owner. That is an obvious conflict of interests. The instrument (private prison) contradicts the goal (special prevention) which it should serve in the first place. And it is a fundamental contradiction. The goal of special prevention itself is very difficult to achieve. Everything in prison – from living conditions to legal and psychological aid, cultural events and educational opportunities, must be concentrated on a prisoner and convince him never to commit a crime again. The hardest part of the task is to make him realize that being a law obedient member of society is better than being a person who breaches the law. No doubt, it is very difficult to achieve. Therefore, a rhetorical question arises: is it wise to trust solution of such a complicated task on a person who is directly interested in failure? Of course, no.

The most important sub-goal of special prevention is to prevent recidivism among prisoners.

21 Turava M., the work cited, pp. 45-46.

22 See further: V. J. McGill and W. T. Parry. The Unity of Opposites: A Dialectical Principle. Science & Society. Vol. 12, No. 4 (Fall, 1948), pp. 418-444.

It is vital since a recidivist is a person who is not afraid of punishment any more. He has already been in the prison and is ready to return there again. Being convicted is nothing special for him. It is even part of his life in some way. Thus, the general prevention does not really affect him. So, it is vital for penitentiary system to convince normal perpetrators not to become recidivists. However, the interest of the private prison owner is in increased number of recidivists since those will repeatedly be convicted, thus making his income stable. This is not about a person, this is about the nature of business. Thus, there is an obvious contradiction between the idea of private prisons and the goal of special prevention.

However, there are more issues to be mentioned. One of the most important parts of general prevention is the operative activity, in other words, gathering information and analytical activity that for analyzing the information. That is done by the state authority in order to be informed about criminal activity before it is committed. It is a science on its own.²³ Among others things, it includes:

- interview of a person;
- collection of information;
- surveillance;
- recruitment of secret informants;
- examination of objects and documents;
- setting up an undercover organisation, etc.

The abovementioned must be done during 24/7 in order to control prison and prisoners. Otherwise general prevention of crime within the prison becomes impossible. Yet Another rhetorical question arises: who is going to handle operative and analytical activity in private prison? Private security guards? Of course, no.

The most important sub-goal of general prevention within the prison, is to prevent increasing criminal authority among prisoners. Gang leaders and other high status criminals usually never stop criminal activity after being sentenced. On

the contrary, they continue to command their subordinates that are outside the prison. They try to recruit new members for their criminal organisations, turning ordinary criminals into professional ones. Without wisely established operative and analytical activity, the prison might easily turn into a factory that produces crime. Thus, there is an obvious contradiction between the idea of private prisons and the goal of general prevention.

CONCLUSION

I hope, that the present paper has brought some light over the idea of private prisons. At least the importance of the proper methodological basis has been demonstrated. The idea of private prisons that looked interesting and alluring at the first glance now seems contradictory to the fundamental goals of punishment that it should serve in the first place. Namely, they are as following:

1. An obvious conflict between the interest of a private prison owner (profit) and the aim of special prevention of a crime
2. Inability of the private prison personnel to carry out operative and analytical activity that makes the goal of general prevention unachievable.

Thus, there is a hidden contradiction between the goals and the instrument that is to be taken into account. It has become apparent solely because of criminal law being used as methodological base instead of penitentiary law. Of course, the question – whether the implementation of the private prisons is acceptable – may be a subject of larger discussion, mainly dependant on empirical arguments. The present paper on its part presents arguments regarding the most fundamental principles solely.

²³ Alferov V., Grishin A., Ilin N., 2016. Legal framework of operative-search activity. Tutorial. 3rd Edition. Saratov Social and Economic Institute (branch) REU Saratov. (In Russian)

ქმედების მცირე მნიშვნელობის კვალიფიკაციის თავისებურებები თანამედროვე სისხლის სამართალში

თათია დოლიძე

სამართლის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საკვანძო სიტყვები: პასუხისმგებლობა, სასამართლო, ზიანი

ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომლის შესახებ კოდექსი ერთადერთ ჩანაწერს მოიცავს. შესაბამისად ამ ინსტიტუტის დრმა განმარტებისათვის უმჯობესია საკითხი დამუშავებულ იქნას სხვადასხვა ქრილში.

საკითხი აქტუალურია, იმდენად რამდენადაც ის დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის – დანაშაულის პირველ ელემენტთან ქმედებასთან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი დამუშავებულია იურიდიულ ლიტერატურაში, მაინც ნაწილობრივ ბუნდოვანი რჩება მცირე მნიშვნელობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები, რამაც ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია წარმოშვას კვალიფიკაციის პრობლემები.

წინამდებარე კვლევის მიზანია გაანალიზებულ იქნას თეორიული მასალა, არსებული კანონმდებლობა, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება და ეროვნული სასამართლო პრაქტიკა, რათა ქმედების მცირე მნიშვნელობის შეფასებისთვის მიღებულ იქნას თეორიული დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩვენ მივმართეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სააგენტოს აღნიშნული მუხლით კვალიფიკაციის დეტალური სტატისტიკისთვის, თუმცა ბოლო წლებში ამ მუხლით კვალიფიკაციის სტატისტიკა არ არსებობს. აღნიშნულმა გარემოებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა საკითხის დეტალური კვლევის აუცილებლობაზე.

სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სისხლის სამართალში ამოსავალია თავად ქმედება. ქმედება არის სისხლის სამართლის სამ-საფეხუროვანი სისტემის პირველი ნიშანი, რომლის გარეშეც ყველა სხვა ნიშანს მნიშვნელობა ეკარგება. იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად აღნიშავენ, რომ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები სისხლის სამართალში აგებულია ორკვალიან სისტემაზე, ე.ი. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები.¹ რთულია ბოლომდე გავიზიაროთ აღნიშნული მოსაზრება. ცხადია, კოდექსი დაწვრილებით აღწერს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე მუხლი ასევე შეიცავს დათქმას ქმედების მცირე მნიშვნელობაზე. ამიტომ უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ ქართული კოდექსი იცნობს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა სამ ჯგუფს.

ქმედების მცირე მნიშვნელობა როგორც ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართლის „Ultima Ratio“ პრინციპთან. აღნიშნული პრინციპი მოითხოვს, რომ ქმედებათა კრიმინალიზაცია მოხდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და მხოლოდ იმ ქმედებების, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე, აუტანელია საზოგადოებისათვის. სწორედ ამაშია სისხლის სამართლის ფრაგმენტული ბუნება.² ქმედების მცირე მნიშვნელობა აღნიშნული პრინციპის ერთგვარი გაგრძელება-

ცაა – ინსტიტუცია მოითხოვს უმნიშვნელო ქმედებების შემთხვევაში არ იქნას გამოყენებული ისეთი ბასრი ინსტრუმენტი, როგორც სისხლის სამართალია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილი პრაქტიკულად ერთადერთი ჩანაწერია, რაც გვხვდება ქმედების მცირე მნიშვნელობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში. აღნიშნული მუხლი ადგენს: „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდება მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას,³ ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე“. მაშასადამე მუხლი აღნიშნავს ტერმინს „ზიანი“. ეს გახლავთ ქმედების მცირე მნიშვნელობის შეფასების ერთ ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა. ცხადია, მუხლი არ აზუსტებს, კონკრეტულად რა ტიპის ქმედებებზე შეიძლება გავრცელდეს აღნიშნული დათქმა, თუმცა იქმნება შთაბეჭდილება, რომ მეტწილად ეს უნდა ეხებოდეს ისეთ ქმედებებს, რომელთა შემთხვევაში ასეთი ზიანის დათვლა, გაზომვა შესაძლებელია. მაგალითად, რთულია იმსჯელო ზიანზე, მაშინ როდესაც საქმე გვაქვს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, უფლებების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებთან. გაცილებით მარტივია ზიანზე ემსჯელობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემთხვევაში. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – როგორ უნდა გაიზომოს ზიანი? საიდან ჩაითვლება ზიანი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საპირწონედ. აღნიშნულ კითხვაზე ერთიანი უნივერსალური პასუხი არ არსებობს, თუმცა გარკვეული ინსტრუმენტების გამოყენება მის შესაფასებლად მაინც შესაძლებელია.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის,

1 ტურავა მ. 2011. დანაშაულის მოძღვრება თბილისი, გვ. 323-325.

2 Asworth A. 2013, Principles of criminal law, p.p.50-52.

3 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ელექტონული ბმული: www.matsne.gov.ge

რომ ქმედების მცირე მნიშვნელობის შემთხვევაში ზიანი ფასდება მისი ობიექტური, რეალური საზომით და არა იმ პირის პერსპექტივით, ვისაც მიადგა აღნიშნული ზიანი. თეორიულად შესაძლოა ნივთის ღირებულება 5 ლარს არ სცდებოდეს, მაგრამ კონკრეტული პირისთვის ნივთი შეუფასებელი იყოს, იმის გამო რომ ნივთი ოჯახური რელიქვიაა, ძვირფასი ადამიანის სახსოვარია და ა.შ.⁴ სუბიექტური ღირებულების ქრილში არანაკლებ არსებითია ზიანის გაზომვა პირის ქონებრივი მდგომარეობის ქრილში. მაგალითად, სოციალურად დაუცველისათვის 10 ლარი შესაძლოა გაცილებით არსებითი ზიანი იყოს, ვიდრე უზრუნველყოფილი, მაღალ შემოსავლიანი პირისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში, ზიანი ფასდება ობიექტურად და არა სხვადასხვა სუბიექტური ქვეტექსტის გათვალისწინებით. მაშასადამე, ზიანის შეფასების სუბიექტურ ფარდობითობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

კვალიფიკაციისას საკვანძო მნიშვნელობის საკითხია ქმედების ჩამდენი პირის სუბიექტური მხარე. სსკ-ის მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილით კვალიფიკაციის ამოსავალი პირობაა, რომ პირის განზრახვა არ გასცდეს მცირე მნიშვნელობას, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნება დანაშაული. მაგალითად, თუ პირი მიზნად ისახავს საფულის ამოცლას, იმ მიზნით რომ იქ ფული ეგულებს, მაგრამ რეალურად საფულეში 5 თეთრი აღმოჩნდება, საქმე გვექნება დასრულებულ ქურდობასთან და არა მცირე მნიშვნელობასთან.⁵

რაც შეეხება უშალოდ შეფასებას, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა ერთიან საზომს, მაინც შესაძლებელია გამოვიყენოთ გარკვეული სამიზნე ნიშნულები. პირველ რიგში, ერთ-ერთი ასეთი ნიშნულია სსკ-ით განმარტებული მნიშვნელოვანი ზიანი. კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნა ადგენს უნივერსალურ წესს, რომ მნიშვნე-

ლოვან ზიანად ჩაითვალოს ზიანი, რომელიც აღემატება 150 ლარს. მეორე მხრივ, ამ შემთხვევაში ერთგვარი საზომად შეიძლება გამოდგეს საარსებო მინიმუმის ოდენობაც, რომელსაც ადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველთვიურად. დღეის მდგომარეობით ეს გახლავთ 206.1 ლარი.⁶ მაშასადამე, ქმედების მცირე მნიშვნელობის შეფასებისას სასურველია გათვალისწინებულ იქნას ეს ორი ნიშნული.

მოქმედი კოდექსის პანდექტური ბუნებიდან გამომდინარე, კოდექსი მოიცავს ზოგად და სპეციალურ ნორმებს. ქმედების კვალიფიკაციის ერთ-ერთი უმთავრესი წესია ისიც, რომ ზუსტი კვალიფიკაციისას უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმებს. მაშასადამე, მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილი ზოგადი ნორმაა, რომელსაც ერთგვარი სპეციალური შემადგენლობებიც აქვს კოდექსში. მაგალითად, სსკ 187 მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს ნივთის დაზიანებისა და განადგურებისათვის მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ქმედებას მნიშვნელოვანი ზიანი მოყვა. ასეთი მნიშვნელოვანი ზიანის არარსებობის შემთხვევაში, გამოირიცხება ქმედების შემადგენლობა და შესაბამისად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც.⁷

საპროცესო სამართლებრივი გაგებით, ამ გარემოების არსებობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, პირის უდანაშაულოდ ცნობის საფუძველს.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი საქართველოს კოდექსის მსგავს ჩანაწერს არ ითვალისწინებს მცირე მნიშვნელობის შესახებ. გერმანული კოდექსით ეს არ გახლავთ მატერიალური სამართლის ინსტიტუტი. თუმცაღა საპროცესო ნორმები ითვალისწინებენ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებ-

4 დონჯაშვილი თ.2002. საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი გვ. 154.

5 იქვე.

6 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ელექტრონული ბმული: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi>

7 ტურავა მ. 2011. დანაშაულის მოძღვრება თბილისი, გვ. 61.

ლობას იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი ქმედება მეტად უმნიშვნელოა.⁸ მსგავს პრაქტიკას იზიარებს საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსიც. მეტიც, ფრანგული კოდექსი შეიცავს დანაშაულის საკმაოდ ზოგად დეფინიციას და ის მითითებას აკეთებს კოდექსის სპეციალურ ნორმებზე (ე.ი. კერძო ნაწილის ნორმებზე, კონკრეტული დანაშაულების აღწერილობაზე).⁹ ასეთივე მიდგომაა ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებაც იმის თაობაზე, რომ უმჯობესია სისხლის სამართლის კოდექსი არ მოიცავდეს მცირე მნიშვნელობის თაობაზე დათქმას და ეს საკითხი სრულად მოწესრიგდეს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ქრილში.¹⁰ ჩვენ ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს გაამართლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში მრავლად იქნებიან მაღალკვალიფიციური, შესაბამისი თეორიული ცოდნით აღჭურვილი, სათანადო მომზადების მქონე დამოუკიდებელი კადრები. სხვა შემთხვევაში ასეთი სენსიტიური საკითხის გადანდობა მხოლოდ საგამოძიებო ორგანოებზე დიდ რისკს შეიცავს, რომ ისედაც საკმაოდ რეპრესიული სისტემა კიდევ უფრო რეპრესიულ ხასიათს მიიღებს ან პირიქით, საქმე გვექნება ბოროტად გამოყენებასთან.

საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის ელემენტების სრულად განსხვავებულ სისტემას იცნობდა. საბჭოთა კოდექსში ძირითადი აქცენტი უშუალოდ ქმედებასა და მის საზოგადოებრივ საშიშროებაზე კეთდებოდა. საბჭოთა კოდექსიც იცნობდა დათქმას ქმედების მცირე მნიშვნელობის შესახებ, თუმცა დანაშაულის კონსტრუქციის რადიკალური სხვაობის გამო განსხვავებული იყო მისი შეფასება.

საბჭოთა კოდექსის მოქმედების პირობებში, ქმედების მცირე მნიშვნელობის შეფასება საზოგადოებრივი საშიშროების ქრილში ხდებოდა. მაშინდელი სამართლის თეორიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ მცირე მნიშვნელობის შემთხვევაში, ქმედება არსებობს მხოლოდ ფორმალურად და მოკლებულია ყოველგვარ საზოგადოებრივ საშიშროებას, რის გამოც გამორიცხულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგან საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის აუცილებელი ელემენტია.¹¹ პროფესორი თინათინ წერეთელი ასევე აღნიშნავდა იმასაც, რომ ქმედების მცირე მნიშვნელოვნად შეფასება მოსამართლის მიერ უნდა მოხდეს.¹²

რთულია არ დავეთანხმოთ ქართული სისხლის სამართლის ფუძემდებელ თინათინ წერეთელს – ქმედების მცირე მნიშვნელობა ნამდვილად მოსამართლის შესაფასებელია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომში მიმოვიხილავთ ქმედების მცირე მნიშვნელობის შესახებ არსებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს ქრონოლოგიურად, რათა დასკვნის სახით წარმოვადგინოთ ერთიანი შეჯერებული პოზიცია.

და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის რისკებზე მსჯელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით მოთხოვნილი დასაბუთებული პატიმრობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს⁶⁸.

ევროპული სასამართლო ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმეს და ძალადობრივ ხასიათს მნიშვნელობას ანიჭებს დაკავების სტადიაზე⁶⁹. ამასთან, როდესაც გირაო ავტომატურად გამორიცხულია გარკვეული კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებაში და პატიმრობა უპირობოდ უნდა იქნეს შეფარდებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს მე-5.3 მუხლის დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთ საქმეზე აქვს ნამსჯელი იმასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულ უნდა იქნას თუ არა ნასამართლობა აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას. დანაშაულის ხელახლა ჩადენასთან დაკავშირებით პირის წარსულ ცხოვრებაზე მითითება საკმარისი არ არის განთავისუფლებაზე უარის სათქმელად⁷⁰.

ნასამართლობის გათვალისწინების კუთხით, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხესთან მიმართებით, გასათვალისწინებ-

ბელი და შესაფასებელია ის, თუ რამდენად შეიძლება ადრე ჩადენილი დანაშაულების შედარება ახალ ბრალდებასთან სიმძიმისა და ხასიათის მიხედვით⁷¹.

რიგ შემთხვევებში, საქმის ერთი კონკრეტული გარემოება შესაბამისია აღკვეთის ღონისძიების რამდენიმე საფუძველთან მიმართებაში და შეუძლებელია მსჯელობისას ამ გარემოებების ცალ-ცალკე განხილვა. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, რამდენად დასაბუთებს დანაშაულის ორგანიზებული ხასიათი როგორც მოწმეებზე ზემოქმედებისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხეს, ისე ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს.

„ორგანიზებული დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, პროცესის მწარმოებელ ორგანოებს წინ მნიშვნელოვანი სირთულეები ელოებათ სხვადასხვა წყაროებიდან მტკიცებულებების მოპოვებაში, ფაქტების დადგენასა და ჭკუფის სხვადასხვა წევრის პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრაში. ასეთ შემთხვევებში, ბრალდებულების ერთმანეთთან და სხვა პირებთან კონტაქტზე განუწყვეტლივ ზედამხედველობასა და შეზღუდვას შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს მათი მიმალვის, მტკიცებულებების განადგურება/ფაბრიკაციის და რაც მთავარია, მოწმეებზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად“⁷². „აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისთვის საკმარისი არ არის ის ფაქტი, რომ პირმა ორგანიზებული დანაშაული ჩაიდინა. ამ შემთხვევაში, სასამართლომ ასევე, უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის ქცევა და პირადი ხასიათის სხვა გარემოებები“⁷³.

4.4. საჯარო წესრიგის დაცვა

„საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, პირის მიმართ პატიმრობის გამო-

68 A.B. უნგრეთის წინააღმდეგ, 33292/09, 16 აპრილი, 2013, 23-26; ლაკატოში და სხვები (Lakatos and others) სერბეთის წინააღმდეგ, 3363/08, 7 იანვარი, 2014, 97.

69 მაგალითად, მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (ამიროვი რუსეთის წინააღმდეგ (Amirov v. Russia), განაცხადი no. 51857/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 104); ადამიანის მოტაცება, გამოსასყიდის მიღების მიზნით (არტემოვი რუსეთის წინააღმდეგ (Artemov v. Russia), განაცხადი no. 14945/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 73); ადამიანის მოტაცება, ჩადენილი არაერთგზის, ჭკუფის მიერ, დამამძიმებელ გარემოებებში (ხლოიევი რუსეთის წინააღმდეგ (Khloyev v. Russia), განაცხადი no. 46404/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 98) და სხვ.

70 მიულერი (Muller) საფრანგეთის წინააღმდეგ, 21802/93, 17 მარტი, 1997.

71 ტრიფკოვიჩი (Trifkovic) ხორვატიის წინააღმდეგ, 36653/09, 6 ნოემბერი, 2012, 126.

72 მიერზეიევსკი (Mierzejewski) პოლონეთის წინააღმდეგ, 15612/13, 24 თებერვალი, 2015, 42.

73 ალექსეი მაკაროვი (Aleksey Makarov) რუსეთის წინააღმდეგ, 3223/07, 12 ივნისი, 2008, 50.

ყენება, თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი ყველაზე კონტრავერსიული საფუძველია⁷⁴. ცალკეული კატეგორიის დანაშაულს მისი სიმძიმე და მასზე საზოგადოების რეაქციიდან გამომდინარე, შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებრივი არეულობა და წესრიგის დარღვევა, რამაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შესაძლებელია წინასწარი პატიმრობის გამოყენება გაამართლოს⁷⁵. აღნიშნული მოტივი საკმარისად მიიჩნევა, თუ იგი ემყარება ფაქტებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ გათავისუფლებას შეუძლია ნამდვილად გამოიწვიოს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და საფრთხეც რეალურია⁷⁶.

საფრთხე არ შეიძლება ეფუძნებოდეს არც მხოლოდ წაყენებული ბრალდების და არც მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეს. იგი არ უნდა შეფასდეს აბსტრაქტულად. აუცილებელია, დასაბუთებული იყოს ის, რომ საფრთხის თავიდან აცილების უზრუნველყოფა შეუძლებელია აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების გარდა სხვა საფუძველით. საფრთხის რეალურობის შეფასებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას ისეთი ფაქტორები როგორცაა, დანაშაულის ბუნება, მისი ჩადენის გარემოებები, ბრალდებულისა და დაზარალებულის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და სხვა. საფრთხის შეფასებისას, აუცილებელია, განისაზღვროს საფრთხის ხასიათი და ხარისხი. ერთი და იგივე ქმედებიდან გამომდინარე, საფრთხე შესაძლებელია სხვადასხვაგვარად იქნას

აღქმული სხვადასხვა ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფებში და საზოგადოების სხვადასხვა ფენებში⁷⁷.

საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის მიზანი განსაკუთრებით რელევანტურია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების მასობრივად დარღვევისას, როგორცაა, მაგალითად, ომის დანაშაული სამოქალაქო პირთა წინააღმდეგ და სხვა⁷⁸.

5. აღკვეთის ღონისძიების აღმერთნატიული ზომების გამოყენება

აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, რელევანტური ორგანოები ვალდებული არიან განიხილონ ალტერნატიული ზომები, რაც დაკავებული პირის სასამართლოში გამოცხადებას უზრუნველყოფს⁷⁹. აღნიშნული დებულება გულისხმობს არა მხოლოდ გონივრულ ვადაში გასამართლებას ან დაკავებულის გათავისუფლებას, არამედ, ასევე, იმასაც, რომ დაკავებულის გათავისუფლება შესაძლებელია პირობადადებული იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების უზრუნველყოფით⁸⁰.

5.1 გირაოს გამოყენების წინაპირობები

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი გარანტირებს უფლებას გირაოზე და საქმის განხილვის განმავლობაში გირაოს შეფარდების სასარგებლოდ იხრება. რაც უფრო ჭიანურდება სასამართლო განხილვა, ევროპული სასამართლო გირაოს გამოყენების მოთხოვნას მით უფრო მხარს უჭერს.

74 Lonneke L., 2009. (May), Pre-Trial Detention: The Presumption of Innocence and Article 5 of the European Convention on Human Rights Cannot and Does Not Limit its Increasing Use, European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice 17(2), p.177, https://www.researchgate.net/publication/228295001_Pre-Trial_Detention_The_Presumption_of_Innocence_and_Article_5_of_the_European_Convention_on_Human_Rights_Cannot_and_Do_Not_Limit_its_Increasing_Use (21.03.2019).

75 Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights, Right to liberty and security, Updated on 31 December 2018. P. 37, https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_5_ENG.pdf

76 პრენციპე (Prencipe) მონაკოს წინააღმდეგ, 43376/06, 16 ოქტომბერი, 2009, 79.

77 Minimum standards for the Rights of the Accused During Arrest/ Detention– <http://www.arab-niaba.org/publications/hr/jordan2/eric2-e.pdf>, 1.

78 მილანკოვიჩი და ბოსნაკი (Milankovic and Bosnak) ხორვატიის წინააღმდეგ, 37762/12; 23530/13, 12 სექტემბერი, 2016, 154.

79 იდალოვი (Idalov) რუსეთის წინააღმდეგ, 5826/03, 22 მაისი, 2012, 140.

80 ლელიერე (Lelievre) ბელგიის წინააღმდეგ, 11287/03, 31 მარტი, 2018, 97.

გირაოს საფუძველზე გათავისუფლებაზე უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ ოთხი საფუძვლის არსებობისას: ეს არის მიმალვის საფრთხე, მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე, დანაშაულის აღკვეთის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა.

გირაოს მთავარი მიზანია უზრუნველყოს ბრალდებულის სასამართლო განხილვაზე გამოცხადება და მისი ოდენობა ასევე, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ მიზანს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე – *Neumeister v. Austria*, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლებამ გირაოს ოდენობა გამოითვალა მხოლოდ განმცხადებლისათვის შერაცხული ზიანის მიხედვით, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან შეუსაბამოდ მიიჩნია. გირაოდ გარანტია უნდა უზრუნველყოფდეს არა ბრალდებულის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, არამედ მის დასწრებას საქმის განხილვაზე. გათავისუფლებისთვის მოთხოვნილი გარანტია არ შეიძლება ბრალდებულს იმაზე მეტ ტვირთს აკისრებდეს, რაც უსაფრთხოების გონივრული ხარისხით არის უზრუნველყოფილი.⁸¹ გირაოს თანხა არ უნდა იყოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის, რათა თავიდანვე არ შეიქმნას მოლოდინი იმისა, რომ ბრალდებული ვერ უზრუნველყოფს გირაოს გადახდას და ხელოვნურად გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა.

გირაოს ოდენობა უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რა არის აუცილებელი სასამართლოში გამოცხადების უზრუნველსაყოფად და არა იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს კომპენსაციისთვის შესაძლო პასუხისმგებლობა⁸².

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *Toshev v. Bulgaria*, განაცხადა, რომ როდესაც დადგენილია გირაოს თანხის გადახდის შეუძლებლობის

ფაქტი, დაუშვებელია, ბრალდებულის მიმართ ამ სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. ტოშევის საქმეში ეროვნულმა სასამართლომ არ გამოიკვლია ბრალდებულის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობა და არ შეისწავლა გირაოს ქონებით უზრუნველყოფის საკითხი. ბრალდებულს არ ჰქონდა სასამართლოს მიერ განსაზღვრული გირაოს გადახდის შესაძლებლობა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გირაოს გადაუხდელობის გამო ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა, რომელსაც არაძალადობრივ დანაშაულში ედებოდა ბრალი, კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებს არ შეესაბამებოდა⁸³.

გირაოს ოდენობის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს პატიმრის ქონება და მისი ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებიც გირაოს იხდიან. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის, თუ რამდენად წარმოადგენს გირაოს თანხის დაკარგვა ან თავდები პირის მიმართ საქმის აღძვრა მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მიმალვის სურვილის საკმარის შემაკავებელ ფაქტორს⁸⁴. შესაბამისად, ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ უნდა დაასაბუთონ გირაოს კონკრეტული ოდენობის განსაზღვრის აუცილებლობა თავის გადაწყვეტილებებში⁸⁵ და მხედველობაში უნდა მიიღონ ბრალდებულის ფინანსური შესაძლებლობები გირაოს თანხის გადახდასთან დაკავშირებით⁸⁶. ის ფაქტი, რომ დაკავებული რჩება პატიმრობაში მას შემდეგ, რაც მას აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდება, მიანიშნებს იმაზე, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ გულისყურით არ განსაზღვრეს გირაოს შესაბამისი ოდენობა⁸⁷.

ბრალდებულმა უნდა მიაწოდოს ეროვ-

81 კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., 2003. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბ., გვ. 100.

82 ივანჩუკი (Iwanczuk) პოლონეთის წინააღმდეგ, 25196/94, 15 ნოემბერი, 2001, 66.

83 ტოშევი (Toshev) ბულგარეთის წინააღმდეგ, 56308/00, 10 აგვისტო, 2006, 69-72

84 გაფა (Gafa) მალტის წინააღმდეგ, 54335/14, 8 ოქტომბერი, 2018, 70.

85 გორგიევა (Georgieva) ბულგარეთის წინააღმდეგ, 16085/02, 3 ოქტომბერი, 2008, 15, 30-31.

86 გაფა (Gafa) მალტის წინააღმდეგ, 54335/14, 8 ოქტომბერი, 2018, 70.

87 კოლაკოვიჩი (Kolakovic) მალტის წინააღმდეგ, 76392/12, 19 ივნისი, 2015, 72.

ნულ სასამართლოს ინფორმაცია თავისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გადამოწმდეს⁸⁸. შესაბამისად, განჩინებაში უნდა აისახოს, თუ რა თანხის ოდენობით შუამდგომლობს გირაოს გამოყენებას ბრალდებული და სასამართლოს დასაბუთება დიდი თანხის გირაოს ოდენობად განსაზღვრისას.

„ეროვნული სასამართლოები ისეთივე გულმოდგინებით უნდა მოეკიდონ გირაოს ოდენობის სათანადოდ განსაზღვრის საკითხს, როგორ პატიმრობის გაგრძელების აუცილებლობის საკითხის გადაწყვეტას“⁸⁹.

5.2 პატიმრობის ავტომატურად შეფარდება და საპატიმრო გირაო

„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ყველა ის შემთხვევა, როცა პირს პატიმრობა ავტომატურად ეფარდება, მე-5.3 მუხლთან შეუთავსებელია. ასეთი პატიმრობა დაუსაბუთებელია, რადგან მხოლოდ კანონის ნორმის ან ჩამოყალიბებული პრაქტიკის საფუძველზე ეფარდება. ასეთ შემთხვევებში, პირს დაუსაბუთებლად ერთმევა უფლება მე-5.3. მუხლით უზრუნველყოფილ გარანტიებზე – იქნეს გათავისუფლებული მისი საქმის განხილვის განმავლობაში“⁹⁰.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – Caballero v. The United Kingdom⁹¹ იმსჯელა პატიმრობის ავტომატურად შეფარდების შესაბამისობაზე ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებთან. პირს, რომელსაც ბრალი ედებათა გაუპატიურებაში, უარი ეთქვა

გირაოზე კანონის საფუძველზე, რომელიც გირაოს კრძალავდა გირაოს დანიშვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც ბრალი ედებოდათ განზრახ მკვლელობაში, განზრახი მკვლელობის მცდელობაში, გაუფრთხილებელ მკვლელობაში, გაუპატიურებასა და გაუპატიურების მცდელობაში. ევროპული სასამართლოს წინაშე მოპასუხე სახელმწიფომ აღიარა, რომ კანონმდებლობის აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5.3 მუხლს.

ევროპულმა სასამართლომ პატიმრობის ავტომატურად შეფარდების შესაბამისობაზე კონვენციის 5.3 მუხლის მოთხოვნებთან იმსჯელა საქმეზე – Labita v. Italy⁹². კერძოდ, იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა, რომ პატიმრობის შეფარდების აუცილებლობის სამართლებრივი პრეზუმპცია არსებობდა, როდესაც პირს მაფიის მსგავსი ორგანიზაციის წევრობა ედებოდა ბრალად. მითითებულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ პატიმრობის საფუძველად მხოლოდ დანაშაულზე აბსტრაქტული მითითება და ის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ მიუთითეს არანაირ კონკრეტულ გარემოებაზე, რომელიც განმცხადებლის მხრიდან მომდინარე საფრთხეზე მეტყველებდა, კონვენციის 5.3. მუხლის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა.

ავტომატური პატიმრობის გამოყენების ნებისმიერი სისტემა თავისთავად ხელყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5.3 მუხლის მოთხოვნებს⁹³.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – Piruzyan v. Armenia, განმარტა, რომ გირაოს შეფარდებაზე კანონმდებლობით განსაზღვრული ავტომატური უარი სასამართლო კონტროლის მექანიზმის გარეშე, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დებულებებთან შეუთავსებელია⁹⁴. ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3

88 Leach P., 2017. Taking a Case to the European Court of Human Rights, Fourth Edition, p. 328.
89 ტოშევი (Toshev) ბულგარეთის წინააღმდეგ, 56308/00, 10 აგვისტო, 2006, 68.
90 მჭედლიძე ნ., 2017. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბ., გვ. 90-91.
91 კლაივ კაბალერო (Clive Caballero) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 32819/96, 8 თებერვალი, 2000, 20-21.

92 ლაბიტა (Labita) იტალიის წინააღმდეგ, 26772/95, 6 აპრილი, 2000, 163-165.
93 ილიკოვი (Ilijkov) ბულგარეთის წინააღმდეგ, 33977/96, 26 ივლისი, 2000, 56-59.
94 ფირუზიანი (Piruzyan) სომხეთის წინააღმდეგ, 33376/07, 26 სექტემბერი, 2012, 105.

პუნქტი, ეროვნულ ორგანოებს აკისრებს ვალდებულებას, განაკუთრებული გულისყურით წარმართონ სასამართლო პროცესები მას შემდეგაც, რაც დაკავებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო, თუმცა, იგი რჩება პატიმრობაში, რადგან არ შეუძლია გირაოს თანხის გადახდა⁹⁵.

საპატიმრო გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის თანახმადაც „სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით, მის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არანაკლებ 50%-ისა) შეტანამდე. გირაოს შეტანას ადასტურებს სასამართლო ან პროკურორი“.

„აღნიშნული ნორმის თანახმად, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული დაკავებულია და სასამართლომ გადაწყვიტა გირაოს გამოყენება, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფილია პატიმრობით. სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 პუნქტი უშვებს პატიმრობის ავტომატური შეფარდების შესაძლებლობას, რაც კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.“

თავად ნორმატიულ დონეზე გათვალისწინებული დაკავებული პირის შემთხვევაში მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენისა და მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის მომეტებული რისკები, რითაც განპირობებულია დაკავებული პირის მიმართ გირაოს პატიმრობით უზრუნ-

ველყოფა. კონკრეტულ ბრალდებულთან მიმართებით კონკრეტული ფაქტების განხილვის შეუძლებლობის პირობებში, კანონმდებლობა ვერასოდეს გაითვალისწინებს აღნიშნულ საფრთხეებს იმდაგვარად, რომ ეს პირები დაცულნი იქნენ თავისუფლების თვითნებური შეზღუდვის რისკისგან კონვენციის მე-5.3 მუხლის შესაბამისად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი ითვალისწინებს პატიმრობის სასარგებლოდ კანონით გათვალისწინებულ პრეზუმციას, რაც გულისხმობს მტკიცების ტვირთის ბრალდებულზე გადატანას – ბრალდებულმა უნდა ამტკიცოს პატიმრობის მიზანშეუწონლობა. სადავო მუხლი არანაირ გამონაკლისს არ ითვალისწინებს დაკავებული პირის მიმართ შეფარდებული გირაოს პატიმრობით უზრუნველყოფიდან.

ამგვარად, დაკავებული პირის მიმართ გამოყენებული გირაოს პატიმრობით უზრუნველყოფისას ხელყოფილია კონვენციის მე-5.3 მუხლის მოთხოვნა, პატიმრობა იყოს დასაბუთებული⁹⁶.

დასკვნა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკანონმდებლო რეგლამენტაციის ნაწილში ძირითადად კონვენციის მე-5 მუხლს შეესაბამება.

საკანონმდებლო დონეზე დეკლარირებულია პატიმრობის, როგორც „ერთადერთი საშუალების“ და უკიდურესი ღონისძიების გამოყენების წინაპირობები და ამომწურავი საფუძვლები. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს სსსკ-ის 198-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ბრალდებულს პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს, თუ დასახული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად

95 გაფა (Gafa) მალტის წინააღმდეგ, 54335/14, 8 ოქტომბერი, 2018, 71; კოლაკოვიჩი (Kolakovic) მალტის წინააღმდეგ, 76392/12, 19 ივნისი, 2015, 74.

96 მჭედლიძე ნ., 2017. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბ., გვ.93.

მკაცრი ღონისძიების გამოყენებით. სსსკ-ის 206-ე მუხლი აწესებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, გაუქმების ან შეცვლის შესახებ როგორც შუამდგომლობის, ისე სასამართლოს განჩინების დასაბუთების ვალდებულებას, რაც თანხვედრაშია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სტანდარტთან.

სსსკ-ის 206-ე მუხლის თანახმად, დაცვის მხარის მიერ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვას ნებისმიერ დროს ითვალისწინებს, მაგრამ იმ პირობით, რომ გამოვლენილია რაიმე ახალი გარემოება აღკვეთის ღონისძიების გადასასინჯად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაცვის მხარის მიერ ახალი გარემოების წარდგენის გარეშე აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვას არ ითვალისწინებს, რაც ხშირად, ილობურულს ხდის დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის შედეგად,

აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის შესაძლებლობას.

საპატიმრო გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან შეუსაბამოა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი, რომელიც უშვებს პატიმრობის ავტომატური შეფარდების შესაძლებლობას, რაც კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ძირითადად შეესაბამება კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებულ თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას და ადგენს პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენების პრინციპს, მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი დახვეწის მიზნით, მასში სრულყოფილად იქნას იმპლემენტირებული კონვენციის მე-5 მუხლის სტანდარტები.

ლიტერატურა:

1. ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., 2016. ექვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბ., გვ. 15, https://www.osgf.ge/files/2016/Publications/Reports_GEO-ENG-Web.pdf
2. ტრექსელი შ., 2009. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., გვ. 441.
3. ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტკარაძე ა., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჭორბენაძე ს., 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., გვ. 139.
4. კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., 2003. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბ., გვ. 100.
5. მჭედლიძე ნ., 2017. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბ., გვ. 90-91.

THE ANALYSIS OF THE RECENT
STANDARDS OF APPLYING
COMPULSORY MEASURES
ACCORDING TO THE CASE LAW
OF THE EUROPEAN COURT
OF HUMAN RIGHTS
(The Analysis of the Criminal Procedure
Code of Georgia and its Compliance
with the Case Law of the European Court
of Human Rights)

Tamar Avaliani

*Doctor of Laws, Associate Professor at the Caucasus
International University*

KEYWORDS: Liberty, Presumption, Violation

RESUME

The present article – “The Analysis of the Recent Standards of Applying Compulsory Measures according to the Case Law of the European Court of Human Rights (The Analysis of the Criminal Procedure Code of Georgia and its Compliance with the Case Law of the European Court of Human Rights)” – discusses the recent case-law of the European Court of Human Rights on Article 5 of the European Convention together with the compliance of the Criminal Procedure Code of Georgia in terms of applying compulsory measures. The author explores the problematic aspects of Criminal Procedure Code

of Georgia regarding the application of the compulsory measures, such as arrest and bail. The article analyses the best practices and the recent standards of the ECtHR, as well as imperfections of the Criminal Procedure Code of Georgia.

NOTES:

1. Ress G., „The Effect of Judgments and Decisions in Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights”, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), p. (in English)
2. Bratza N., „The Treatment and Interpretation of the European Convention on Human Rights By the English Court, in: Aspects of Incorporation of the European Convention of Human Rights into Domestic Law”, J.P. Gardner (Ed.), p. 69; (in English)
3. Janis M. W., Kay r. S., Bradley A.W., „European Human Rights law”, Text and materials, third ed. 2008, p. (in English)
4. Jimeno-Bulnes M., „Towards Common Standards on Rights of Suspected and Accused persons in Criminal Proceedings in the EU?”, February., CEPS, (in English)
5. Winterwerp vs. Netherlands, 6301/73, 24 October, 1979, (in English)
6. Buzadji vs. Moldova, 23755/07, 5 July, 2016, (in English)
7. Donna C., (February). „Deprivation of Liberty: Has the European Court of Human Rights Recognised a ‘Public Safety’ Exception, Merkourios”, Volume 29, p. 33 <https://utrechtjournal.org/articles/abstract/5334/ujiel.bl/> (2019). (in English)
8. Lawless vs. Ireland, 332/57, 1 July, 1961, 13- (in English)
9. Ladent vs. Poland, 11036/03, 18 March, 2008, 55- (in English)
10. Labita vs. Italy, 26772/95, 6 April, 2000, (in English)
11. Mowbray A., „Cases, Materials, and Commentary on the European Court on Human Rights” (3rd edn), p. <http://www.oxfordlawtrove.com/view/1093/he/0001/he-9780199577361-chapter-> (2019); (in English)
12. Winterwerp vs. Netherlands, 6301/73, 27 November, 1981,
13. Kurt vs. Turkey, 5/1997/799/1002, 25 May, (in English)
14. Giorgi Nikolaishvili, π37048/04, 13 January, 2009, paragraph.75; Patsuria vs. Georgia, 30779/04, 6 November, 2007, 66- (in Georgian)
15. Bakhmutskiy vs. Russia, 36932/02, 25 June, 2009, 135- (in English)
16. Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, P.211 (in English)
17. Aydin Y., „The delimitation of the scope of one of the guarantees of personal security set out in the European Convention on Human Rights”, p. (in English)
18. Mehmet Hasan Altan vs. Turkey, 13237/17, 10 September, 2018, (in English)
19. Tsarkov vs. Russia, 16854/03, 16 July, 2009, 45; (in English)
20. Selahattin Demirtas vs. Turkey, 14305/17, 20 November, 2018, paragraph.; Ilgar Mammadov vs. Azerbaijan, 15172/13, 20 May, 2014, (in English)
21. Bokhashvili B., Mshvenieradze G., Kandashvili I., Procedural Rights of the Suspects in Georgia, Tb., p. 15, https://www.osgf.ge/files/2016/Publications/Reports_GEO-ENG-Web.pdf (in Georgian)
22. Merabishvili vs. Georgia, 72508/13, 28 November, 2017, (in Georgian)

23. Steel and others vs. UK, 67/1997/851/1058, 23 September, 1998, (in English)
24. Labita vs. Italy, 26772/95, 6 April, 2000, (in English)
25. Talat Tepe vs. Turkey, 31247/96, 21 March, 2005, (in English)
26. Murray vs. UK, 14310/88, 28 October, (in English)
27. Merabishvili vs. Georgia, 72508/13, 14 June, 2016, 72-77; (in Georgian)
28. Leach P., Taking a Case to the European Court of Human Rights, Fourth Edition, p. (in English)
29. Boicenco vs. Moldova, 41088/05, 11 July, 2006, 142- (in English)
30. Selahattin Demirtas vs. Turkey, 14305/17, 20 November, 2018, (in English)
31. Treksel S., Human Rights in the Criminal Procedural Law, Tb., p. Fox, Campbell and Hartley vs. UK, 12244/86, 30 August, 1990, (in Georgian)
32. K-F vs. Germany, 44/1996/76/962, 27 November, (in English)
33. Macovei M., The Right to Liberty and Security of the Person, a guide to the implementation of article 5 of the European Convention of Human Rights, Human rights handbook, no.5, p.
34. Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, UNITED NATIONS, New York and Geneva, p. (in English)
35. Burduli I., Gotsiridze E., Erkvania T., Zoidze B., Izoria L., Kobakhidze I., Loria A., Macharadze Z., Turava M., Pirtskhalashvili A., Putkaradze A., Kantaria B., Tsereteli D., Jorbenadze S., Commentaries on the Constitution of Georgia, Section 2, Citizenship of Georgia. Basic Rights and Freedoms, Tb., p. (in Georgian)
36. S., V. and A. v .Denmark, 35553/12, 36678/12 and 36711/12, 22 October, (in English)
37. Benham vs. UK, 19380/92, 10 June, 1996, (in English)
38. Shimovolos vs. Russia, 30194/09, 21 June, 2011, (in English)
39. The complexity of the case against the person may be taken into consideration, though only this factor itself is not enough for continuing the arrest.
40. Buzadji vs. Moldova, 23755/07, 5 July, 2016, 88; Piruzyan vs. Armenia, 33376/07, 26 September, 2012, (in English)
41. Merabishvili vs. Georgia, 72508/13, 28 November, 2017, (in Georgian)
42. Nedim Sener vs. Turkey, 38270/11, 8 July, 2014, (In English)
43. W v. Vs. Switzerland, 14379/88, 26 January, 1993, (in English)
44. Khodorkovsky vs. Russia, 5829/04, 31 May, 2011, (in English)
45. Mikhalkchuk vs. Russia, 33803/04, 23 April, 2015, 53- (in English)
46. Letellier vs. France, 12369/86, 26 June, 1991, (in English)
47. Panchenko vs. Russia, 45100/98, 8 May, 2005, 106; Mansur vs. Turkey, 16026/90, 8 June, 1995, (in English)
48. Becciev vs. Moldova, 9190/03, 4 October, 2005, (in English)
49. Letellier vs. France, 12369/86, 26 June, 1991, (in English)
50. Jablonski vs. Poland, 33492/96, 21 December, 2000, (in English)
51. Sulaoja vs. Estonia, 55939/00, 15 February, 2005, (in English)
52. Neumeister vs. Austria, 1936/63, 27 June, 1968, (in English)
53. Merabishvili vs. Georgia, 72508/13, 28 November, 2017, (in Georgian)
54. Trzaska vs. Poland, 25792/94, 11 July, 2000, (in English)
55. Ahmet Ozkan vs. Turkey, 21689/93, 6 April, 397-398 (in English)
56. Lelievre vs. Belgium, 11287/03, 8 November, (in English)
57. Belchev vs. Bulgaria, 39270/98, 8 April, 2004, (in English)

58. Kostadinov vs. Bulgaria, 55712/00, 7 February, 2008, 78-(in English)
59. Merabishvili vs. Georgia 72508/13, 28 November, 2017, (in Georgian)
60. Patsuria vs. Georgia, 30779/04, 6 November, 2007, 71 (in Georgian)
61. Merabishvili vs. Georgia, 72508/13, 14 June, 2016, 89-(in Georgian)
62. Yevgeniy Gusev vs. Russia, 28020/05, 5 December, 2013, (in English)
63. Aleksandr Makarov vs. Russia, 15217/07, 12 March, 2009, 129- (in English)
64. Mikiashvili v. Georgia), 18996/06, 9 January, 2013, (in Georgian)
65. Letellier vs. France, 12369/86, 26 June, 1991, (in English)
66. Sopin vs. Russia, 57319/10, 18 December, 2012, (in English)
67. Dragin vs. Croatia, 75068/12, 24 July, 2014, (in English)
68. Bykov vs. Russia, 4378/02, 10 March, 2009, (in English)
69. A.B. vs. Hungary, 33292/09, 16 April, 2013, 23-26; Lakatos and others vs. Serbia, 3363/08, 7 January, 2014, (in English)
70. For example, murder in aggravating circumstances Amirov v. Russia, application no. 51857/13, Judgment of European Court of Human Rights (27 November 2014; paragraph.104), kidnapping a person for the aim of receiving ransom , Artemov v. Russia, application no. 14945/03 (Judgment April 3, 2014, paragraph. 73); kidnapping of a person repeatedly and by a group in the aggravating circumstances (Khloyev v. Russia), application no. 46404/13, Judgment of 2015, February 5, paragraph 98 and etc. (in Georgian)
71. Muller vs. France, 21802/93, 17 March, (in English)
72. Trifkovic vs. Croatia 36653/09, 6 November, 2012, (in English)
73. Mierzejewski vs. Poland, 15612/13, 24 February, 2015, (in English)
74. Aleksey Makarov vs. Russia, 3223/07, 12 June, 2008, (in English)
75. Lonneke L., (May), Pre-Trial Detention: The Presumption of Innocence and Article 5 of the European Convention on Human Rights Cannot and Does Not Limit its Increasing Use, European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice 17(2), p.177, https://www.researchgate.net/publication/228295001_Pre-Trial_Detention_The_Presumption_of_Innocence_and_Article_5_of_the_European_Convention_on_Human_Rights_Cannot_and_Do_Not_Limit_its_Increasing_Use (2019). (in English)
76. Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights, Right to liberty and security, Updated on 31 December P. 37, https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_5_ENG.pdf (in English)
77. Prencipe vs. Monaco, 43376/06, 16 October, 2009, (in English)
78. Minimum standards for the Rights of the Accused During Arrest/ Detention– <http://www.arab-niaba.org/publications/hr/jordan2/eric2-e.pdf>, (in English)
79. Milankovic and Bosnak vs. Croatia, 37762/12; 23530/13, 12 September, 2016, (in English)
80. Idalov vs. Russia, 5826/03, 22 May, 2012, (in English)
81. Lelievre vs. Belgium, 11287/03, 31 March, 2018, (in English)
82. Korkelia K., Mchedlidze N., Nalbandovi A., The the compliance of the Georgian legislation with the European Convention and its optional protocols' standards. Tb., p. (in Georgian)
83. Iwanczuk vs. Poland, 25196/94, 15 November, 2001, (in English).
84. Toshev vs. Bulgaria, 56308/00, 10 August, 2006, 69-72 (in English)
85. Gafa vs. Malta, 54335/14, 8 October, 2018, (in English)
86. Georgieva vs. Bulgaria, 16085/02, 3 October, 2008, 15, 30- (in English)
87. Gafa vs. Malta, 54335/14, 8 October, 2018, (in English).
88. Kolakovic vs. Malta, 76392/12, 19 June, 2015, (in English)

89. Leach P., Taking a Case to the European Court of Human Rights, Fourth Edition, p. (in English)
90. Toshev vs. Bulgaria, 56308/00, 10 August, 2006, (in English)
91. Mchedlidze N., The standards of application of European Convention of Human Rights by the general courts of Georgia Tb., p. 90-(in Georgian)
92. Clive Caballero vs. U.K, 32819/96, 8 February, 2000, 20-(in English)
93. Labita vs. Italy, 26772/95, 6 April, 2000, 163- (in English)
94. Ilijkov vs. Bulgaria, 33977/96, 26 July, 2000, 56- (in English)
95. Piruzyan vs. Armenia, 33376/07, 26 September, 2012, (in English)
96. Gafa vs. Malta, 54335/14, 8 October, 2018, 71; Kolakovic vs. Malta, 76392/12, 19 June, 2015, (in English)
97. Mchedlidze N., The standards of application of European Convention of Human Rights by the general courts of Georgia Tb., p. (in Georgian).

BIBLIOGRAPHY:

1. Bokhashvili B., Mshvenieradze G., Kandashvili I., 2016. Procedural Rights of the Suspects in Georgia, Tb., p. 15, https://www.osgf.ge/files/2016/Publications/Reports_GEO-ENG-Web.pdf (in Georgian);
2. Treksel S., 2009. Human Rights in the Criminal Procedural Law, Tb., p. 441 (in Georgian).
3. Burduli I., Gotsiridze E., Erkvania T., Zoidze B., Izoria L., Kobakhidze I., Loria A., Macharadze Z., Turava M., Pirtskhalashvili A., Putkaradze A., Kantaria B., Tsereteli D., Jorbenadze S., 2013. Commentaries on the Constitution of Georgia, Section 2, Citizenship of Georgia. Basic Rights and Freedoms, Tb., p. 139. (in Georgian).
4. Korkelia K., Mchedlidze N., Nalbandovi A., 2003. The the compliance of the Georgian legislation with the European Convention and its optional protocols' standards. Tb., p. 100. (in Georgian).
5. Mchedlidze N., 2017. The standards of application of European Convention of Human Rights by the general courts of Georgia Tb., p. 93.(in Georgian).

მეულღეთა საერთო საკუთრების კანონისმიერი რეჟიმი (საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის ანალიზი)

ნიკოლოზ ფხალაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: თანასაკუთრება, კანონისმიერი, საჯაროობა

შესავალი

მეულღეთა თანასაკუთრების დადგენას სამოქალაქო სამართალში დიდი მნიშვნელობა აქვს. საკითხი თანამედროვე ცხოვრებაში მეტად საინტერესოა, ვინაიდან ქორწინების რეგისტრაცია არის უფლება-მოვალეობების წარმომქმნელი იურიდიული ფაქტი, რომელიც მეულღეებს შორის მათი ქონების სტატუსს განსაზღვრავს როგორც ერთად თანაცხოვრების პერიოდში, ასევე განქორწინების დროს (სსკ-ის 1151-ე მუხლი). ამასთან, ვინაიდან მეულღეთა ქონებრივი ურთიერთობების რეგისტრაცია სანივთო სამართლის მონესრიგების სფეროცაა, ნიშანდობლივია იმის განსაზღვრა, თუ რა სტატუსი აქვს იმ ქონებას, რომელსაც მეულღეები ერთად შექმნიან. ასევე, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს მეულღის მცირედი მონაწილეობით შექმნილი ქონების სამართლებრივი სტატუსი. საკითხის საინტერესო მხარე ისიცაა, რომ მეულღეთა საქორწინო ურთიერთობა სპეციფიკური ხასიათისაა და სწორედ ამიტომ აღნიშნული სტატიის მიზანია მეულღეთა ინდივიდუალური და თანაბარი ქონების სამართლებრივი რეჟიმის ზოგიერთი ასპექტის განსაზღვრა.

უძრავ ნივთის შეძენის რთული პროცედურა პრაქტიკაში განსაკუთრებით აქტუალურია მეუღლეთა თანასაკუთრებასთან დაკავშირებით, როცა მართალია, ფაქტობრივი თვალსაზრისით მეუღლეთა თანასაკუთრება არსებობს, თუმცა იურიდიულად ქონება მხოლოდ ერთი მეუღლის სახელზეა აღრიცხული. ესე იგი, გასარკვევია, როგორია ფაქტობრივ და იურიდიულ თანასაკუთრებას შორის დამოკიდებულება, სახელდობრ, რომელია უპირატესი და რა კრიტერიუმის გამო. დასადგენია, რა მნიშვნელობა აქვს საჯარო რეესტრს.

არანაკლებ პრობლემურია არარეგისტრირებული თანასაკუთრება, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე მისი მეუღლის თანხმობის გარეშე ასხვისებს უძრავ ნივთს და ამის შესახებ არარეგისტრირებული მეუღლე ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ იგებს. აქ გასარკვევია, რა სამართლებრივი შედეგები წარმოიშობა კეთილსინდისიერი შემძენისათვის, როდესაც თანამესაკუთრე მეუღლე აღნიშნული ხელშეკრულების ბათილობის საკითხს დასვამს.

როგორც განქორწინების, ისე ქორწინების დროს შეიძლება მეუღლეთა ქონების გაყოფის საკითხი დადგეს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ-ის) 1160-ე მუხლი არ ადგენს მეუღლეთა მიერ საერთო ქონების განკარგვის იმ წესებს, რომლებიც გამომდინარეობენ მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის განსხვავებული რეჟიმიდან.¹ ამ სტატიაში მეტწილად ყურადღება გამახვილდება უძრავი ნივთის მიმართ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის განსაზღვრაზე.

1. მეუღლეთა თანასაკუთრების, როგორც საერთო საკუთრების ერთ-ერთი ფორმის, წარმოშობის საფუძვლები

საერთო საკუთრება, როცა ქონება ერთობლივად რამდენიმე პირს ეკუთვნის. შესაბამისად, თითოეული მათგანი მიიჩნევა ამ ქონების თანამესაკუთრედ.² თვით სსკ-ის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. კანონიდან გამომდინარე საერთო (თანაზიარი)

საკუთრების ერთ-ერთი სახეს წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრება.³ თანაზიარი საკუთრება მაშინ არსებობს, როცა თითოეული თანამესაკუთრის წილი საერთო ქონებაში არის იდეალური წილის სახით. თუ სხვა რამ არაა დადგენილი, მაშინ თითოეულ თანამესაკუთრეს თანაბარი წილი ეკუთვნის.⁴

მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება საერთოა და ვრცელდება კანონისმიერი ვალდებულების სამართლებრივი რეჟიმი, თუ საქორწინო ხელშეკრულებით არ იქნება ურთიერთობა სხვანაირად მოწესრიგებული (სსკ-ის 1158-ე მუხლი). სსკ-ის 1158-ე მუხლისაგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნორმებით დადგენილია, რომ მეუღლეთა თანასაკუთრება წარმოიშობა მაშინ, თუ ეს საქორწინო ხელშეკრულებითაა დადგენილი. ამასთან, გსკ-ის 1415-ე მუხლიდან ჩანს, რომ თუ მეუღლეები საქორწინო ხელშეკრულებით თანხმდებიან მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმზე, მაშინ მოქმედებს გსკ-ის შემდგომი მუხლები მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების შესახებ. აქვე საგულისხმოა, რომ მეუღლეთა პირად ქონებას განეკუთვნება ის ქონება, რომელიც

1 ჩიკვაშვილი შ., 2002, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, ურნალი „სამართალი“, N11-12, გვ. 41.

2 ზოიძე ბ., 2003. ქართული სანივთო სამართალი, მე-2 ვადაშეკრვა. გამოცემა, გვ. 102.

3 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის N2ბ/500-09 გადაწყვეტილება.

4 თოთლაძე ლ., 2018. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-2, მუხ-173. გვ. 80.

საქორწინო კონტრაქტით საერთო ქონებიდან გამოირიცხა. შესაბამისად, ის ცალკეული საგნები, რომლებიც არ გამოირიცხულა მეუღლეთა საერთო ქონებიდან, ისინი საერთო საკუთრებად განიხილება⁵. თუმცა ეს წარმოიშობა ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან, ვინაიდან თუ ქალისა და მამაკაცის კავშირი რეგისტრირებული არაა შესაბამის სახელმწიფო ორგანოში, იურიდიული თვალსაზრისით, იგი ქორწინებად არ ითვლება და წარმოადგენს მხოლოდ ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრებას.⁶ ასეთი ფაქტობრივი ქორწინება არ წარმოშობს მექორწინებისათვის სასურველ სამართლებრივ შედეგებს (სსკ-ის 1151-ე მუხლი) და მათ შორის არ მოქმედებს მეუღლეთა თანაბიარი საკუთრების რეჟიმი.

ამასთან, ე. წ. „ეკლესიური ქორწინება“ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს. სწორედ ამიტომ თუ ასეთი კავშირი არ დარეგისტრირებულია, მაშინ ივარაუდება, რომ მეუღლეებს შორის ქონებრივი ურთიერთობები არც წარმოშობილა. შესაბამისად, ამ პირობებში შექმნილი ნივთებიც ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად განიხილება.⁷ აქვე საგულისხმოა, რომ საოჯახო ურთიერთობები ფართო ხასიათისაა, მოიცავს როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ ურთიერთობებს. ამიტომ ოჯახური ურთიერთობა არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობებით და შეიძლება მოიცავდეს სხვა de facto ოჯახურ კავშირებს, თუ მხარეები ერთად ცხოვრებენ ქორწინების გარეშე.⁸

2. ინდივიდუალური საკუთრებისა და თანასაკუთრების განსაზღვრა

კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ (ანუ განცალკევებულ) და თანაბიარ საკუთრებად ანუ თანასაკუთრებად. ინდივიდუალური ქონება ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონ განკარგავს. რაც შეეხება თანაბიარ საკუთრებას, იგი მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონებაა და მათ უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება მეუღლეთა ერთობლივი მოხმარების საგნები, ფულადი შემოსავალი და ხელფასი, არააქვს მნიშვნელობა მათ მიღების წყაროს. თანაბიარია მხოლოდ ის ქონება, რომელიც შექმნილია მეუღლეთა საერთო სახსრებით და განკუთვნილია საერთო სარგებლობისთვის. შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლის გამგებლობაში აღმოჩნდეს ისეთი ქონება, რომელიც არ ატარებს ინდივიდუალური მოხმარების ხასიათს, მაგალითად: საცხოვრებელი სახლი, ავტომანქანა, ნივთების კოლექცია, ფულადი სახსრები. ინდივიდუალურად ჩაითვლება ისეთი ქონება, თუ მან ეს ქონება მიიღო, მემკვიდრეობით ან ჩუქებით, მხედველობაშია მისაღები ისეთი ფაქტი, როდესაც მემკვიდრეობის დამტოვებელმა, ქონება მემკვიდრეობით დაუტოვოს ორივე მეუღლეს ან უფრო მეტიც ქონების გამჩუქებელმა მეუღლეები დაასაჩუქროს. ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონება თავისი სამართლებრივი ბუნებით ინდივიდუალური ხასიათის უნდა იყოს, უფრო მეტიც შესაძლებელია ქონება ქორწინების პერიოდში იყოს შექმნილი და საერთო მოხმარების დანიშნულებაც გააჩნდეს მას, მაგალითად: მანქანა, მაგრამ თუ იგი შექმნილია მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული თანხების საფუძველზე, იგი უნდა ჩაითვალოს ინდივიდუალური საკუთრების ქონებად, თუმცა მეუღლეთა სახსრებით შექმნილი ყველა ქონება არ ითვლება მათ თანასაკუთრებად.⁹

5 BGB § 1415, § 1416 II.
 6 იხ. ბიჭია მ., 2019. ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობების სამართლებრივი მნიშვნელობა, უურნალი „მსოფლიო და სამართალი“, N 11, 31-32.
 7 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2002 წლის 3 აპრილის №3კ/1272-01 გადაწყვეტილება.
 8 ბიჭია მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., გვ. 74.

9 შენგელია რ., შენგელია ე., 2017. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გვ.123-124.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს მსჯელობა: საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია მოპასუხის მიერ 2014 წლის 19 თებერვალს შექმნილი სადავო ქონების 1/2 წილზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარების მართლობიერება. კასატორი აღნიშნავდა, რომ სადავო უძრავი ნივთი, მან ნაჩუქარი ფულით შეიძინა, ქორწინების განმავლობაში. ამდენად, იგი თვლიდა, რომ ზემოთხსენებული ნივთი მის ინდივიდუალურ თანასაკუთრებად უნდა მიჩნეულიყო (სსკ-ის 1161-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სადავო უძრავი ნივთი მოპასუხემ მამის ნაჩუქარი ფულით შეიძინა, იგი მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებად არ უნდა ჩაითვალოს. ქორწინებაში მყოფი მეუღლის მიერ საჩუქრად მიღებული ნივთის საკუთრების ფორმის განსაზღვრისთვის არსებითია, დადგინდეს მჩუქებლის ნება. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მამის ნება მოპასუხის ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნვისკენ იყო მიმართული, რაც იმით დასტურდება რომ მოპასუხე აღნიშნულ ბინაში მეუღლესთან და შვილებთან ერთად ცხოვრობდა. აღნიშნული ბინა მთლიანი ოჯახისთვის იყო განკუთვნილი და მოკლებული იყო ინდივიდუალური მოხმარების ხასიათს.¹⁰ ეს გადაწყვეტილება საინტერესოა იმ კუთხით, რომ ქორწინების განმავლობაში შექმნილმა ქონებამ, რომელიც ერთი შეხედვით „ინდივიდუალური მოხმარების“ ობიექტია, შეიძლება განიცადოს სამართლებრივი ტრანსფორმაცია, რაც დამოკიდებულია, ერთი მხრივ, მჩუქებლის ნებაზე და მეორე მხრივ, უძრავი ნივთის დანიშნულებაზე, თუ რა დანიშნულებით გამოიყენება აღნიშნული ქონება. ამდენად, მიმაჩნია, რომ უზენაესმა სასამართლომ სწორად იმსჯელა, როდესაც ქონება გაყო, და 1/2 ნაწილი მეუღლეს მიაკუთვნა.

ასევე, საინტერესოა უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება: მოსარჩელე და კასატორი ერთმანეთთან ქონების თანასაკუთრებად მიჩნევაზე და-

ვობდნენ. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ პირმა სადავო უძრავი ნივთი შეიძინა ქორწინებამდე, ნასყიდობის ხელშეკრულებით, და თანხაც გადაიხადა, თუმცა რეგისტრაცია არ განუხორციელებია. უძრავი ნივთი მან დაარეგისტრირა ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება არის მათ საერთო ქონება (თანასაკუთრება), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არაა დადგენილი (სსკ-ის 1158-ე მუხლი). ამ საქმეში უძრავი ნივთი ქორწინებამდე იყო შექმნილი, მაგრამ ქორწინების განმავლობაშია დარეგისტრირებული. ამასთან, მეორე მეუღლეს ამ უძრავი ნივთის გაუმჯობესებაში მონაწილეობა არ მიუღია. ამდენად, უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებაც არ მომატებულია. ამდენად, სასამართლომ სამართლიანად ჩათვალა სადავო ნივთი ინდივიდუალურ საკუთრებად.¹¹

ამასთან, მეუღლეებს შეუძლიათ საქორწინო ხელშეკრულებით გაითვალისწინონ ქონების ამა თუ იმ სახისათვის დამახასიათებელი ტრადიციული სამართლებრივი რეჟიმის შეცვლა. ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონება თანაზიარად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მეუღლე ეწეოდა საოჯახო სამქიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზების გამო არ ჰქონდა დამოიკიდებელი შემოსავალი. მეუღლეებს გააჩნიათ თანაზიარი საკუთრების განკარგვის თანაბარი უფლებები. შესაბამისად, ისეთი შეთანხმება, რომელიც ზღუდავს რომელიმე მეუღლის უფლებამოსილებას, ბათილად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ ნორმებს. შესაძლებელია მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ინდივიდუალური საკუთრების ყველა ობიექტი ან ნაწილი ჩაითვალოს თანაზიარ საკუთრებად.¹²

10 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.04.2019 გადაწყვეტილება, საქმე №ას-963-2018.

11 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გავორების საქმეთა პალატის 2006 წლის 8 სექტემბრის №ას-33-483-06 გადაწყვეტილება.

12 შენგელია რ., შენგელია ე., 2017. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გვ. 124.

3. მეუღლის ქონების გადაქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად თოთოეული მეუღლის ქონება შეიძლება განიხილებოდეს მეუღლეთა

საერთო საკუთრებად, თუ გაირკვა, რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა საქორწინო ხელშეკრულებით აღნიშნული სხვაგვარად იქნება მოწესრიგებული. ქონების ცნება კრებითი ხასიათისაა და მოიცავს არა მხოლოდ ნივთებსა და სანივთო უფლებებს, არამედ ვალდებულებითი ხასიათის მოთხოვნებსაც, რომლებიც მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში შეიქმნა.¹³

როდესაც ქონება მართალია, შეძენილია მეუღლეთა საერთო სახსრების საფუძველზე, მაგრამ განკუთვნილია ერთი მათგანის ინდივიდუალური სარგებლობისთვის, იგი უნდა ჩაითვალოს ინდივიდუალურ საკუთრებად, ასეთია მაგალითად: საყურე, ტანსაცმელი, ყელსაბამი. სხვა მიდგომა არსებობს სამკაულების მიმართ, ვინაიდან კანონი ასეთი ქონების კატეგორიიდან გამორიცხავს ძვირფასეულობას, თუმცა არ აზუსტებს, რომელი ნივთები მიეკუთვნება მას. პრაქტიკაში ძვირფასეულობას მიეკუთვნება ისეთი ნივთები, რომლებიც არაა აუცილებელი ყოფითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ასეთი ნივთები, მიუხედავად რომელიმე მეუღლის ინდივიდუალური სარგებლობისა, მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებას წარმოადგენს. რაც შეეხება ამ ნივთების მიჩნევას ძვირფასეულობად, ეს სასამართლოს განხილვის საგანია. ამასთან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება შეიძლება გადაიქცეს, თანაზიარად. ქონების ასეთი ტრანსფორმირება ხდება მაშინ, როდესაც ამ ქონების ღირებულება, ქორწინების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს შესაძლებელია მაგალითად მშენებლობის დასრულების,

არსებიად გადაკეთების, კაპიტალური რემონტისა და სხვა შემთხვევაში. თუ ერთ-ერთი მეუღლე არ მუშაობს საპატიო მიზეზების გამო, და არ გააჩნია დამოუკიდებელი შემოსავალი, ეს არ იძლევა ღირებულებამომატებული ინდივიდუალური საკუთრების მეუღლეთა თანასაკუთრებად გარდაქმნის საწინააღმდეგო არგუმენტად გამოდგეს. თუ შენობის ან ნაგებობის მიმდინარე რემონტი ან ხარჯების ისეთი რაოდენობით გაწევა, რომელიც მათ ღირებულებას მნიშვნელოვნად არ ზრდის, მაშინ ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში ქრებული ქონების სამართლებრივი რეჟიმი არ შეიცვლება.¹⁴

საინტერესოა სკანდინავიის ქვეყნების მაგალითი, სადაც ერთ-ერთი მეუღლე საკუთრების უფლებას არაპირდაპირ მოიპოვებს მეორე მეუღლის უძრავ ნივთზე. ნორვეგიული კანონმდებლობის მიხედვით, განქორწინების დროს მეუღლეები თანაბრად იყოფენ ქონებას. 1975 ნორვეგიის უზენაესმა სასამართლომ მიანიჭა ერთ-ერთ მეუღლეს იმის უფლებამოსილება, რომ საკუთრების უფლება შეეძინა უძრავ ნივთზე, თუ იგი უვლიდა შვილებს და დაკავებული იყო საოჯახო საქმიანობით. ამდენად, აღნიშნულ საქმეს „ოჯახის დიასახლისი“ („Housewife case“) ეწოდა. ამასთან, მეუღლის მხრიდან არაპირდაპირი მონაწილეობის მიღება, რაც გულისხმობს ბავშვების მოვლას, და საოჯახო მეურნეობის გაწევას, საკმარისია რომ ამ უკანასკნელმა უფლება მოიპოვოს მისი მეუღლის თანხებით შეძენილ უძრავ ნივთზე, ასეთივე პრაქტიკაა დანიაში და შვედეთში.¹⁵

4. მეუღლეთა თანასაკუთრების ბანკარბვა

საერთო საკუთრების უფლების სპეციფიკა ისაა, რომ საერთო საგანში მოიაზრება თითოეული მონაწილის საკუთრე-

14 შენგელია რ., შენგელია ე., 2017. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გვ. 117-124.
15 Resetar B., 2008. Matrimonial Property in Europe, A Link between Sociology and Family Law, Electronic Journal of Comparative Law; vol. 12.3 , p.4.

13 ჩიკვაშვილი შ., 2004. საოჯახო სამართალი, გვ. 122.

ბის უფლებების ობიექტები – წილები, ხოლო საგნის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის საჭიროება ერთად იწვევს თანამესაკუთრეთა რთულ ურთიერთდამოკიდებულებას.¹⁶

სსკ-ის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილით მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, მიენიჭა ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის მოთხოვნის უფლება. ამასთან, ერთ-ერთ მეუღლეს არ აქვს უფლება, განკარგოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების დამოუკიდებლად, თანამესაკუთრესთან შეუთანხმებლად¹⁷. მეუღლეთა თანასაკუთრებაში შემავალი ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ეფუძნება ურთიერთშეთანხმებას (სსკ-ის 1159-ე მუხლი). თანამესაკუთრის მიერ თანასაკუთრებით სარგებლობა შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ სხვა თანამესაკუთრებთან შეთანხმებით დააგირავოს ან უფლებრივად დატვირთოს საერთო საკუთრება თავისი ინტერესების სასარგებლოდ. მაგალითად, მას აქვს უფლება, ბანკიდან აიღოს კრედიტი და გირავოს სახით გამოიყენოს საერთო საკუთრებაში არსებული ავტომანქანა. ამ შემთხვევაში ქონების დამგირავებელია ყველა თანამესაკუთრე და ამ ინტერესის მატარებელი თანამესაკუთრეც. ანალოგიურად ხდება მეუღლის მიერ საერთო საკუთრებაში შემავალი ქონების განკარგვა, რადგან ერთ-ერთი მეუღლის მოქმედებისას იგარაუდება, რომ მეორე მეუღლესაც იგივე უფლება-მოვალეობები წარმოეშობა.¹⁸

საფრანგეთში, საერთო საკუთრებას მეუღლეები განკარგავენ თანაბრად, ამ სისტემისათვის დამახასიათებელია „prestation compensatoire“, რაც ნიშნავს სარგებლის გადახდას. ამ დახმარების გადახდას სასამართლო ავალდებულებს ერთ-ერთ მეუღლეს, მიზანი კი ისაა რომ ფინანსურად

სუსტი მეუღლე შეძლებისდაგვარად კარგ ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. კანონი აგრეთვე ერთ-ერთ მეუღლეს აძლევს საშუალებას, გადასცეს უძრავი ქონება მეორე მეუღლეს, რაც „compensatory allowance“, ანუ ფულად დახმარებას გულისხმობს.¹⁹

სსკ-ის 1159-ე მუხლის საფუძველზე, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. მეუღლეთა საერთო ქონების განკარგვისთვის დადგენილია მეორე მეუღლის თანხმობის აუცილებლობა. სსკ-1160-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მეუღლეთა საერთო ქონებით განკარგვისათვის აუცილებელია მეუღლეთა ურთერთშეთანხმება, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. ამდენად, ასეთი შეთანხმების არარსებობისას ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების განკარგვა არის კანონის დარღვევით დადებული გარიგება, თუმცა ერთ-ერთი მეუღლის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით, იმ საფუძველზე რომ ა) მან არ იცოდა გარიგების შესახებ, ან ბ) ის არ ეთანხმებოდა გარიგებას. მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება კეთილსინდისიერი შემძენისა და თანამესაკუთრე მეუღლის ინტერესები. კანონი უფრო მეტად იცავს კეთილსინდისიერ შემძენს, ვინაიდან არსებობს ვარაუდი, რომ ერთი მეუღლე ეთანხმება მეორე მეუღლის მიერ გამოვლენილ ნებას. აქედან გამომდინარე, ცოლისა და ქმრის სტატუსიც ანალოგიურად ქმნის ასეთი კანონისმიერი ვარაუდის საფუძველს. ამასთან, სსკ-ის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილით მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, მიენიჭა ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის მოთხოვნის უფლება. თუ არსებობს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქონების დაბრუნების წინაპირობები,

16 ბიჭია მ., 2018. კანონისმიერი ვალდებულებებით ურთიერთობები, მეორე გამოცემა, გვ. 70-71.

17 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის Nას-1136-1067-2012 გადაწყვეტილება.

18 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 თებერვლის Nას-1563-1466-2012 გადაწყვეტილება.

19 Resetar B., 2008. Matrimonial Property in Europe, A Link between Sociology and Family Law, Electronic Journal of Comparative Law, Vol.12.3, p.6.

მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი.²⁰

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს მსჯელობა:

მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება არის მათი საერთო ქონება (თანასაკუთრება), თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არაა დადგენილი. ამასთან, ასეთი ქონების მიმართ მეუღლეებს თანასაკუთრების უფლება წარმოეშობათ იმ შემთხვევაშიც, როცა ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატრიო მიზნების გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.²¹

ასევე, უახლესი პრაქტიკა ადასტურებს, რომ თუ უძრავი ნივთი შეძენილია ქორწინებისას, იგი მაინც მიიჩნევა თანაზიარ საკუთრებად, რომელი მეუღლის სახელზედაც არ უნდა იყოს დარეგისტრირებული ეს ქონება. ამასთან, მასზე, გარდა საოჯახო სამართლის ნორმებისა, სსკ-ის 959-ე მუხლიც გავრცელდება.²²

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, პრაქტიკაში გარკვეული გაუგებრობა შეიძლება წარმოიშვას, თანაზიარი საკუთრების უძრავი ქონების ერთ-ერთი მეუღლის მიერ განკარგვასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, მოძრავი და უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობა განსხვავებულია. უძრავ ნივთებზე უფლებების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს მისი სახელმწიფო რეგისტრაცია, ასეთი ქონება კი შეიძლება დარეგისტრირდეს ერთი მეუღლის სახელზე, რაც მას, განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ანიჭებს, რადგან მესაკუთრედ იგია რეგისტრირებული. გამოდის რომ, მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლის გარეშე, ქონება სხვასაც ეკუთვნის.²³

საჯარო რეესტრის ძირითადი ამოცანაა, სწორად ასახოს რეგისტრაციას დაქვემდებარებული ყოველგვარი უფლება, მათ შორის საკუთრების უფლება და მისი მდგომარეობა. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმის გამო, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებზე ვრცელდება სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია, ვიდრე საპირისპირო არ დამტკიცდება. აქედან გამომდინარე, მესამე პირებისათვის ეს ჩანაწერი მიიჩნევა სწორად მათი უზუსტობის დამტკიცებამდე. პრობლემა მაშინ შეიძლება წარმოიშვას, როცა რეესტრში რეგისტრირებული უფლება არ შეესაბამება უშუალოდ ამ უფლების ნამდვილ შინაარსს.²⁴ აქვე საყურადღებოა, რომ არაა მიზანშეწონილი, სსკ-ის 1158-ე მუხლს მიენიჭოს საკუთრების უფლების დამფუძნებელი ძალა, რადგან ამ შემთხვევაში რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისზრულის პრეზუმფცია, რომელიც, პირველ რიგში, კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს იცავს. მოქმედი წესით უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რომ, მართალია, სსკ-ის 1158-ე მუხლი აფუძნებს მეუღლეთა თანასაკუთრების უფლებას, რაც თავისთავად წარმოშობს მოთხოვნას, თუმცა ამ მოთხოვნის კანონით დადგენილი ფორმით განხორციელება მხოლოდ საკუთრების უფლებას ქმნის. არადა ეს ნორმა უძრავი ნივთების შეძენისას წერილობითი გარიგების ჩანაცვლებას ახდენს. ამავდროს, საკუთრების უფლების დასარეგისტრირებლად უნდა იყოს მეუღლეთა ქორწინების მოწმობა, ასევე, საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლის წერილობითი დადასტურება იმაზე, რომ მეუღლეთა შორის არაა საქორწინო ხელშეკრულებით დადგენილი სსკ-ის 1158-ე მუხლისაგან განსხვავებული რეგულირება ქონებრივი უფლებების შესახებ. მეუღლის მიერ ასეთი დასტურის გაუცემლობისას შესაძლოა, აღნიშნული „თანაქმედება“ მას მოეთხოვოს მეორე მეუღლისაგან. რაც შე-

20 ბიჭია მ., 2019. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის დადგენის თავისებურებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, უურნალი, „მართლმსაჯულება და კანონი“, N1, გვ. 89-90.
21 სსკ-1158-ე მუხლი.
22 ჯორბენაძე ს., 2016. ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, გვ.225.
23 შენგელია რ., 2017. შენგელია ე., საოჯახო მემკვიდრეობის სამართალი, გვ.121.

24 ბიჭია მ., 2019. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის დადგენის თავისებურებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, უურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N1, 93.

ეხება მოძრავ ნივთს, მისი შეძენაც ხდება ქორწინების განმავლობაში და იგი, საოჯახო კანონმდებლობის შესაბამისად, არ განეკუთვნება ინდივიდუალურ ნივთებს, იგი მიჩნეულ უნდა იქნეს მეუღლეთა თანასაკუთრებად. მფლობელობაში გადაცემა ასეთ შემთხვევაში ასევე არ არის სავალდებულო წინაპირობა, ვინაიდან იგი დაცულად უნდა ჩაითვალოს იმ მომენტისათვის, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე მიიღებს ნივთს მფლობელობაში.²⁵

5. მეუღლეთა თანასაკუთრების რეგისტრაციისთან დაკავშირებული პრობლემები

აქტუალურია მეუღლეთა მიერ ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი უძრავი ნივთების სამართლებრივი რეჟიმის მონესრიგების საკითხი, რასთან დაკავშირებითაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასეთი ქონების რეგისტრაციას. როგორც უკვე აღინიშნა „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ უფლების საჯარო რეგისტრირება რეგისტრაცია“.²⁶

მართალია, აღნიშნული ნორმა გარიგების საფუძველზე წარმოშობილ უფლებაზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შესაძენად აუცილებელია რეგისტრირება რეგისტრაციით, მათ შორის მეუღლეთა თანაცხოვრების განმავლობაში შექმნილ უძრავ ნივთებზეც, ხოლო სსკ-ის 1158-ე მუხლის თანახმად „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არარის დადგენილი.“²⁷

25 ჩაჩავა ს., 2011, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 177-179.

26 სსკ მუხ. 959.

27 ლაფაჩი ე., 2016. უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებაზე და დაცვაზე, სადისერტაციო ნაშრომი, გვ.100.

მოყვანილი ნორმების კონკურენცია პრობლემას ქმნიდა ასეთი ნივთების განკარგვის დროს, სსკ-ში ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, შემუშავებულ იქნა წესი, რის მიხედვითაც, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი, მეორეს მოთხოვნით იმ საფუძველით რომ : მან არ იცოდა გარიგების დადების შესახებ და არ ეთანხმებოდა, გარიგების დადებას. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება „საერთო საკუთრებად იქცევა მხოლოდ ორივე მეუღლის უფლების საჯარო რეგისტრირება რეგისტრაციით“. ამდენად, ის მეუღლე, რომელიც არ იქნება დარეგისტრირებული საჯარო რეგისტრირებაში, კარგავს ამ უფლებას უძრავ ნივთზე. აღნიშნული მიდგომა სამართლიანია კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის დროს, მაგრამ ასეთი მოწესრიგებით, მეორე მეუღლე რომლის ინტერესებიც ილახება, არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში ვარდება. იმისათვის რომ კეთილსინდისიერი მეუღლის ინტერესები დაცული იქნეს, მიმართა რომ რეგისტრირების თანამშრომელმა გადაამოწმოს ინფორმაცია, უძრავი ნივთის რეგისტრაციის დროს, იმყოფება თუ არა ქორწინებაში რეგისტრაციით დაინტერესებული პირი. ამდენად, მეუღლეთა თანაცხოვრების განმავლობაში შექმნილი უძრავი ნივთი უნდა აღირიცხოს, მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ რა თქმა უნდა, მეორე მეუღლე უარს არ იტყვის თავის წილზე. ქორწინებაში იმყოფება თუ არა პირი, ამის გადამოწმება შესაძლებელია სააქტო ჩანაწერებისადმი საჯარო რეგისტრირების შესაბამისი თანამშრომლისათვის წვდომის უფლების მინიჭებით. იმ შემთხვევაში თუ ქორწინების კონტრაქტი არსებობს, მისი შინაარსის ხელმისაწვდომობა ნოტარიუსებთან არსებული საქორწინო კონტრაქტების რეგისტრირებიდან იქნება შესაძლებელი. საკითხის ასეთი გადაწყვეტით დაცული იქნება, როგორც ორივე მეუღლის საკუთრების უფლება, ასევე შემძენის ინტერესებიც.²⁸

28 ლაფაჩი ე., 2016. უძრავ ნივთებზე სანივთო უფლე-

საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია, თუ ერთ-ერთი მეუღლე განკარგავს საერთო საკუთრებაში არსებულ ქონებას მეორე მეუღლის წილის საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებლად. საქმე ისაა, რომ საჯარო რეესტრის ფუნქცია მნიშვნელოვანია როგორც მეუღლის, ისე მესამე პირთა ინტერესების დაცვისთვის. სწორედ ამ კონტექსტში შეიძლება შევჯავსოთ სანივთო და საოჯახო სამართლის ნორმები ერთმანეთს, თუმცა საქმე არ ეხება ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის მიმართების განსაზღვრას. მოცემულ შემთხვევაში როგორც სანივთო, ისე საოჯახო სამართლის ნორმები განიხილება სპეციალურად და ურთიერთგამომრიცხავ კონკურენციანზე საუბარი ვერ იქნება გამართლებული. საქმე ისაა, რომ ფაქტობრივად ორივე სამართლის ნორმა ერთად უნდა იყოს გამოყენებული და ისინი ერთმანეთს ავსებენ.²⁹ მიმაჩნია რომ შემდენი ვალდებულება ყველა შემთხვევაში დაადგინოს უძრავ ნივთთან დაკავშირებული იურიდიული ფიქციიდან თუ ობიექტური სინამდვილიდან რომელია ქვემარტივი, უფრო მეტიც შემდენი რომელიც გამსხვისებლის ახლო ნათესავია არ შეიძლება ჩაითვალოს „კეთილსინდისიერ შემძენად“ ვინაიდან იგი ინფორმირებულია იმის შესახებ რომ რეესტრში რეგისტრირებული გამსხვისებლის გარდა აღნიშნული უძრავი ნივთი სხვასაც ეკუთვნის ამ საკითხთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს მსჯელობაც მართებულია³⁰.

6. საერთო ქონების გაყოფა ქორწინების განმავლობაში

როდესაც ერთ-ერთი მეუღლე მოქმედებს თანაზიარი საკუთრების მათვის ან განკარგვის მიზნით, იმავდროულად ითვლება

ბა მეორე მეუღლის ნების გამოვლენადაც. კანონით განსაზღვრულ ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობა. მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება განსხვავდება საერთო წილობრივი საკუთრებისაგან, ვინაიდან წილობრივი საკუთრება შეიძლება გააჩნდეთ ორ ამ მეტ პირს, მათ შორის არარეგისტრირებულ ქალსა და მამაკაცს.

ქვრივი მეუღლის სამომავლო ინტერესების დაცვა მეტად მნიშვნელოვანია, მემკვიდრეობის სამომავლო დაგეგმვის დროს. საერთო რეჟიმის დროს სამოქალაქო კოდექსის 1446-ე მუხლის დისპოზიცია განმარტავს რომ: იმ შემთხვევაში თუ კანონისმიერი რეჟიმის დროს ერთ-ერთი მეუღლე დაიღუპება, მაშინ ქვრივს შეუძლია მიიღოს საოჯახო საცხოვრებელი მასში შემავალი ავეჯით. სამოქალაქო კოდექსის 1447-ე მუხლის თანახმად, განქორწინების შემთხვევაში საოჯახო საცხოვრებელი იმ მეუღლეს უნდა დარჩეს, რომელიც მსხვეპლი იყო ქორწინების განმავლობაში ან ოჯახის მიზნებიდან და ინტერესებიდან მისთვის მიკუთვნება სასარგებლო იქნება. განცალკევებული ქონების რეჟიმს თანახმად მნიშვნელოვანი შედეგები განქორწინების დროს. როდესაც მეუღლეები ერთ საერთო საოჯახო საცხოვრებელში ცხოვრობენ და ამავდროულად ისინი ვალდებულებით ურთიერთობებში იმყოფებიან კრედიტორებთან ისინი ვალდებულნი არიან განქორწინების დროს კრედიტორებს ამის შესახებ აცნობონ. ინდივიდუალური რეჟიმის დროს, მეუღლეს შესაძლებლობა ეძლევა ფინანსური წვლილი შეიტანოს მისი მეუღლის ქონების გაუმჯობესებაში თუმცა იმ შემთხვევაში როდესაც განქორწინება მოხდება ერთ-ერთ მეუღლეს შესაძლებლობა აქვს უკან მოითხოვოს მისი მხრიდან დახარჯული თანხები, თუ ამ უკანასკნელმა ქორწინების განმავლობაში თავის მეუღლეზე ნაკლები საჩუქარი მიიღო მესამე პირებისაგან.³¹

ბათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებაზე და დაცვაზე, სადისერტაციო ნაშრომი, გვ.101.

29 ბიჭია მ., 2019. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის დადგენის თავისებურებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N1, გვ.101.

30 იხ. პრეტაქტიკა უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის №ას-571-879-09 განჩინება.

31 J. Laruelle., 2016. La Transmission du Patrimoine Immobiliere au Conjoint Survivant, Le Contrat du Mariage comme outil de planification successorale

ქონების განკარგვა შეუძლია ერთ-ერთ მეუღლეს ან ორივეს ერთად. ამასთან, გარიგების დადებისას მეუღლეთა ნება თავისუფლად უნდა იყოს გამოვლენილი. როცა ერთი მეუღლე განკარგავს ქონებას, იგულისხმება რომ მეორე მეუღლეს თანახმაა ამაზე და არაა საჭირო მინდობილობის წარდგენა გარიგების დასადავად. მესამე პირები არარაიან ვალდებულნი დარწმუნდნენ მეორე მეუღლის თანხმობის არსებობაში, როდესაც ისინი გარიგებას დებენ ერთ-ერთ მეუღლესთან. ერთი მეუღლის მიერ დადებული გარიგება არ შეიძლება მეორემ სადავო გახადოს, იმის გამო რომ მას ამაზე თანხმობა არ მიუცია, თუმცა არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც ქმარმა ცოლის საავადმყოფოში ყოფნის დროს გაყიდა მეწველი ძროხა და ამით ოჯახი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩააყენა, ასეთ შემთხვევაში სასამართლო ამ გარიგებას გააბათილებს, რადგან ქმარმა იცოდა, რომ ასეთი უფლება მას არ ჰქონდა ცოლის თანხმობის გარეშე, თუმცა მაინც დადო გარიგება.³²

უძრავ ქონებებზე უფლების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს მისი სახელმწიფო რეგისტრაცია, ასეთ ქონება კი შეიძლება დარეგისტრირდეს ერთ-ერთი მეუღლის სახელზე, ეს კი მას განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ანიჭებს, ვინაიდან მხოლოდ მისთვის წარმოიშობა საკუთრების უფლება. გათვალისწინებულია, რომ მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლის გარდა, ქონება სხვასაც ეკუთვნის. ასეთ შემთხვევაში იგულისხმება მეორე მემკვიდრე რომელიც არარაის რეგისტრირებული როგორც მესაკუთრე, ამიტომ უძრავი ქონების შემძენი ვერ დაეყრდნობა სარეგისტრაციო ორგანოს მონაცემთა უტყუარობას. ასევე გაურკვეველია იმ მეუღლის მდგომარეობა, რომელიც ფაქტობრივად საერთო ქონების თანამესაკუთრეა მაგრამ არარაის რეგისტრირებული როგორც მესაკუთრე, ეს კი მას უფლებას და შესაძ-

ლებლობას უკარგავს განკარგოს თანაზიარი ქონება სურვილისამებრ.

არარეგისტრირებულ თანამესაკუთრეს მხოლოდ ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის მოთხოვნის უფლება აქვს. ეს დღის წესრიგში აყენებს სსკ-ის 1160-ე მუხლში ცვლილების შეტანის აუცილებლობას, რაც გულისხმობს თანაზიარი ქონების ორივე მეუღლის სახელზე რეგისტრაციის სავალდებულობას. ეს, ერთი მხრივ, თანამესაკუთრე ერთ-ერთ მეუღლის ინტერესებს დაიცავს, და მეორეს მხრივ თანაზიარი საკუთრების შემძენის ინტერესებს, ამ ყველაფრის აუცილებლობას სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს.³³ იყო ასეთი შემთხვევა: როდესაც ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება, ერთ-ერთმა მეუღლემ გაასხვისა მესამე პირზე ისე რომ თანაზიარი მეუღლე საქმის კურსში არ იყო. ამას მოჰყვა სარჩელის აღძვრა მოსარჩელესაგან და თავისი კუთვნილი წილის მოთხოვნა, უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და მეუღლეს დააკისრა მის მიმართ წილის გადახდა.

მეუღლეთა საერთო საკუთრება მათ ეკუთვნით თანაბრად, წილის წინასწარ განუსაზღვრელად, თუმცა ამ წილის განსაზღვრა შესაძლებელია მოხდეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივე მათგანის მიერ თანაზიარი ქონების გაყოფის მოთხოვნის შემთხვევაში.³⁴

დასკვნა

კვლევიდან ჩანს, რომ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობათაგან ერთ-ერთია საოჯახო ურთიერთობაც, რომელიც ფართო შინაარსის მატარებელია. მასში შედის საოჯახოსამართლებრივი და ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობა.

მართალია, საოჯახო ურთიერთობებში ფაქტობრივი ელემენტებიც ჩანს, მაგრამ

³² N.26.878, p.297-300.
შენგელია რ., შენგელია ე., 2017. საოჯახო მემკვიდრეობის სამართალი, გვ. 124.

³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 25 აპრილის Nას-587-587-2018 გადაწყვეტილება.

³⁴ შენგელია რ., შენგელია ე., 2017. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გვ. 123-124.

მხოლოდ ქორწინების რეგისტრაცია წარმოშობს მეუღლეებს შორის ქონებრივ და პირად უფლებებს, ვინაიდან ქორწინება უფლებანარმომშობი იურიდიული ფაქტია. ამასთან, სამართლიანად აღინიშნა იურიდიულ ლიტერატურაში, რომ პარტნიორთა ფაქტობრივი თანაცხოვრება ისეთი საოჯახო ურთიერთობაა, რომელშიც წყვილები შედიან ქორწინების დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე. დაუქორწინებელი წყვილების შინაგანი სამყარო მნიშვნელოვნად თავისუფალია სამართლებრივი მოწესრიგებისაგან. საოჯახო ურთიერთობები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოუდგენელია პირადი და ინტიმური ასპექტების გარეშე, რომლებიც გარკვეულ ფაქტობრივ საწყისებს შეიცავს და გვხვდება საოჯახო ურთიერთობებში. თუმცა ფაქტობრივი თანაცხოვრება არ უკავშირდება საოჯახოსამართლებრივ შედეგებს.³⁵

შესწავლილი მასალიდან ირკვევა, რომ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველია კანონი. ამიტომ ასეთ ურთიერთობებს შეიძლება ეწოდოს მეუღლეთა კანონისმიერი ქონებრივი ურთიერთობები. ისინი უკავშირდება თანასაკუთრებაში შემავალი ქონების მართვას, განკარგვას, გაყოფას, ვალის გასტუმრებას.

ამდენად, კანონისმიერი ქონებრივი ურთიერთობის უნივერსალურობა კი იმაში გამოიხატება, რომ მეუღლეებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეუძლიათ განახორციელონ თანასაკუთრებაში არსებული უძრავ-მოდრავი ქონების მართვა. ისინი უფლებამოსლნი არიან მესამე პირებთან დადონ გარიგება საერთო საკუთრების უზრუნველყოფით. აღნიშნული ინსტიტუტი მეტად მოქნილია და ხელს უწყობს ცოლ-ქმრის ქონების მართვის რეჟიმის შეცვლას, იმ შემთხვევაში, თუ ამის საჭიროება დადგა, კერძოდ საერთო ქონების გაყოფა ქორწინების განმავლობაში.

საერთო საკუთრების რეგისტრაციას

ორივე მეუღლის სახელზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამდენად თუ იგი ამას არ ახორციელებს მაშინ ერთგვარად რისკის ქვეშ დააყენებს თავის წილს, რომელთან მიმართებაშიც მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა. ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერი მეუღლე არ არის დაცული, და ეს ერთი მხრივ, მისივე ბრალით ხდება, კერძოდ, იგი ვალდებულია დაირეგისტრიროს თანასაკუთრება, ასეთ შემთხვევაში შემძენი, რომელიც ამოწმებს ნივთზე უფლებრივ მდგომარეობას, ნახავს რომ ამონაწერის მიხედვით უძრავი ნივთი მეუღლეებს ეკუთვნით, და არა ცალ-ცალკე, ამდენად, თანასაკუთრების რეგისტრაცია სამოქალაქო ბრუნვის სიმტკიცის გარანტიაა.

კანონი ამ შემთხვევაში ორაზროვანი და ბუნდოვანია, კერძოდ იგი უფლებამოსილებას ანიჭებს მეუღლეს დაირეგისტრიროს თავისი წილი, თუმცა იმპერატიულად არ ავალდებულებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იურისპრუდენცია პასუხისმგებლობას იხსნის არარეგისტრირებული მესაკუთრის წინაშე, რაც არამართებულია, ვინაიდან მეუღლე პასუხმგებელი რჩება იმ იურიდიულ შედეგზე, რასაც არარეგისტრირებული თანასაკუთრების ტრანზაქცია გამოიწვევს. მიმაჩნია, რომ სავალდებულო უნდა იყოს თანასაკუთრების რეგისტრაცია ორივე მეუღლის სახელზე, რათა მომავალში დაცული იყოს „კეთილსინდისიერი შემძენიც“ და მეუღლეებიც სხვადასხვა პრობლემისგან.

35 ბიჭია მ., 2019. ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობების სამართლებრივი მნიშვნელობა, უურნალი „მსოფლიო და სამართალი“, N11, გვ. 31-32.

COMMON OWNERSHIP OF SPOUSES

(Analysis of the Georgian Civil Law)

Nikoloz Pkhaladze

PhD student at the Caucasus International University

KEYWORDS: Co-ownership, Legality, Publicity

RESUME

The research shows that one of the legal relations in civil matters is the family relationship, having an extensive content. It includes Family Law and the actual family relationships. While there are factual elements in the family relationships, only marriage registration gives rise to the property and personal rights between spouses since marriage is a legal fact of law. However, it has been stated correctly in the legal literature that the actual co-existence of partners is such a family relationship, in which couples enter into marriage without registration. The inner world of unmarried couples is significantly free from legal regulation. Family relationships, by their characteristics, are inconceivable without the personal and intimate aspects contained in certain factual foundations and found in family relationships. However, actual cohabitation is not related to the family legal consequences. The studied materials demonstrate that one of the foundations of the spouses' property relations is the law. Therefore, such relationships can be called the lawful property relations of spouses. They are related to managing, disposing of, splitting, paying off debt. Thus, the universality of lawful property relations is that the spouses can independently manage co-owned real estate. They are entitled to enter into a transaction with the third parties by securing common ownership. This institute is very flexible and promotes the change of husband and wife's property regime, if necessary, in particular, the division of common property throughout the marriage. The registration of common property in the name of both

spouses is crucial, since if a bona fide purchaser purchases an item and it is bona fide, it must be safeguarded, since the unregistered one has the optional right to be registered as a co-owner, otherwise, the share, to which he takes full responsibility, will be under the risk. In this case, the bona fide spouse is not protected, on the one hand, by his inaction and in particular, he is required to register co-ownership, in which the acquirer, who verifies the legal status of the real estate, will find that according to the extract, the immovable property belongs to the spouses, thus, co-registration is a guarantee of

the robustness of the civil returns. The law, in this case is ambiguous and vague, in particular it authorizes a spouse to register its share, but does not mandates, it means that the law takes no responsibility towards non-registered owner, which is flawed, because spouse remains responsible for the legal outcome resulted from the transaction on non-registered co-ownership. I believe that the co-ownership must be registered in the name of the both spouses in order to protect the bona fide purchaser, together with the spouses from the various problems in the future.

NOTES:

1. Chikvashvili Sh., 2002, Legal Problems in Property Management of Spouses, Journal of Law, N 11-12, p.41. (In Georgian)
2. Zoidze B., 2003. Georgian Property Law, 2nd ref. Edition, p. 102. (In Georgian)
3. Tbilisi Appeal Court's Civil Cases N2b / 500-09, May 27, 2009. (In Georgian)
4. Totladze L., 2018. Commentary on the Civil Code of Georgia., Book 2, Article 173, p. 80. (In Georgian)
5. Article – § 1415, § 1416 II of German Civil Code. (In German)
6. Decision of the Supreme Court of Georgia of the Chamber of Civil, Entrepreneurial and Bankruptcy of 3 April 2002 №3k / 1272-01. (In Georgian)
7. Bichia M., 2012. Protecting Private Life under Georgian Civil Law, Tb., 2012, p. 74. (In Georgian)
8. Shengelia R., 2017. Shengelia E., Family and Heritage Law, p.123-124. (In Georgian)
9. Decision of the Supreme Court of Georgia dated 25.04.2019, Case JAS-963-2018. (In Georgian)
10. Case No. 33-483-06 of September 8, 2006 of the Chamber of Civil, Entrepreneurship and Bankruptcy of the Supreme Court of Georgia. (In Georgian)
11. Shengelia R., 2017. Shengelia E., Family and Inheritance Law, p.124. (In Georgian)
12. Chikvashvili Sh., 2004. Family Law., P. 122. (In Georgian)
13. Shengelia R., Shengelia E., 2017. Family and Inheritance Law, p. 117-124. (In Georgian)
14. B. Resetar, 2008. Matrimonial Property in Europe, A Link between Sociology and Family Law, Electronic Journal of Comparative Law; vol. 12.3, p.4. (In English)
15. Bichia M., 2018. Lawful Obligation Relations., P. 70-71. (In Georgian)
16. Judgment of the Chamber of Civil Affairs of the Supreme Court of Georgia of February 4, 2013 JAS-1563-1466-2012. (In Georgian)
17. Judgement of the Chamber of Civil Affairs of the Supreme Court of Georgia of February 11, 2013 JAS-1136-1067-2012. (In Georgian)
18. B. Resetar , 2008. Matrimonial Property in Europe, A Link between Sociology and Family Law, Electronic Journal of Comparative Law, Vol.12.3, p.6. (In English)
19. Bichia M., 2019. The Peculiarities of Establishing the Regime of Spouses' Property Relations according to the Judicial Practice of Georgia, Journal, "Justice and Law", N1, p.89-90. (In Georgian)
20. Article -1158 of the Civil Code of Georgia. (In Georgian)
21. Jorbenadze S., 2016. The Scope of Freedom of Contract in Civil Law, p. 225. (In Georgian)
22. Shengelia R., 2017. Shengelia E., Family Inheritance Law, p.121. (In Georgian)
23. Bichia M., 2019. Peculiarities of Determining the Regime of Spousal Property Relations According to the Judicial Practice of Georgia, Journal of Justice and Law, N1, p.93. (In Georgian)
24. Article -959 of the Civil Code of Georgia. (In Georgian)
25. Lafachi E., 2016. The Impact of Real Property Rights Registration on the Realization and Protection of Real Property Rights, Thesis, p.100. (In Georgian)
26. Chachava S., 2011, Competition of Requirements and Fundamentals

- of Demand in Private Law, Tbilissi, 177-179.
27. Lafachi E., 2016. The Impact of Real Property Rights Registration on the Realization and Protection of Real Property Rights, Thesis, p.101. (In Georgian)
 28. Bichia M., 2019. Peculiarities of Establishing a Regime of Property Relations According to the Judicial Practice of Georgia, Justice and Law, Journal, N1, p. 101. (In Georgian)
 29. J. Laruelle, 2016. Transmission of the Estate Patrimony to the Surviving Spouse, The Marriage Contract as an Estate Planning Tool, N.26.878, p.297-300. (In French)
 30. Supreme Court's judgment of 30 April 2010-571-879-09. (In Georgian)
 31. Shengelia R., Shengelia E., 2017. Family Heritage Law, p.124. (In Georgian)
 32. Judgment of the Supreme Court of Georgia of the Supreme Court of Georgia of April 25, 2018 N As-587-587-2018. (In Georgian)
 33. Shengelia R., Shengelia E., 2017. Family Heritage Law, p.123-124. (In Georgian)
 34. Bichia M., 2019. The Legal Significance of Actual Family Relations, Journal of World and Law, N11, p. 31-32. (In Georgian).

საქმე Neilson: როგორ მივიღა სასამართლო უკუმიითებიდან იდენტურობის პრეზუმფციამდე

თამარ მსხვილიძე

ქუთაისის უნივერსიტეტის აფელირებული ასისტენტი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული
სპეციალისტი

საკვანძო სიტყვები: უცხოური სამართალი, პრეზუმფცია,
უკუმიითება

*„მოსამართლე, რომელიც იყენებს თავისი ქვეყნის კანონს –
შეგავს არქიტექტორს, ხოლო როცა იყენებს
უცხო ქვეყნის კანონს – ფოტოგრაფს.“
ვერნერ გოლდშმიდტი*

*„უკუმიითება არის საკითხი, რომელიც უყვარს
მეცნიერებს, სძულს სტუდენტებს და იგნორირებულია
(როდესაც ამჩნევენ) პრაქტიკოსი იურისტების, მათ შორის,
მოსამართლეთა მიერ“¹*

შესავალი

დღევანდელ მსოფლიოში საგრძობლად მოიმატა სასამართლოთა მიერ საერთაშორისო კერძოსამართლებრივი დავების განხილვის რიცხვმა. ეს უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია სამოქალაქო პროცესების ინტერნაციონალიზაციით,

1 Ricketson S., Lindell G., (1997). Conflict of Laws: Commentary and Materials, 379.

რომელიც თავის მხრივ არის ტრანსნაციონალური ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდის, ასევე ახალი შესაძლებლობებისა და შორეული დისტანციების გადალახვის შედეგი.

საერთაშორისო კერძო სამართალი განსაზღვრავს რომელი ქვეყნის სამართლით მოწესრიგდეს უცხო ელემენტით დატვირთული კერძოსამართლებრივი ურთიერთობა. როცა კოლიზიური ნორმა კონკრეტული სამართალურთიერთობის დასარეგულირებლად უთითებს რომელიმე ქვეყნის სამართალს, რომლის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმა შესაძლებელია უკან დაუბრუნოს მითითება თავდაპირველ ქვეყანას, აქ საუბარია უკუ-მითითებაზე.

ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის მიხედვით, თუ უცხოური სამართლის შინაარსი ვერ დგინდება, მოსამართლე უფლებამოსილია გამოიყენოს ეროვნული სამართალი, უცხოური და ეროვნული სამართლის იდენტურობის პრეზუმფციიდან გამომდინარე.²

ავსტრალიურ იურისპრუდენციაში მიაჩნიათ, რომ ანგლო-ავსტრალიური საერთაშორისო კერძო სამართლის ცოტა სფერო იწვევს ისეთ გაოცებას, როგორსაც ე.წ. იდენტურობის პრეზუმფცია. ეს არის პრინციპი, რომ უცხოური სამართლის შესახებ საკმარისი მტკიცებულების არარსებობისას სასამართლო გამოიყენებს ადგილობრივ სამართალს, რათა გადაჭრას მის წინაშე მდგარი პრობლემები.³ ერთ-ერთ საქმეში, ავსტრალიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა გამოხატეს მარტივი და პრაგმატული ხედვა, რომ უცხოური სამართლის მტკიცების, ან მის შესახებ შეთანხმების არარსებობისას სასამართლო ქვეყნის სამართალი იქნება გამოყენებული. პრეზუმფციის უჩვეულო მაგალითად

მიჩნეულია საქმე Marriage of Khademollah,⁴ სადაც სასამართლო იძულებული გახდა დაეშვა, რომ ირანის შარიათის სამართალი იყო იგივე, რაც ავსტრალიის საოჯახო სამართალი და განაცხადა: „როგორც ზოგადი წესი, არსებობს დაშვება, რომ ექსპერტთა ჩვენების გარეშე უცხო ქვეყნის სამართალი არის იგივე, რაც სასამართლო ქვეყნის. ამ პრეზუმფციის გამოყენებას გარკვეული სიურიალისტური თვისებები გააჩნია, როდესაც საქმე გვაქვს არასაერთო სამართლის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ისეთებთან, რომლებიც აღიარებენ, რომ იმართებიან რელიგიური კოდექსებით, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც პრინციპი კვლავ გამოიყენება“. სასამართლოს კოლეგიამ უკმაყოფილება გამოხატა და დასძინა: „ინტერნეტისა და CNN-ის ხანაში მალე დადგება ის დრო, როცა ავსტრალიაში საოჯახო სასამართლოს მოსამართლეს შეეძლება შეიტყოს, რომ რელიგიური კანონებით მართულ ქვეყნებში, განქორწინების შემდეგ ქალისა და მამაკაცის უფლებები ქონების განაწილების საკითხში მნიშვნელოვნად განსხვავდება ავსტრალიური რეგულირებისაგან.“ ფაქტია, ავსტრალიური სასამართლოები საკმაოდ ხშირად იყენებენ ავსტრალიურ სამართალს იმ საკითხებზე, რომლებიც რეგულირდებიან უცხოური სამართლით.

უცხოური ნორმის არსის დადგენა პირდაპირ კავშირსა და ფუნქციურად ურთიერთდამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფება უკუმითითების საკითხთან. ჯერ ერთი, როდესაც სასამართლო ქვეყნის კანონი უთითებს უცხოურ სამართალს (კოლიზიური და მატერიალური) და ეს სამართალი აბრუნებს მითითებს თავდაპირველ ქვეყანაზე, იმისთვის რომ სასამართლომ მიიღოს უკუმითითება, მან უნდა იცოდეს უცხოური კოლიზიური ნორმის არსი. და მეორე, შესაძლებელია კოლიზიური ნორმის ძალით მითითებულმა სამართალმა თავის მხრივ, შემდგომ მიუთითოს მესამე ქვეყნის სამა-

2 Stern B. William., (1957). Foreign Law in the Courts: Judicial Notice and Proof, California Law Review, Volume 45, Issue 1 29,30.
3 Mccomish J., (2007). Pleading and proving foreign law in Australia. Melbourne University Law Review, 431, 432.

4 Mccomish J., (2007). Pleading and proving foreign law in Australia. Melbourne University Law Review, 432.

რთალზე. ამ შემთხვევაშიც დღის წესრიგში დადგება მისი მატერიალური სამართლის ნორმის დადგენის საკითხი. ხშირად მსოფლიოს იურიდიულ ლიტერატურასა თუ სასამართლო პრაქტიკაში ეს საკითხები კომპლექსურად განიხილება. მაგალითად, ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ და რეზონანსულ 2005 წლის საქმეში Neilson v Overseas Projects Corporation Of Victoria LTD,⁵ რომელმაც მსოფლიოს საერთაშორისო კერძო სამართლის იურისტებს შორის უდიდესი ინტერესი გამოიწვია, ავსტრალიის უზენაეს სასამართლოს მოუწია როგორც უკუმითითების, ისე უცხოური ნორმის შინაარსის განსაზღვრის შესახებ მსჯელობა.

ნელსონი: საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მიღებული გადაწყვეტილებები

ბარბარა ნელსონი ბინაში ყოფნისას კიბეებიდან ჩამოვარდა და მძიმედ დაზარადა (კიბეს არ ჰქონდა მოაჭირი, რაზეც უკმაყოფილება ნელსონებმა თავიდანვე გამოთქვეს). ეს მოხდა ვუჰანში, ჩინეთში. მისი მეუღლე, ჯორჯ ნელსონი ორი წლის ვადით დასაქმებული იყო მოჰასუხის Overseas Projects Corporation of Victoria Ltd (OPC)-ის მიერ, რათა მოემზადებინა კურსი ორგანიზაციულ ქცევაზე ვუჰანის რკინისა და ფოლადის უნივერსიტეტში. გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, OPC-ს უნდა უზრუნველყო საცხოვრებელი ჯორჯისა და მისი ოჯახისათვის. მოსარჩელები იყვნენ ავსტრალიის მოქალაქეები, მუდმივად მცხოვრებნი დასავლეთ ავსტრალიაში, შესაბამისად მათ დაბრუნებისას იქ აღძრეს სარჩელი

OPC-ის წინააღმდეგ. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბარბარა ნელსონის დელიქტური სარჩელი წესრიგდებოდა დელიქტის ადგილის კანონით (*lex loci delicti*), ე.ი. ჩინური სამართლით. ნელსონის ადვოკატმა სასამართლოს განუცხადა, რომ ის არ წარმოადგენდა არავითარ მტკიცებულებას ჩინური სამართლის თაობაზე და მიზანშეწონილად მიიჩნევდა ამ საკითხზე შეძლებისდაგვარად ცოტა ესაუბრა. ამდენად, მან არ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცება ჩინური კანონის შესახებ, რაც გააკეთა მოწინააღმდეგის წარმომადგენელმა. იგი ცდილობდა დაცვა აეგო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპების⁶ 136-ე მუხლის მიხედვით, რომელიც დელიქტური სარჩელისათვის ხანდაზმულობის ვადად აწესებდა ერთ წელს. რაც ბუნებრივია სარჩელის უარყოფას გამოიწვევდა, რადგან შემთხვევის დადგომიდან გასული იყო ხუთ წელზე მეტი. მოჰასუხის ადვოკატმა სასამართლოს წარუდგინა 1986 წლის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის პრინციპებისა და ჩინური სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ინგლისური თარგმანები, ასევე უზენაესი სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებები. ექსპერტად მოიწვია ჩინელი იურისტი, რომელიც ფლობდა შანხაისა და ავსტრალიის უნივერსიტეტების სამართლის ხარისხს. ჯვარედინი დაკითხვისას, ექსპერტმა თარგმნა და განმარტა ჩინეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები. მისი ჩვენებიდან გამომდინარე გაირკვა, რომ 137-ე მუხლი ითვალისწინებდა ხანდაზმულობის ვადის გაგრძელებას განსაკუთრებულ გარემოებებში. თუმცა, ეს მუხლი მაშინ გახდებოდა რელევანტური, თუკი სარჩელის აღძვრის საკითხს ჩინური სამართალი განსაზღვრავდა და ისეთი განსაკუთრებული გარემოება იარსებებდა, როგორცაა ომი. მსგავსი გარემოებების არსებობა ამ საქმეში არ დადასტურდა.

5 Cheshire, North and Fawcett Private International Law, (2008). Fourteenth Edition, 112,113 [http://www.austlii.edu.au](http://eresources.hcourt.gov.au/downloadPdf/2005/HCA/54 Daves M., (2006). Renvoi and presumptions about foreign law, Melbourne University law review, 331, 370. Schoeman E., (2006). Renvoi: Throwing (and catching) the Boomerang – Neilson v Overseas Projects Corporation Of Victoria LTD The University of Queensland Law Journal, 203-212. <a href=)

6 The General Principles of Civil Law of the People's Republic of China http://www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content_1383941.htm

სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპების 126-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „შენობის გამო წარმოშობილი ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ შენობის მესაკუთრეს, მაკონტროლებელს ან მენეჯერს.“ მოსამართლემ უარყო ჩინურ სამართალს დაფუძნებული დაცვის ეს პოზიცია და განაცხადა: „ჩინეთის სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპების 146–ე მუხლი, მე უფლებას მაძლევს გამოვიყენო ავსტრალიური სამართალი, რადგან ორივე მხარე ავსტრალიის მოქალაქენი არიან.“ სასამართლოს მიერ გამოყენებული ამ

მუხლის თარგმანში წერია: „უფლებების დარღვევით გამოწვეული ზიანის კომპენსაციისას, გამოყენებულ უნდა იქნას იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ადგილი ჰქონდა დარღვევას. თუ ორივე მხარე არის ერთი და იგივე ქვეყნის წარმომადგენელი ან მუდმივად მცხოვრებნი ერთსა და იმავე ქვეყანაში, ასევე შესაძლოა გამოყენებულ იყოს მათი ქვეყნის ან საცხოვრებელი ადგილის სამართალი.“ გამოიყენა რა ავსტრალიური სამართალი, მოსამართლემ დაასკვნა, რომ OPC-მა დაარღვია სიფრთხილის დაცვის ვალდებულება ბარბარა ნეილსონის მიმართ და დაავალდებულა იგი მიყენებული ზიანისათვის 300.000 დოლარით. სასამართლომ, ასევე OPC-ის დაზღვევაზე პასუხისმგებლობა დააკისრა MMI-ს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. ასე, რომ 2004 წელს განხილულ საქმეში Mercantile Mutual Insurance Ltd v Neilson სასამართლომ მიიჩნია, რომ თავდაპირველ მოსამართლეს უნდა ესარგებლა ჩინური სამართლით და სარჩელის ხანდაზმულობის ვადა გასულად მიეჩნია. ამის შემდგომ ნეილსონმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა დასავლეთ ავსტრალიის უზენაეს სასამართლოში. ამგვარად, უზენაესი სასამართლოს წინაშე მდგომი პირველი საკითხი, რომელიც გადაჭრას საჭიროებდა, იყო ის რომ სასამართლოს, რომლის კოლიზიური ნორმა უთითებდა ზიანის მიყენების ადგილს (lex loci delicti), მხედველობაში უნდა მიეღო მთლიანად უცხოური სამართალი, თუ მხოლოდ უცხო

ქვეყნის მატერიალური სამართალი. უმრავლესობით, ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო ჩინური სამართლის მთლიანად გათვალისწინება, კოლიზიური სამართლის ნორმების ჩათვლით. საპირისპიროს გაკეთება გამოიწვევდა იმას, რომ ავსტრალიურ სასამართლოს შესაძლოა გამოეყენებინა ჩინური სამართალი, მაშინ როცა თავად ჩინეთის სასამართლო იმავე საქმის განხილვისას არ გამოიყენებდა საკუთარ სამართალს, რადგანაც ჩინური კოლიზიური სამართლის ნორმების არჩევანი მიმართავდა მას სხვა იურიდიული სისტემისკენ.

პროცესზე წარმოიშვა სადავო საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებდნენ ჩინური სასამართლოები მოქნილ გამოწვევის, რომელიც მოქცეულია 146-ე მუხლის მეორე წინადადების დისკრეციულ სიტყვაში „შესაძლოა“. ჩინური სამართლის ექსპერტმა თითქმის არაფერი თქვა იმაზე, თუ როგორ განიმარტებოდა ეს წინადადება თავად ჩინეთში. მტკიცებულებათა ნაკლებობამ სასამართლო წაიყვანა იქითკენ შესაძლებელი იყო თუ არა ცარიელი ადგილების შევსება იმის ვარაუდით, თუ რას გააკეთებდა ჩინური სასამართლო.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, როდესაც საქმე უცხოურ სამართალს ეხება ავსტრალიის სასამართლოები იყენებს პრეზუმფციას უცხოური და ავსტრალიური სამართლის იდენტურობის შესახებ, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. როგორც ამბობენ, ეს საკმაოდ უცნაური პრაქტიკა წარმოიშვა იმის გამო, რომ „ავსტრალიურმა სასამართლოებმა არ იციან უცხოური სამართალი“, ამიტომ უნდა იქნას დადასტურებული მათთვის უცხოური კანონმდებლობის შინაარსი მტკიცებულებებით. ამდენად, მხარეებსა და სასამართლოს შეუძლია მოხერხებულად დააიგნორონ უცხო სახელმწიფოს სამართალი, სანამ ერთ-ერთი მხარე არ დაინახავს გარკვეულ უპირატესობას იმის დამტკიცებაში, რომ უცხოური სამართალი გარკვეულწილად განსხვავდება ავსტრალიურისაგან. ასეთი ტაქტიკით მოემზადნენ მოსარჩელის ადვოკატები

Neilson-ის სასამართლო პროცესისათვის. მოსარჩელებს არაფერი უმტკიცებიათ და არც მტკიცებულებები წარმოუდგენიათ ჩინური სამართლის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის ჩანაწერიდან გამოირკვა, რომ მოსარჩელის ადვოკატი პროცესის დასაწყისში, გულწრფელად დაეთანხმა მოსამართლეს და განაცხადა: „ჩვენ რამდენადაც შეგვიძლია ვცდილობთ, შორს ვიყოთ ჩინური სამართლისაგან“. პირიქით, მოპასუხე დაინტერესებული იყო იმის ჩვენებით, რომ ჩინური სარჩელის ხანდაზმულობის ვადა გაცილებით მოკლე იყო, ვიდრე ეკვივალენტური დასავლეთ ავსტრალიის. მან წარმოადგინა მტკიცებულებები ჩინური სამართლის შესახებ, თუმცა არაფერი უთქვამს, იმაზე თუ როგორ იქნებოდა 146-ე მუხლის მეორე წინადადება ინტერპრეტირებული ჩინეთში. შედეგად, წარმოიშვა საკითხი უცხოური სამართლის ადექვატური მტკიცების არარსებობისას სასამართლო ხომ არ დაბრუნებოდა იდენტურობის პრეზუმფციას. კოლეგიის უმრავლესობამ მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იყო პრეზუმფციის გამოყენება, ანუ ჩინური სასამართლო 146-ე მუხლს იმგვარად განმარტავდა, როგორც ავსტრალიური. კოლეგიიდან ერთ-ერთი მოსამართლე არ დაეთანხმა ამას და დააფიქსირა განსხვავებული აზრი, რომ პრეზუმფცია არ უნდა გამოყენებულიყო, რადგან იმის დაშვება რომ ასეთი განსხვავებული, გამორჩეული იურიდიული სისტემის მქონე ქვეყანას, როგორც ჩინეთია ავსტრალიის მსგავსი სამართალი გააჩნდა, სრულიად არადამაჯერებლად უღერდა. მისი აზრით, წარმოუდგენელი იყო ჩინური სამართალი ისევე განემარტა და გამოეყენებინა ჩინურ სასამართლოს, როგორც ავსტრალიელ მოსამართლეს. ავსტრალიური სამართალი *lex loci delicti* წესში არ აღიარებდა მოქნილ გამონაკლისს. ამდენად, 146-ე მუხლის მეორე წინადადება აღმოჩნდა „სამართლის ნორმის ნაწილი და ისეთი გზავნილი, რომელსაც არ გააჩნდა ეკვივალენტი ავსტრალიურ სამართალში“.

დასკვნა

უკუმიითების პრინციპის კანონმდებლობაში დანერგვამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მე-20 საუკუნის დასაწყისში, მოქმედი კანონმდებლობა უკუმიითების წინააღმდეგ გამოდიოდა. კოლიზიონისტთა შორის გავრცელებული შეხედულებით, მის შემოღებას ისეთივე მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც სახელმწიფოს მხრიდან სასამართლოს უზენაესობის უარყოფას უცხოური კანონმდებლობის სასარგებლოდ. მათი აზრით, შესაძლოა ეარსება საფრთხეს, რომ ნებისმიერი კოლიზიურსამართლებრივი მითითება დაუსრულებლად გაგრძელებულიყო დროში და საბოლოოდ გადაწყვეტა ვერ მომხდარიყო. შესაბამისად, შეიქმნებოდა ისეთი მდგომარეობა, რასაც კანონი სარკეთა თამაშს ან ჩოგბურთის საერთაშორისო პარტიას უწოდებს.⁷

არსებობდა ამ ინსტიტუტის მხარდამჭერი მთავარი არგუმენტი – ის არის საშუალება, რათა დაინტერესებულ ქვეყნებს შორის წარმოიშვას ჰარმონია, ანუ აღსრულდეს იგივე კანონი, ვინც არ უნდა იყოს უფლებამოსილი მოსამართლე.

მიუხედავად იმისა, რომ უკუმიითება არაერთგვაროვნად იქნა მიღებული არა მარტო დოქტრინის, არამედ სასამართლო პრაქტიკის მიერ, საბოლოოდ სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობის კოლიზიურმა კანონმდებლობამ ცნო აღნიშნული პრინციპის გამოყენების საჭიროება.

ზოგიერთი მეცნიერი აკრიტიკებს იდენტურობის პრეზუმფციას და მიიჩნია, რომ ის ძირს უთხრის იმ მიზნებს, რომელთა განხორციელებას კანონმდებლები ცდილობენ მტკიცებულებათა დოქტრინაში, კერძოდ მტკიცების ტვირთის ნაწილში. ილუსტრირებისათვის: მხარეს, რომლის სარჩელი რეგულირდება უცხოური სამართლით და ეს მისთვის წამგებიანია, შეუძლია მიმართოს შემდეგ სტრატეგიას – თავი შეიკავოს სამართლის შინაარსის დასადგენად

7 Perrone P., (2002). aprile, Il problema del rinvio nel diritto internazionale private Diritto&Diritti p.4 <https://www.diritto.it/rinvio-nel-diritto-internazionale-privato/>

მტკიცებულებების წარდგენისაგან, რათა ამოქმედდეს იდენტურობის პრეზუმფცია და გამოიყენებულ იქნას მის მიმართ კეთილგანწყობილი სასამართლო ქვეყნის კანონი.⁸ ამდენად, პრეზუმფციის მიმართ არსებული უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად (როცა უცხო სამართლის შინაარსის მტკიცების რეალური სირთულე არ არსებობს; სასამართლო ქვეყნისა და უცხოურ კანონს შორის მსგავსება უბრალო ფიქციაა და ა.შ.), კრიტიკოსები უთითებენ მისი სტრატეგიულად გამოყენების შესაძლებლობას, როგორც მდგომარეობიდან გამოსავალს, რაც ხელს უწყობს ადგილსამყოფელი სამართლის გამოყენებას, მაშინ როცა უცხოურია გამოსაყენებელი.

8 Rotem Y., 2014. Foreign Law as a Distinctive Fact – To Whom Should the Burden of Proof Be Assigned? *Chicago Journal of International Law* Vol. 14, 640. 2002 წლის საქმეში *Shaker v Al Bedrawi* ინგლისის სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ შემთხვევაში არ შეეძლო ეარსება უცხოურ სამართალსა და ინგლისურ კანონს შორის იდენტურობის პრეზუმფციას და არც ინგლისური სამართალი უნდა გამოყენებულიყო ავტომატურად, მხოლოდ იმიტომ რომ უცხო ქვეყნის სამართლის დადგენა ვერ მოხდა. Rogerson P., 2013. *Collier's Conflict of Laws*, Cambridge University Press, Fourth Edition, 50.

CASE NOTE NEILSON: HOW THE COURT CAME FROM THE RENVOI TO THE PRESUMPTION OF IDENTITY

Tamar Mskhvilidze

Kutaisi University, Affiliate Assistant

Akaki Tsereteli State University, Invited Lecturer

KEYWORDS: Foreign Law, Renvoi, Presumption of identity

RESUME

The decision of the High Court of Australia in Neilson is a very rare event, since it contains an extended consideration of renvoi by a national court of final appeal in a case containing a real renvoi issue. Not surprisingly, the case attracted considerable interest among private international lawyers around the world even before it reached the Court, and the Court's decision was eagerly awaited.

This case note argues that it makes no sense to apply foreign law at all, far less the choice of law rules (including the renvoi rules) of that foreign law, if the relevant foreign courts would not have or retain jurisdiction over the dispute. If an answer to the renvoi question is still called for after this preliminary jurisdictional enquiry, single renvoi is preferable, although it was rejected by a majority of the Neilson Court. This case note also points out that the Neilson Court used the presumption that foreign law is the same as Australian law in a manner that greatly assists forum shopping, while repeating the now routine condemnations of the practice of forum shopping.

NOTES:

1. Ricketson S., Lindell G., (1997). Conflict of Laws: Commentary and Materials, 379. (In English)
2. Stern B. William., (1957). Foreign Law in the Courts: Judicial Notice and Proof, California Law Review, Volume 45, Issue 1 29,30. (In English)
3. Mccomish J., (2007). Pleading and proving foreign law in Australia. Melbourne University Law Review, 431, 432. (In English)
4. Mccomish J., (2007). Pleading and proving foreign law in Australia. Melbourne University Law Review, 432. (In English)
5. Cheshire, North and Fawcett Private International Law, (2008). Fourteenth Edition, 112,113 <http://eresources.hcourt.gov.au/downloadPdf/2005/HCA/54> (In English)
6. Daves M., (2006). Renvoi and presumptions about foreign law, Melbourne University law review, 331, 370. (In English)
7. Schoeman E., (2006). Renvoi: Throwing (and catching) the Boomerang – Neilson v Overseas Projects Corporation Of Victoria LTD The University of Queensland Law Journal, 203-212. <http://www.austlii.edu.au> (In English)
8. The General Principles of Civil Law of the People's Republic of China http://www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content_1383941.htm (In English)
9. Perrone P., (2002). aprile, Il problema del rinvio nel diritto internazionale private Diritto&Diritti p.4 <https://www.diritto.it/rinvio-nel-diritto-internazionale-privato/> (In Italian)
10. Rotem Y., (2014). Foreign Law as a Distinctive Fact – To Whom Should the Burden of Proof Be Assigned? Chicago Journal of International Law Vol. 14, 640. (In English)
11. Rogerson P., (2013). Collier's Conflict of Laws, Cambridge University Press, Fourth Edition, 50. (In English)

მესამე პირების წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის რეგულირება ქართულ საკანონმდებლო სივრცეში

ეთო რუხაძე

დოქტორანტი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მონვეული
ლექტორი, კვ „კორპორაციის საადვოკატო ბიუროს“ ადვოკატი

საკვანძო სიტყვები: დირექტორი, კრედიტორი,
პასუხისმგებლობა

შესავალი

გამართულ კორპორაციულ მართვასა და მომგებიან სამეწარმეო საქმიანობაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ საზოგადოების დირექტორებს, რადგან სწორედ მათზეა დამოკიდებული საზოგადოებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება და პრაქტიკაში მათი რეალიზაცია.

სამეწარმეო საზოგადოების დირექტორობა მხოლოდ სარეგისტრაციო ორგანოში ასეთად მითითებას არ გულისხმობს, არამედ იგი დაკავშირებულია მრავალფეროვან უფლება-მოვალეობასთან და შესაძლოა პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველიც გახდეს.

თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის სწრაფი განვითარების ფონზე დირექტორები მაქსიმალურად ცდილობენ რესურსებისა და შესაძლებლობების გაზრდას, რაც ხშირად გადაკვეთს მესამე პირთა ინტერესებს. ნებისმიერი მოქმედებას თუ უმოქმედობას, რომელიც გარკვეულ უარყოფით შედეგს იწვევს მესამე პირებისათვის, ლოგიკურად უნდა მოჰყვეს სა-

მართლებრივი რეაგირება. თუმცა მხოლოდ სამართლიანობის კრიტერიუმით პასუხისმგებლობის დაწესება არ არის გამართლებული. საჭიროა, არსებობდეს საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ნათლად განსაზღვრავს პასუხისმგებლობის წინაპირობებსა და მოცულობას.

დირექტორთა პასუხისმგებლობის საკითხი იმდენად ფუნდამენტურია, რომ იქმნება მოლოდინი დახვეწილი სამართლებრივი რეგულირებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არსებობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დირექტორთა პასუხისმგებლობის საკითხი თანამედროვე სამოქალაქო სამართლისათვის განსაკუთრებით აქტუალური საკითხია, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი დირექტორთა პირადი პასუხისმგებლობის საკითხებთან მიმართებით მოკრძალებულია და არ შეიცავს იმპერატიული ხასიათის მიმართულების განმსაზღვრელ ნორმებს. შესაბამისად, იკვეთება ზოგადი ხასიათის ხარვეზები, რაც პრობლემურია, როგორც მესამე პირთათვის მათი უფლებების რეალიზაციის კონტექსტში, ასევე საწარმოს დირექტორთათვის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების შესაძლებლობისათვის.

1. დირექტორი არსი

კერძო სამართლებრივი თვალსაზრისით, კორპორაცია სრულყოფილად წარმოადგენს იურიდიულ პირს, მაგრამ ფიზიკურად და გონებრივად იგი მოითხოვს ადამიანთა ჩართულობას, რათა განხორციელდეს გარკვეული ქმედებები.¹ კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემებში კორპორაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს დირექტორატი, რადგან მენეჯმენტის დელეგირება სწორედ დირექტორთა საბჭოზე ხდება.²

1 Glasbeek H. J., 1995. More Direct Director Responsibility: Much Ado About ... What?, Canadian Business Law Journal, Vol. 25, 424.
2 Shleifer A., Vishny R. W. 1997. Penn Central: A Case Study of Outside Director Responsibility

ყველა კომპანიას უნდა ჰყავდეს დირექტორი, რადგან კომპანიას, როგორც „ხელოვნურ სუბიექტს“ – იურიდიულ პირს, არ შეუძლია თავად ნების გამოვლენა. შესაბამისად, იურიდიული მოქმედების გამოსახატად საჭიროა სხვა პირის ჩართვა. დირექტორს კანონით ევალება კომპანიის სახელით წარმომადგენლობა მესამე პირებთან და კომპანიის საქმეების მართვა. აღნიშნული ეხება კაპიტალური ტიპის ნებისმიერ საწარმოს, მაშინაც კი თუ კომპანიის პარტნიორი მხოლოდ ერთი პირია, რაც წარმოშობს გამიჯვნის შესაძლებლობას.³

ანგლოამერიკული სამართლის მიხედვით, დირექტორად შეიძლება მიჩნეული იქნეს ნებისმიერი პირი, რომლის მიმართაც არსებობს დირექტორის მსგავსი დამოკიდებულება და იგი ფუნქციურადაც ასრულებს დირექტორის მოვალეობებს, თუნდაც კანონმდებლობის შესაბამისად, დადგენილი წესის დაცვით ოფიციალურად არ იყოს დანიშნული შესაბამის პოზიციაზე.⁴ კომპანიათა შესახებ აქტის თანახმად, „ნებისმიერი პირი, რომელიც იკავებს დირექტორის პოზიციას, მოიაზრება „დირექტორის“ ქვეშ, რა დასახელებითაც არ უნდა მოიხსენიებოდეს იგი.“⁵ შესაბამისად, არის თუ არა პირი კომპანიის დირექტორი, დამოკიდებულია არა მის ასეთად მოხსენიებაზე, არამედ კომპანიის საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მის როლზე. თანამდებობა „დირექტორის“ არსებობა მიგვითითებს პირის სტატუსზე, თუმცა გადაწყვეტია ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო.⁶

Under the Federal Securities Laws, UMKC Law Review, Vol. 45, Issue 3, 394.
3 Davies J., 2007. A guide to director’s responsibilities under the Companies Act 2006, 10, <https://www.accaglobal.com/content/dam/acca/global/PDF-technical/business-law/tech-tp-cdd.pdf> [06.04.2020].
4 ცერცვაძე ლ., 2016. დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 26.
5 Companies Act 2006, Paragraph 250, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/contents> [06.04.2020].
6 Davies J., 2007. A guide to director’s responsibilities under the Companies Act 2006, 10-11, <https://

დირექტორატი სამეწარმეო საზოგადოების მართვის აუცილებელი ორგანოა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების საქმიანობის სწორად წარმართვაში.⁷ დირექტორატი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საწარმოთა აღმასრულებელი ორგანოა, რომელიც ხელმძღვანელობს საწარმოს მიმდინარე საქმიანობას და უფლებამოსილია მესამე პირების წინაშე მინდობილობის გარეშე წარმოადგინოს საწარმო და დადოს ხელშეკრულება.⁸

ანგლოამერიკული სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელია დე იურე (De Jure), დე ფაქტო (De Facto) და ჩრდილში მდგომი (Shadow) დირექტორები.⁹ ქართული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა დასახელებული ტიპის დირექტორებს არ იცნობს, რის გამოც შესაძლებელია გარკვეული სირთულეები წარმოიშვას პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით.¹⁰

დირექტორთა გადაწყვეტილებებსა და მათ სტრატეგიულ მიდგომებზე დიდ გავლენას ახდენს პარტნიორთა კრება, სწორედ ამიტომაც დირექტორატი ბოლო დროს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია როგორც აკადემიურ წრეებში, ასევე, სასამართლო პრაქტიკაში. შესაბამისად, მათი მინიტორინგი და განხილვა მიმდინარეობს ორივე სიბრტყეზე.¹¹

www.accaglobal.com/content/dam/acca/global/PDF-technical/business-law/tech-tp-cdd.pdf [06.04.2020].

7 ლაზარიშვილი ლ., 2009. ოფიციალური კონტრაქტი კომპანიის დირექტორთან, პარტნიორი და კომპანიის შიდა საქმიანობა, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 309.

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება (№ას-495-471-2013).

9 Davies J., 2007. A guide to director's responsibilities under the Companies Act 2006, 12-13, <<https://www.accaglobal.com/content/dam/acca/global/PDF-technical/business-law/tech-tp-cdd.pdf>> [06.04.2020].

10 ცერცვაძე ლ., 2016. დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 27.

11 Hillman J. A., Cannella A. A., Paetzold L. R., 2000. The Resource Dependence Role of Corporate

2. მესამე პირთა წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის აუსცილებლობა

დირექტორებისა და აქციონერების კრედიტორთა საზიანოდ განხორციელებული ქმედებების თავიდან ასაცილებლად მრავალი იურისდიქციის კანონმდებლობამ განავითარა დირექტორთა და აქციონერთა პასუხისმგებლობის დოქტრინა.¹² დირექტორის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ზოგადი წესები გაწერილია, როგორც საკანონმდებლო აქტებში, ასევე გვხვდება სასამართლო გადაწყვეტილებებშიც, რაც განპირობებულია კერძოსამართლებრივი თანასწორობისა და მხარეთა უფლებამოსილებების დაბალანსების ინტერესით.¹³

საწარმოს კრედიტორებს, რომლებიც დაინტერესებული არიან დირექტორთა პასუხისმგებლობით, თითქმის ყველა ყველა ქვეყნის საკორპორაციო სამართალში გააჩნიათ დაცვის გარანტიები.¹⁴ გარკვეულ პირობებში, წესდებით ან კანონით კორპორაციის დირექტორს ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა, თუ დარღვეულია შესაბამისი ვალდებულებები. სასურველია, რომ დირექტორის პასუხისმგებლობის ფარგლების შესახებ ინფორმირებული იყვნენ, როგორც კომპანიის პარტნიორები, ასევე მესამე პირებიც.¹⁵

დირექტორს პირადი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს იმ შემთხვევაში,

Directors: Strategig Adaptation of Board Composition in Response to Environmental Change, Journal of Management Studies, Vol. 37, Issue 2, 235.

12 ბაქაძური ნ., გელტერი მ., ცერცვაძე ლ., ჯუღელი გ., 2019. საკორპორაციო სამართალი, სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბილისი, 196.

13 Shleifer A., Vishny R. W., 1997. Penn Central: A Case Study of Outside Director Responsibility Under the Federal Securities Laws, UMKC Law Review, Vol. 45, Issue 3, 401.

14 Kraakman R., Davies P., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Rock E., 2004. The Anatomy of corporate Law, A Comparative and Functional Approach, New York, 71.

15 Schneeman A., 2010. The Law of Corporations and other Business Organizations, Fifth Edition, New York, 343.

თუ დაარღვია ერთგულების ან ზრუნვის მოვალეობა, უფლებამოსილების გარეშე განხორციელებული ქმედებისათვის, გაუფრთხილებლობისათვის, თაღლითობის ან სხვა უკანონო მოქმედებისათვის, კანონით დადგენილი წესის დარღვევისათვის.¹⁶ დირექტორებს, მათ შორის de facto და ჩრდილოვან დირექტორებს (shadow directors), შეიძლება პირადი პასუხისმგებლობა დაეკისროთ კრედიტორების ზიანის ზრდისთვის, რომელიც გამომდინარეობს ბორდის გაუფრთხილებლობის ან თაღლითობისგან, მაშინ, როდესაც კომპანია ან გადახდისუუნაროა, ან გადახდისუუნარობასთან ახლოს არის.¹⁷

დირექტორისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება წარმოადგენს იმ არასათანადო მენეჯერული ქცევის საპასუხო იურიდიულ შედეგს, რომლის მეშვეობითაც მიყენებული ზიანი აუნაზღაურდება მესამე პირს. ზიანის ანაზღაურებისას სანქციის ფუნქციის მიღმა იმალება შემაკავებელი ფუნქციაც. საკორპორაციო სამართლისათვის ეს შემაკავებელი ფაქტორი წარმოადგენს შემდგომი ქმედებების ეთიკურობის სტანდარტის განმსაზღვრელს.¹⁸

არსებობს არაერთი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა დადგა მესამე პირთა წინაშე იმ საფუძვლით, რომ მას დარღვეული ჰქონდა პირადი ვალდებულებები და იკვეთებოდა ცალსახა გაუფრთხილებლობა.¹⁹ მსგავსი გადაწყვეტილებებიდან იკვე-

თება, რომ დირექტორმა ეფექტურად უნდა იმოქმედოს, როგორც კომპანიისათვის, ასევე გონივრულობის ფარგლებში გაითვალისწინოს მესამე მხარის პოზიციაც, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, შესაძლოა მას დაეკისროს პასუხისმგებლობა.²⁰

პრაქტიკოსი იურისტები, რომლებიც მუშაობენ საკორპორაციო სამართლის მიმართულებით, როგორც წესი, მხარს უჭერენ მესამე პირთა წინაშე დირექტორთა პირად პასუხისმგებლობას. აღნიშნული მოტივირებულია მოთხოვნის განხორციელების გამარტივებით, თუმცა, გამოკვეთილი მიდგომა პრაქტიკაში რეალიზაციისას გამოსაყენებელი მექანიზმის შესახებ არ არსებობს.²¹

3. დირექტორთა პასუხისმგებლობის წინაპირობების მიმოხილვა

დირექტორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას გადამწყვეტია მათი ქმედების შეფასება, რომლითაც გამოიკვეთება ვალდებულების დარღვევა.²² დირექტორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოვალეობის განზრახ ან დაუდევრობით დარღვევა.²³ ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მესამე პირმა შეძლოს ფაქტობრივი გარემოებით იმის დადასტურება, რომ სახეზე იყო კონკრეტული ვალდებულება, რომელიც დირექტორმა გაუფრთხილებლობით დაარღვია.²⁴

16 Schneeman A., 2010. The Law of Corporations and other Business Organizations, Fifth Edition, New York, 345.
 17 კრაკმანი რ., არმორი ჯ., დევისი პ., ენრიკესი ლ., ჰანსმანი პ., ჰერტიგი უ., ჰოპტი კ., კანდა პ., პარგენდლერი მ., რინგე ვ., როკი ე., 2019. საკორპორაციო სამართლის ანატომია, შედარებითი და ფუნქციური მიდგომა, მესამე გამოცემა, ქოჩიაშვილი ა., მაისურაძე დ., (მთ.) თბილისი, 194-195.
 18 Winter J., 2018. A Behavioral Perspective on Corporate Law and Corporate Governance, The Oxford Handbook of Corporate Law and Governance, Ringe W., Gordon J. (Eds.), Oxford, 21.
 19 ob. England and Wales High Court's decision, Sainsbury's Supermarkets Ltd v. Condek Holdings Ltd, EWHC 2016.

20 Stace V., 2016. Directors' liability in negligence to third parties: challenging the assumption of responsibility approach, Oxford University Commonwealth Law Journal, Vol. 16, Issue 1, 183.
 21 Shimojima K., 1981. The Criminal Responsibility and the Personal Liability of the Director in Cases of Corporate Insolvency, International Business Lawyer, Vol. 9, 223.
 22 Davies J., 2007. A guide to director's responsibilities under the Companies Act 2006, 96, <<https://www.accaglobal.com/content/dam/acca/global/PDF-technical/business-law/tech-tp-cdd.pdf>> [06.04.2020].
 23 Loos A., 2016. Directors; Liability, A Worldwide Review, Third Edition, New York, 485.
 24 Stace V., 2016. Directors' liability in negligence

სავალდებულოა დადასტურდეს, რომ დირექტორის ქმედება არ იყო კეთილსინდისიერების ფარგლებში მოქცეული და წარმოადგენდა „უკიდურესად არაგონივრულ“ გადაწყვეტილებას ან ქმედებას. ასევე, საჭიროა არსებობდეს დირექტორის განზრახვა, რომელიც გამოიწვევს ისეთ შედეგს, რომელიც დირექტორის გადაწყვეტილების გარეშე არ დადგებოდა.²⁵ ამასთან, საინტერესოა შემთხვევები, როდესაც ზიანი გამოწვეულია არა კონკრეტული გადაწყვეტილებით, არამედ გადაწყვეტილების მიღების უგულებელყოფით. ამ მხრივ დირექტორის პასუხისმგებლობის შემთხვევა დგება სამართლებრივი სტანდარტის შეუსრულებლობის გამო, რაც იწვევს ეკონომიკურ ზიანს.²⁶

პასუხისმგებლობის დადგენისას სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკაში გამოიყენება ორსაფეხურიანი ტესტი, რომლის მიხედვითაც, პირველ რიგში, დასტურდება მესამე პირსა და დირექტორს შორის ურთიერთობა, ხოლო შემდგომ განისაზღვრება დირექტორის მოვალეობა. ორივე ეტაპის გავლის შემდეგ დგინდება მოვალეობის დარღვევის საკითხი, რაც დირექტორის პასუხისმგებლობის შესაძლებლობის აუცილებელი წინაპირობაა.²⁷

გასათვალისწინებელია, რომ დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხთან მიმართებით არსებობს განსხვავებული მიდგომები, როგორც სამეცნიერო დოქტრინაში, ასევე პრაქტიკაში.

დირექტორის პასუხისმგებლობა იყოფა ორ კატეგორიად. კერძოდ, სახელშეკრულებო მოლაპარაკებისას ბრალიდან გამო-

მდინარე და დელიქტურ პასუხისმგებლობად.²⁸ ქართულ რეალობაში დირექტორის პირდაპირ უშუალო პასუხისმგებლობას ადგენს უზენაესი სასამართლოს ორი დამფუძნებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დირექტორებს დაეკისრათ პირდაპირი წესით პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე.²⁹

4. მესამე პირის წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის საკორპორაციო-სამართლებრივი საფუძვლების ანალიზი

საკორპორაციო სამართლის წყაროებზე დაყრდნობით საქართველოში დირექტორის პასუხისმგებლობის ნორმატიულ საფუძვლად გვევლინება „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი. აღნიშნული ნორმის გამოყენებით მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობა საჭიროებს დამატებით დოკუმატურ ანალიზს.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის დირექტორს აკისრია ფიდუციური მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომელიც, სხვასთან ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალეობას, საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად. დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც. თუმცა სამენარმეთა გადაწყვეტილებების განსჯის წესის პრეზუმფციიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი შესაძლოა დაცული იყოს პირადი პასუხისმგებლობისაგან.³⁰

to third parties: challenging the assumption of responsibility approach, Oxford University Commonwealth Law Journal, Vol. 16, Issue 1, 184.

25 Misawa M., 2005. Shareholders' Action and Director's Responsibility in Japan, Penn State International Law Review, Vol. 24, Issue 1, 32.

26 Brown H. L., 2001. The Corporate Director's Compliance Oversight Responsibility in the post Caremark Era, Delaware Journal of Corporate Law, Vol. 26, Vol. 24.

27 Stace V., 2016. Directors' liability in negligence to third parties: challenging the assumption of responsibility approach, Oxford University Commonwealth Law Journal, Vol. 16, Issue 1, 184.

28 ბურდული ი., 2019. ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისთვის (დოკუმატური გააზრების მცდელობა), ჩემი ადვოკატი, №2, 55.

29 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება (№ას-1307-1245-2014), ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება (№ას-1158-1104-2014).

30 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019

„მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის მე-3 წინადადების მიხედვით, საზოგადოება ვალდებულია გამოიყენოს დირექტორების წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუკი ის აუცილებელია საზოგადოების კრედიტორების დასაკმაყოფილებლად.³¹ შესაბამისად, დირექტორების წინააღმდეგ მიმართული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სუბიექტი „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით არის საზოგადოება.

შესაბამისად, პასუხისმგებლობის დადგომისათვის აუცილებელია, რომ საზოგადოებამ დირექტორებისაგან მოითხოვოს ზრუნვის მოვალეობის დარღვევით საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დირექტორის პასუხისმგებლობა მესამე პირების მიმართ წარმოადგენს საგარეო პასუხისმგებლობის შემთხვევას, რაც არ მოიცავს დირექტორის პასუხისმგებლობას საზოგადოების მიმართ.³² „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი საფუძველზე კრედიტორს არ აქვს უფლება, იგივე მოთხოვნა განახორციელოს დირექტორის მიმართ, რადგან დასახელებული მოთხოვნის სუბიექტი დოგმატურად არ არის კრედიტორი.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, დირექტორთა პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე შესაძლებელია დადგეს გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ნორმების მიხედვით.³³ გამჭოლი პასუხის-

მგებლობის დოქტრინას, რომელიც საქართველოში „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტშია განწესებული, გააჩნია სპეციალური წინაპირობები და შესაბამისი სუბიექტები. კერძოდ, გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველზე სასამართლო ადგენს პარტნიორის პასუხისმგებლობას, თუკი კომპანია შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც პარტნიორის მეორე მე, ანუ ე.წ alter ego, ანუ როდესაც საზოგადოება და პარტნიორი იმდენად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ საზოგადოების, როგორც ცალკე სუბიექტის აღქმა ძალიან რთულია. მეორე შემთხვევაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის გამოყენება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თაღლითობის სანქცირება ან უსამართლობის წახალისება.³⁴ მოყვანილი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში სასამართლო „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე არღვევს იმ კორპორატიულ საფარველს, რომლითაც პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობა არის დაცული და პირდაპირ და უშუალოდ მათ აკისრებს პასუხისმგებლობას.

კრედიტორისათვის პირდაპირ დირექტორებისაგან მოითხოვნის დაკმაყოფილება, სამეცნიერო დოქტრინაში გამართლებულია გარემოებით, რომ დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნა შესაძლოა უშედეგო და აშკარად არაპერსპექტიული ამოცანა გახდეს.³⁵ გერმანული სააქციო კანონი ასეთი შემთხვევისათვის ითვალისწინებს კრედიტორის უფლებას, დირექტორისაგან პირდაპირ მოითხოვოს დაკმაყოფილება, მაგრამ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ ამგვარ შესაძლებლობას არ იცნობს.³⁶

ნლის 23 იანვრის გადაწყვეტილება (№ას-727-695-2016).

31 ჭანტურია ლ., ზარანდია თ., ცერცვაძე გ., ზოიძე თ., ჩიტაშვილი ნ., 2017. საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თბილისი, 271, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/gadawyvetilebebis%20krebuli.pdf?fbclid=IwAR2IyaZT0miaYQIcViLxzoJJGbSBRCnTT6GfpQZQt511WjGbbIH_Ow7wU> [01.03.2020].

32 Damsté S. M., Director's liability in securitization entities: a comparison between Luxembourg, Germany and China, 19, <https://www.academia.edu/11411599/Director_s_liability_in_securitization_entities_a_comparison_between_Luxembourg_Germany_and_China> [15.03.2020].

33 Shimojima K., 1981. The Criminal Responsibility and the Personal Liability of the Director in Cases

of Corporate Insolvency, International Business Lawyer, Vol. 9, 223.

34 Gevurtz A. F., 2000. Corporation Law, Second Edition, California, 70.

35 Schneeman A., 2010. The Law of Corporations and other Business Organizations, Fifth Edition, New York, 343.

36 ჭანტურია ლ., ზარანდია თ., ცერცვაძე გ., ზოიძე თ., ჩიტაშვილი ნ., 2017. საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თბილისი, 271, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში მიიჩნევა, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის ანალოგი არ გახლავთ კრედიტორის სასარგებლოდ დამცავი კანონი. გერმანიაში მიიჩნევენ, რომ კრედიტორის სასარგებლოდ აღნიშნული ნორმის მხოლოდ რეფლექსური ხასიათი აქვს. შესაბამისად, იგივე უნდა ითქვას „მენარმეთა კანონის“ მე-9 მუხლის მე-6 პუნქტზეც.³⁷

გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენება გამართლებულია კრედიტორთა დაცვის ინტერესებით, თუმცა ამ შემთხვევაში გამჭოლი პასუხისმგებლობის სამიზნე არის საზოგადოების პარტნიორი, რომელსაც შეუძლია შეზღუდული პასუხისმგებლობა გამოიყენოს ბოროტად.³⁸ შესაბამისად, ხსენებული ნორმის სუბიექტი არის პარტნიორი, რომელიც საზოგადოებისაგან განცალკევებული სამართალსუბიექტობით და პასუხისმგებლობით სარგებლობს. ამგვარად, აღნიშნული ნორმის გამოყენება დირექტორთან მიმართ არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გამართლებული, რადგან დოგმატურად ხსენებული ნორმა ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, კრედიტორმა შესაძლოა საზოგადოებისაგან მოითხოვოს დირექტორის მიმართ საზოგადოების მოთხოვნის განხორციელება, რათა კრედიტორმა შეძლოს დაკმაყოფილების მიღება. ეს ვარიანტი უფრო მისაღებია, ვიდრე პირდაპირ დირექტორისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭება.³⁹

gadawyvetilebebis%20krebuli.pdf?fbclid=IwAR2IyaZT0miaYQlcViLxzoJJGbSBRCcNtT6GfpQZQt51WjGbbqIHi_Ow7wU> [01.03.2020].

37 ბურდული ი., 2019. ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისთვის (დოგმატური გააზრების მცდელობა), ჩემი ადვოკატი, №2, 57.

38 გულაშვილი ნ., 2011. კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში (ამ-შ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), საკორპორაციო სამართლის კრებული I, თბილისი, 72.

39 ჭანტურია ლ., ზარანდია თ., ცერცვაძე გ., ზოიძე თ., ჩიტაშვილი ნ., 2017. საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასა-

დირექტორის პასუხისმგებლობისას მისი ქმედების კვალიფიკაციისათვის აღნიშნულ ნორმას საქართველოს უზენაესი სასამართლო ძალიან ფართო განმარტებას აძლევს, რადგან მიიჩნევენ თვითკმარ საფუძვლად მესამე პირის წინაშე ზიანის ანაზღაურებისათვის.⁴⁰

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსი და მის თანახმად დირექტორთა პასუხისმგებლობის საფუძვლების ანალიზი არ იძლევა პასუხისმგებლობის იმ შემადგენლობას, რომელიც საზოგადოების კრედიტორს დირექტორებისაგან ზიანის პირდაპირი მოთხოვნის შესაძლებლობას მიანიჭებს. ამასთან, ვერც ე.წ. გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ამოქმედება ვერ მოხდება, რადგან ამ წესის საფუძველზე პასუხისმგებლობის სუბიექტი არ არის დირექტორი. შესაბამისად, დამფუძნებელ გადაწყვეტილებებში მოყვანილ მსჯელობას ერთგვარ სამართლებრივ გაუგებრობამდე მივყავართ, რადგან „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი პირდაპირი წესით კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობას არ მოიცავს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ამ გადაწყვეტილებით სასამართლო გასცდა ნორმის ფარგლებს.

5. მესამე პირის წინაშე დირექტორის დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძვლები

როგორც წესი, დირექტორის ვალდებულება ვრცელდება კორპორაციის წინაშე პასუხისმგებლობაზე იმ შემთხვევებში, როდესაც ვერ ასრულებს თავის მოვალეობას და ზიანს აყენებს კორპორაციას,

მართლო პრაქტიკაში, თბილისი, 271, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/gadawyvetilebebis%20krebuli.pdf?fbclid=IwAR2IyaZT0miaYQlcViLxzoJJGbSBRCcNtT6GfpQZQt51WjGbbqIHi_Ow7wU> [01.03.2020].

40 ბურდული ი., 2019. ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისთვის (დოგმატური გააზრების მცდელობა), ჩემი ადვოკატი, №2, 55.

ხოლო კორპორაციის კრედიტორებსა და აქციონერებთან პასუხისმგებლობისათვის საჭიროა არსებობდეს რაიმე შესაბამისი კანონი, რომლითაც განისაზღვრება სპეციალური დებულებები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პასუხისმგებლობა.⁴¹

სამეცნიერო დოქტრინაში არსებული მოსაზრების მიხედვით, კრედიტორებს გააჩნიათ პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რაც ცნობილია, როგორც სპეციალური დელიქტური პასუხისმგებლობის თეორია.⁴²

იმის გათვალისწინებით, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონი მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით სპეციალური ნორმას არ ითვალისწინებს, მართებულია მისი დელიქტური სამართლის ნორმებში მოძიება. ის ფაქტი, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონი გამჭოლი პასუხისმგებლობის ანალოგიურ ნორმას დირექტორებთან მიმართებით არ ადგენს, კიდევ ერთხელ ამყარებს დელიქტური პასუხისმგებლობის წარმოშობის შესაძლებლობას.

მსგავს მოწესრიგებას ვხვდებით ლუქსემბურგის კანონმდებლობაშიც, სადაც დირექტორის მიმართ მესამე პირს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ ემყარება სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლს.⁴³ შესაბამისად, დირექტორთა დელიქტური პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე უცხო არ არის სხვა ქვეყნების კანონმდებლობებისათვისაც.

თუკი „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი დირექტორებისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლე-

ბას მხოლოდ საზოგადოებას ანიჭებს, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი ასეთ შეზღუდვას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ნორმის წინაპირობების დადასტურების შემთხვევაში, შესაძლებელია მესამე პირმა, როგორც კრედიტორმა დირექტორებისაგან ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე.⁴⁴ თუმცა დელიქტის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც ზიანს აყენებს სხვა პირს მსგავს ვითარებაში არის თავად შპს, რომლის ორგანულსამართლებრივი წარმომადგენლობითი კომპეტენციის მატარებელია დირექტორი. შესაბამისად, დირექტორი ცალკე აღებული პირდაპირ ვერ უნდა იყოს ზიანის მიმყენებელი კრედიტორისთვის. დირექტორი ზიანს აყენებს საზოგადოებას, რის გამოც კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება საეჭვოა. სწორი დოგმატური გააზრების პირობებში კრედიტორის მხრიდან მოხდებოდა საზოგადოების მიერ განუხორციელებელი მოთხოვნის დაგირავება, თუმცა აღნიშნულიც იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმძღვანელი პირი საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი.⁴⁵ შესაბამისად, ძირითად შემთხვევებში დირექტორი დაცულია ზოგადი პრეტენზიისგან თუმცა აღნიშნული წესი არ ვრცელდება მოვალეობების გაზრახ უხეშ დარღვევებზე.⁴⁶

ზემოთ განხილულ, დამფუძნებელ გადაწყვეტილებებში სახეზე იყო ზიანის მიყენების ფაქტი, პასუხისმგებლობის დაუწესებლობის შემთხვევაში არ გვეყოლებოდა არც პასუხისმგებლობის სუბიექტი, ასევე,

41 Shimojima K., 1981. The Criminal Responsibility and the Personal Liability of the Director in Cases of Corporate Insolvency, *International Business Lawyer*, Vol. 9, 222.
42 Shimojima K., 1981. The Criminal Responsibility and the Personal Liability of the Director in Cases of Corporate Insolvency, *International Business Lawyer*, Vol. 9, 223.
43 Damsté S. M., Director's liability in securitization entities: a comparison between Luxembourg, Germany and China, 19, <https://www.academia.edu/11411599/Director_s_liability_in_securitization_entities_a_comparison_between_Luxembourg_Germany_and_China> [15.03.2020].

44 ჭანტურია ლ., ზარანდია თ., ცერცვაძე გ., ზოიძე თ., ჩიტაშვილი ნ., 2017. საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თბილისი, 272, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/gadawyvetilebebis%20krebuli.pdf?fbclid=IwAR2IyaZT0miaYQlcViLxzoJGsbSRCCnTT6GfpQZQt5I1WjGbbqIHj_Ow7wU> [01.03.2020].
45 ბურდული ი., 2019. ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისთვის (დოგმატური გააზრების მცდელობა), ჩემი ადვოკატი, №2, 56.
46 Schneeman A., 2010. *The Law of Corporations and other Business Organizations*, Fifth Edition, New York, 347.

ზიანის ანაზღაურება ვერ მოხდება ქონებისაგან დაცლილი იურიდიული პირისაგან. სწორედ ამიტომ ამართლებენ გერმანელები ხელმძღვანელ პირთა პირდაპირ პასუხისმგებლობას დელიქტური სამართლის საფუძველზე.⁴⁷ მსგავს შემთხვევებში დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა გაუფრთხილებელი ქმედებებისთვის ემყარება ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობა ეკისრება ყველას, ვინც არღვევს თავის უფლებამოსილებას ან უგულებელყოფს მის მოვალეობას.⁴⁸

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად ხელმძღვანელი პასუხისმგებელი შეიძლება იყოს, როდესაც იგი საკუთარი ქმედებით პირადად ასრულებს დელიქტით გათვალისწინებულ შემადგენლობას. შესაბამისად, დამოუკიდებლად „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის ანალოგის გამოყენებაც გერმანულ სამართალში დოგმატურად გაუმართლებელია. დასახელებული ნორმა მხოლოდ შემგები დანიშნულების მატარებელია ხელმძღვანელის ფიდუციალური მოვალეობის დარღვევის განსაზღვრის კონტექსტში. ლიტერატურაში ხშირად მოჰყავთ სასამართლო პრაქტიკიდან მაგალითი, როდესაც ხელმძღვანელი პასუხს აგებს მესამე პირის წინაშე იმ ზიანისთვის, რომელიც მან ამ უკანასკნელს მიაყენა თავისი პირადი არამართლზომიერი ქმედებით და, შესაბამისად, ეს ექვემდებარება დელიქტით გათვალისწინებულ ზოგადი ხასიათის პასუხისმგებლობას.⁴⁹

ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე შეიძლება დადგეს დელიქტური ნორმითა და დამცავი კანონით დადგენილი შესაბამისი ნორმის დარღვევის შემთხვევაში.

6. დირექტორთა პირადი პასუხისმგებლობის სავარაუდო გავლენა კორპორაციულ მართვაზე

საკითხის ამგვარი აქტუალურობა გამოწვეულია სწორედ დირექტორის პასუხისმგებლობის კორპორაციულ მართვაზე შესაძლო გავლენის არსებობითა და მესამე პირთა ინტერესების დაბალანსების მცდელობით.

დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის დადგომა საჭიროებს შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებსა და იურიდიულ წინამძღვრებს, რაც პრაქტიკაში საკმაოდ რთული პროცედურაა, თუმცა ამის მიუხედავად, პირადი პასუხისმგებლობის რისკი არსებობს.⁵⁰ დებატები პასუხისმგებლობის სისტემის გარშემო, უმეტესწილად, შთაგონებულია იმ შეხედულებით, რომ მსხვილი კორპორაციები ხშირად აშკარად არღვევენ კანონს, რადგან ეს მათთვის ეკონომიკურად გამართლებულია. მსგავსი პრობლემის გადასაჭრელად აქტუალურია პასუხისმგებლობის მიღწევადობის საკითხი და სხვადასხვა სახის სანქციის დაწესების შესაძლებლობა, რათა დირექტორს ახალი მოვალეობების დაკისრების გზით დამატებით შეექმნას მართებული ქცევის სტანდარტის დაცვის სურვილი.⁵¹

დღეისათვის ხელმისაწვდომი არ არის მონაცემი იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირად აგებენ დირექტორები პასუხს პირადად. თუმცა გონივრულია ვივარაუდოთ, რომ მსოფლიოში ყოველწლიურად არსებობს ათობით სარჩელი, რომელიც მიმართულია დირექტორების გარე პასუხისმგებლობის დადგომისაკენ.⁵² თუმცა სამეცნიერო დოქტრინაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, დირექტორთა

47 ბურდული ი., 2019. ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისთვის (დოგმატური გააზრების მცდელობა), ჩემი ადვოკატი, №2, 56.

48 Schneeman A., 2010. The Law of Corporations and other Business Organizations, Fifth Edition, New York, 44.

49 ბურდული ი., 2019. ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისთვის (დოგმატური გააზრების მცდელობა), ჩემი ადვოკატი, №2, 57.

50 Cheffins B. R., Black B. S., 2006. Outside Director Liability Across Countries, Texas Law Review, Vol. 84, 1388.

51 Glasbeek H. J., 1995. More Direct Director Responsibility: Much A do About ... What?, Canadian Business Law Journal, Vol. 25, 444.

52 Cheffins B. R., Black B. S., 2006. Outside Director Liability Across Countries, Texas Law Review, Vol. 84, 1394.

გარე პასუხისმგებლობა უკიდურეს ღონისძიებადაა მიჩნეული.⁵³

დირექტორისათვის კანონის დაცვის იძულება პასუხისმგებლობის გამკაცრების გზით რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ამგვარი მიზნის იძულებითი მექანიზმი სავარაუდოდ გამოიწვევს სამეწარმეო საქმიანობის ნაკლებ ეფექტიანობას, ვიდრე ნდობის გაუმჯობესებას.⁵⁴ ამდენად, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის, რომ საწარმოს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ზრდამ შესაძლოა ხელმძღვანელი პირები იმდენად დააფრთხოს, რომ კომერციული რისკებისაგან თავის შეკავებისაკენ უბიძგოს. შესაბამისად, პასუხისმგებლობის გამკაცრებამ არ უნდა ჩამოაყალიბოს ზედმეტად ფრთხილი ხელმძღვანელი, რომელიც სრულყოფილად ვერ შეასრულებს თავის მოვალეობებს, რადგან რისკების გარეშე შეუძლებელია კომერციული წარმატების მიღწევა.⁵⁵

გასათვალისწინებელია, რომ დირექტორზე სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებამ შესაძლოა გამოიწვიოს დირექტორთა კანდიდატების შემცირება, რადგან კარგი რეპუტაციის მქონე პიროვნებამ შესაძლოა თავი შეიკავოს პასუხისმგებლობის დაკისრების რისკის გათვალისწინებით.⁵⁶

დასკვნა

დირექტორთათვის არასათანადო მენეჯერული ქცევის საპასუხოდ პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობის საჭიროება ექვგარეშედ არსებობს.

53 ჭანტურია ლ., 2006. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 70.

54 Glasbeek H. J., 1995. More Direct Director Responsibility: Much Ado About ... What?, Canadian Business Law Journal, Vol. 25, 444.

55 ჭანტურია ლ., 2006. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 69-70.

56 Glasbeek H. J., 1995. More Direct Director Responsibility: Much Ado About ... What?, Canadian Business Law Journal, Vol. 25, 447.

როგორც ნაშრომში აღინიშნა, დირექტორის პასუხისმგებლობის საფუძვლის მოძიება თავდაპირველად საკორპორაციო სამართლის წყაროებში უნდა დავიწყოთ. სამწუხაროდ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი დირექტორთა პირადი პასუხისმგებლობის საკითხთან მიმართებით მოკრძალებულია და მესამე პირების წინაშე დირექტორთა პირადი პასუხისმგებლობის მარეგულირებელ ნორმას არ გვთავაზობს. კორპორატიული მართვისათვის უმთავრესია ხელმძღვანელ პირებსა და პარტნიორებს შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხი. თუმცა ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს პასუხისმგებლობის დადგომის სხვა შესაძლებლობები.

საკორპორაციო სამართლის წყაროებზე დაყრდნობით საქართველოში დირექტორის პასუხისმგებლობის ნორმატიულ საფუძვლად გვევლინება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი. აღნიშნული ნორმა პირდაპირი წესით კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობას არ მოიცავს, რადგან დასახელებული ნორმით პასუხისმგებლობა დგება უშუალოდ საზოგადოების წინაშე და არა კრედიტორთა წინაშე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მესამე პირთა მიმართ დირექტორთა პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ გადაწყვეტილებებში სასამართლო გასცდა ნორმის ფარგლებს.

ქართულ კანონმდებლობაში საგამონაკლისო ნორმა, როგორც ეს სახეზეა პარტნიორთა პასუხისმგებლობასთან მიმართებით „მეწარმეთა კანონის“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის სახით, არ არსებობს დირექტორთა მიმართ. შესაბამისად, ამ ნორმის საფუძველზე დოგმატურად გამართლებულია მესამე პირის მხრიდან მოთხოვნის დაყენება მხოლოდ პარტნიორის მიმართ.

მესამე პირს დირექტორის მიმართ მოთხოვნის წარდგენა შეუძლია სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად. დასახელებული ნორმით ხელმძღვანელი პასუხისმგებელი შეიძლება იყოს, როდესაც იგი საკუთარი ქმედებით პირადად ასრულებს დელიქტით გათვალისწინებულ

ეთორუხაძე

შემადგენლობას. თუმცა ამ შემთხვევაში დაზარალებულ მესამე პირს სრულად აქვს დელიქტის შემადგენლობის მტკიცების ვალდებულება.

საგამონაკლისო ნორმის არარსებობის პირობებში, გამართლებულია მესამე პირის მხრიდან მოთხოვნის დაგირავების მიმართულებით წასვლა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოთხოვნის დაყენება პარტნიორის მიმართ გამჭოლი პასუხისმგებლობის მიუხედავად, მართებული იქნებოდა საზოგადოების სახელით დირექტორისათვის ზიანის ანაზღაურება, ხოლო თუ პარტნიორის მხრიდან ეს მოქმედება არ ხორციელდება, გამართლებული იქნება მოთხოვნის მესამე პირის სასარგებლოდ დაგირავება. მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად დადასტურებულია, რომ პარტნიორს არ შეუძლია დერივაციული სარჩელის აღძვრა.⁵⁷

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ბალანსის შენარჩუნება კრედიტორთა მიმართ დირექტორის პასუხისმგებლობის დადგენისას სასიცოცხლოდ აუცილებელია. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დირექტორმა შესაძლოა კეთილსინდისიერად მოქმედებისას გულწრფელად დაუშვას შეცდომა. ამიტომ ნებისმიერი სახის ვალდებულება, რაც დირექტორებს დაეკისრება, რეალისტური უნდა იყოს.⁵⁸

57 ბურდული ი., 2019. ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისთვის (დოკუმტური გააზრების მცდელობა), ჩემი ადვოკატი, №2, 56.

58 ცერცვაძე ლ., 2016. დირექტორათის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 291.

REGULATION OF DIRECTORS LIABILITY TO THE THIRD PARTIES IN GEORGIAN LEGISLATIVE FRAMEWORK

Eto Rukhadze

*Ph.D. Candidate, Visiting Lecturer of the TSU Faculty of Law,
Attorney at LP Kordzadze Law Office*

KEYWORDS: Director, Creditor, Liability

RESUME

All companies are required to have at least one director. This is because companies, as “artificial” legal entities, can not act themselves – they need to act through other persons. In most cases, the actions of a director will be treated as being the actions of the company itself. The present article is dedicated to directors personal responsibility to the third parties.

Directors can be personally responsible to the third parties in respect of negligent conduct on their part. The aim of the present article is to study the grounds and judicial practices of directors personal responsibility to the third parties.

The discussion provided in the article is based on analysis of legislation and practice of various countries. According to the research, the legislative basis of the director's liability is controversial. The recent decisions of the Supreme Court of Georgia confirm that to impose the responsibility on the director is possible, but there are certain flaws. However, the cases give us an opportunity to re-examine directors liability to third parties. The article examines the basis of directors personal liability related judicial practice. The article generally discusses present flaws of the present practice in Georgia and provides some recommendations. Afterwards, the article scrutinizes possible effects on corporate governance.

NOTES:

1. Glasbeek H. J., 1995. More Direct Director Responsibility: Much Ado About ... What?, Canadian Business Law Journal, Vol. 25, 444-447. (In English)
2. Shleifer A., Vishny R. W. 1997. Penn Central: A Case Study of Outside Director Responsibility Under the Federal Securities Laws, UMKC Law Review, Vol. 45, Issue 3, 394. (In English)
3. Davies J., 2007. A guide to director's responsibilities under the Companies Act 2006, 10-13,
4. <<https://www.accaglobal.com/content/dam/acca/global/PDF-technical/business-law/tech-tp-cdd.pdf>> [06.04.2020]. (In English)
5. Tsertsvadze L., 2016. Directorate obligations on merging of companies and acquiring control packet, Tbilisi, 26-27. (In Georgian)
6. Companies Act 2006, Paragraph 250,
7. <<http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/contents>> [06.04.2020]. (In English)
8. Lazarashvili L., 2009. Labor Contract with the Company Director. Partner and Director in Internal Relations of the Company, Theoretical and Practical Issues of Modern Corporate Law, Tbilisi, 209. (In Georgian)
9. Judgment of the Supreme Court of Georgia of 25 March 2014. (Neas-495-471-2013) (In Georgian)
10. Hillman J. A., Cannella A. A., Paetzold L. R., 2000. The Resource Dependence Role of Corporate Directors: Strategig Adaptation of Board Composition in Response to Environmental Change, Journal of Management Studies, Vol. 37, Issue 2, 235. (In English)
11. Bakakuri N., Gelter M., Tsertsvadze L., Jugeli G., 2019. Corporate Law (Handbook for Lawyers), Tbilisi, 196. (In Georgian)
12. Kraakman R., Davies P., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Rock E., 2004. The Anatomy of corporate Law, A Comparative and Functional Approach, New York, 71. (In English)
13. Schneeman A., 2010. The Law of Corporations and other Business Organizations, Fifth Edition, New York, 343-347. (In English)
14. Kraakman R., Armour J., Davies P., Enriques L., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Pargendler M., Ringe W., Rock E., 2019. The Anatomy of Corporate Law: A Comparative and Functional Approach, III Edition, Translation, 2019, Kochiashvili A., Maisuradze D., (Translator) Tbilisi, 194-195. (In Georgian)
15. Winter J., 2018. A Behavioral Perspective on Corporate Law and Corporate Governance, The Oxford Handbook of Corporate Law and Governance, Ringe W., Gordon J. (Eds.), Oxford, 21. (In English)
16. See England and Wales High Court's decision, Sainsbury's Supermarkets Ltd v. Condek Holdings Ltd, EWHC 2016. (In English)
17. Stace V., 2016. Directors' liability in negligence to third parties: challenging the assumption of responsibility approach, Oxford University Commonwealth Law Journal, Vol. 16, Issue 1, 183-184. (In English)
18. Shimojima K., 1981. The Criminal Responsibility and the Personal Liability of the Director in Cases of Corporate Insolvency, International Business Lawyer, Vol. 9, 222-223. (In English)
19. Loos A., 2016. Directors; Liability, A Worldwide Review, Third Edition, New York, 485. (In English)
20. Misawa M., 2005. Shareholders' Action and Director's Responsibility in Japan, Penn State International Law Review, Vol. 24, Issue 1, 32. (In English)

21. Brown H. L., 2001. The Corporate Director's Compliance Oversight Responsibility in the post Caremark Era, Delaware Journal of Corporate Law, Vol. 26, Vol. 24. (In English)
22. Burduli I., 2019. The responsibility of the managing person (Attempts in dogmatic understanding), My Advocate, №2, 55-57. (In Georgian)
23. See Judgment of the Supreme Court of Georgia of 6 May 2015. (№as-1307-1245-2014) (In Georgian)
24. See Judgment of the Supreme Court of Georgia of 6 May 2015. (№as-1158-1104-2014) (In Georgian)
25. Judgment of the Supreme Court of Georgia of 23 January May 2019. (№as-727-695-2016) (In Georgian)
26. Chanturia L., Zarandia T., Tsertsvadze G., Zoidze T., Chitashvili N., 2017. Grounds of Civil Law of Georgia in Georgian Court Practice, Tbilisi, 271-272,
27. <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/gadawyvetilebebis%20krebuli.pdf?fbclid=IwAR2lyaZT0miaYQlcViLxz oJJGbSBRCCnTT6GfpQZQt5l1WjGbqIHl_Ow7wU> [01.03.2020]. (In Georgian)
28. Damsté S. M., Director's liability in securitization entities: a comparison between Luxembourg, Germany and China, 19,
29. <https://www.academia.edu/11411599/Director_s_liability_in_securitization_entities_a_comparison_between_Luxembourg_Germany_and_China> [15.03.2020]. (In English)
30. Gevurtz A. F., 2000. Corporation Law, Second Edition, California, 70. (In English)
31. Gulashvili N., 2011. Piercing Corporate Veil as the Special Measure for the Protection of Creditors in the Context of Relationship of Parent-subsidary Corporations (according US and Georgian corporate law), Collection of Articles in Corporate Law, I, Tbilisi, 72. (In Georgian)
32. Cheffins B. R., Black B. S., 2006. Outside Director Liability Across Countries, Texas Law Review, Vol. 84, 1388-1394. (In English)
33. Chanturia L., 2006. Corporate governance and Responsibilities in Corporate Law Tbilisi, 69-70. (In Georgian)

ამ ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ
იხილოთ ჟურნალის ვებგვერდზე: www.lawandworld.ge
ელ. ფოსტა: info@lawandworld.ge
გურამიშვილის გამზირი 76. თბილისი. 0141
ტელეფონი: (+995 32) 2 000 171 (116); (+995 91) 952 024

The online version of the journal is available on the website:
www.lawandworld.ge
E-mail: info@lawandworld.ge
76 Guramishvili ave. Tbilisi. 0141
Phone: (+995 32) 2 000 171 (116); (+995 91) 952 024